

იხსტორიანი



13

საბედისწილ ღღა


ბოლოში მანაბელი
სადაბოჯის
ჯიონსი

ხანაბ
ჯიი იხსნას
„ტიტანიკი“

სანაბთაბაბი
სანაბაბი:
თაბაბაბა
ღღაბა...

ბაბ-ბაბაბაბაბა
ბაბაბაბა
ბაბაბაბა
ბაბაბაბა
ბაბაბაბაბაბაბა...





სახიჩქვი

ახალი ახებები
 კლემენტრა გველის შხამს არ მოუკლავს **6**

ჰომეროსის ლეგენდარული „კოდისეა“ გრეკულდება! **7-8**

მიაკვლივს რუსეთის უიღბლო იმპერატორის, იოანე VI-ის ნუშტს **9**

ახობცაეა
 რა საიღუმელონ ინახავს ქობულეთის ფიჭვნარი **10-13**

ეილი ჰოლიცინა
 „კოდესე დიდი ჟოფილა სპარტოველო“ **14-21**

საბანძიხი ქაიოველი
 ტაო-კლარჯეთის ძეგლების აღდგენას არა მხოლოდ სპარტოველო ქლის... **22-29**

აორონიეხი
 რომის დავარქვა ჩვენს დელაქალაქს „თბილისი“? **30-31**

ჯანცხი ისოჩი
 13 საბელისფერო დღე — 1921 წლის თებერვლის სისლზინი ქრონიკები **32-40**

ქაიოველები უსოქოთი
 ბიორები მანაბელი — სუნაოების პრინცი **41-46**



47



64



56



71



60



74



82

სახიჩვი

პიჩხელები

პირველი სატელეფონო კავშირი **47-49**

ფაქის ბეიჩი მხიჩი

იოსებ ლალიაშვილი –
შუბისმამიძეებელი თუ ტარორისტი? ... **50-55**

ტაიოხიზი

ტარორიზმის ეპოლეუცია **56-59**

ველეჩი დანეველი

უპანასკნელი ფრონტი **60-63**

საქანის ტიბეტი

რატომ ვერ იხსნა „ტიტანიკი“ ზუსტმა
ფინანსარამბეჭველებმა? **64-70**

ბიზნისის ისტორია

„ვოლტ დისნეის საბავშვო
ბიზნესიშპირია **71-73**

ბაიჩიშვილი

როცა ღირებულებები „მავლამირა“
ღება **74-77**

მითიშობა

ქვის ღებანა **78-80**

სკანდორლი

..... **81**

ისტორიული ტაიზი

„მცხეთის ქალაქს მირონი
ღებს...“ **82-90**

ხელახლობის სვეტი

„ისტორიანს“ დიდი ინტერესით შეხვდა მკითხველი. თოეული თანამშრომლისთვის საამაყოა ის გამომხატურება და ზარები, რომელიც რედაქციაში არ წყდება. მკითხველის ინტერესი გააორმაგებს ჩვენს სურვილს, შევქმნათ ყველასთვის საყვარელი ჟურნალი.

XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში 25 თებერვალი შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე ტრაგიკულ თარიღად. საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობამ ათწლეულების განმავლობაში ააცდინა ჩვენი ქვეყანა ბუნებრივი განვითარების გზას. ათიათასობით კაცი შეეწირა წითელ ტერორს. ამ ადამიანური ტკივილის გვერდით 20-იან წლებში მოხდა საუკუნის ტრაგედია — ქვეყნის მიწა-წყლის დაჩეხვა-დანაწილება. საქართველოს ყველა მეზობელმა „თავისი წილი“ წაიღო ძირძველი ქართული ტერიტორიებიდან. ტაო-კლარჯეთი, ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი დედასამშობლოს მოსწყდა. XIX საუკუნის ქართველი საზოგადოება ამ ტერიტორიას „ოსმალოს საქართველოს“ უწოდებდა. ერთხელ მაინც თუ მოიხილავ, მოილოცავ ისტორიულ შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლა-არტაანს, დარწმუნდები, რა ტკივილი გაჰყვა გიორგი ლეონიძეს, როდესაც წერდა: „ისე დაუბერდი, / ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი, / ვერც არტანუჯი, ოშკი, ხაზული...“

ამჟამად, საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის გამართული მოლაპარაკების საფუძველზე, უკვე შესაძლებელია ტაო-კლარჯეთში არსებული ისტორიული ძეგლების აღდგენა-რესტავრაციაზე ლაპარაკი. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს აქამდეც იყო გასაკეთებელი. ორივე მხარეს სათანადოდ რომ შეეფასებინა საკითხის სიმწვავე, ოშკის ღვთისმშობლის ბარელიეფი არ დაიკარგებოდა, ავცდებოდით ხანძის გუმბათის ჩამონგრევას, რამდენიმე მნიშვნელოვანი წარწერისა და ფრესკის გაქრობას. ღმერთმა ინებოს, ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდეს და „თურქეთის საქართველოში“ არსებული ისტორიული ძეგლების გადარჩენისთვის ზრუნვა ორივე სახელმწიფოს უპირველესი ზრუნვის საგნად იქცეს.

ბევრჯერ მინახავს ოშკიში, იშხანში, პარხალში ტურისტად მყოფი უცხოელები რა დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ, ათვალიერებდნენ ამ ქმნილებებს, ვერ მალავდნენ აღფრთოვანებას. ეს მშვენიერი ხუროთმოძღვრება, მართალია, თავის დროზე ქართველებმა შექმნეს, მაგრამ იგი არც ქართველებსა და არც თურქებს არ ეკუთვნის მხოლოდ. ეს უნიკალური ძეგლები მსოფლიო კულტურის საგანძურის ნაწილია და მას სათანადო მოვლა-პატრონობა სჭირდება.

აქვე მინდა, ერთი სიახლეც ვამცნო მკითხველს: მართიდან ჟურნალთან ერთად შემოგთავაზებთ კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანს „დავით აღმაშენებელს“ რვა წიგნად.



**მკითხველის ინტერესი
ბაიოჩიბაბას ჩვენს სუბიქს,
შევემნათ ყვანასთიხის
საყვარელი უჩინანი**

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

არტრედაქტორი
ზაზა ასანიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
**ალექსანდრე ბოშიშვილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე**

კორექტორები:
**ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 38-13-72, 38-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 37-78-07, 38-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ხეოვასხა ბვენის შხამს ახ მოუხნავს!..



კლეოპატრა



გერმანელ მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც კრისტოფერ შეფერი ხელმძღვანელობს, მივიდა დასკვნამდე, რომ კლეოპატრა არა გველის ნაკბენით, არამედ ოპიუმისა და კონიოს (წიწვოვანი ხე აზიასა და ამერიკაში) შემცველი სასიკვდილო „კოქტეილით“ დაიღუპა.

ცნობილია, რომ ეგვიპტის დედოფალი ძვ.წ. 30 წელს გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მიზეზად გველგესლას ნაკბენს მიიჩნევენ, რომელსაც ახლა მოიხსენიებენ, როგორც ეგვიპტურ კობრას. თუმცა მეცნიერებმა მიაკვლიეს მტკიცებულებას, რომ კლეოპატრას სიკვდილის ნამდვილი მიზეზი გველის შხამი არ ყოფილა.

„დედოფალი კლეოპატრა განთქმული იყო საკუთარი გარეგნობისადმი გადამეტებული ყურადღებით და თავს არ გაიმეტებდა ისეთი სი-

კვდილისთვის, რომელიც ხანგრძლივი იქნებოდა და თანაც დაამახინჯებდა. ამიტომ მან აშკარად ამჯობინა, ოპიუმსა და კონიოზე მომზადებული ნაყენი დაეღია. იმ პერიოდში ეს ნაყენი ცნობილი იყო, როგორც უეჭველი და უშფოთველი სიკვდილის გამომწვევი. მისი დაღვების შემდეგ აღსასრული სწრაფად ღებო-

და, განსხვავებით გველის ნაკბენისგან, რომელიც მტანჯველ ტკივილებს იწვევდა“, — განმარტავს გერმანელი მეცნიერი კრისტოფერ შეფერი.

გამოკვლევათა ჩასატარებლად, შეფერი მკვლევართა ჯგუფთან ერთად საგანგებოდ გაემგზავრა ეგვიპტეში, კერძოდ ალექსანდრიაში. მან კლეოპატრას სიკვდილის მისეული თეორია ძველი სამედიცინო ტექსტების მიხედვით გადაამოწმა, კონსულტაციები კი ადგილობრივ სერპენტოლოგებთან (სერპენტოლოგია — გველების შემსწავლელი მეცნიერება) გაიარა.

ლეგენდარული დედოფალი, რომელიც ბერძენ პტოლემეოსთა დინასტიის შთამომავალი იყო, ეგვიპტეს ძვ. წ. 51-30 წლებში მართავდა. ის ისტორიაში შევიდა არა მხოლოდ როგორც ულამაზესი ქალი (რეალურად არც ყოფილა ასეთი), არამედ როგორც მტკიცე ხასიათის პოლიტიკოსი, რომლის „წყალობით“ რომის იმპერიამ ეგვიპტის დაპატრონება დიდხანს ვერ მოახერხა.

ცნობილია, რომ იულიუს ცეზარი მზად იყო ცოლად შეერთო კლეოპატრა. ამ განზრახვას ხელი კეისრის სიკვდილმა შეუშალა. ეგვიპტის დედოფალს კი ცეზარის ერთ-ერთი პოლიტიკური მემკვიდრე, მარკუს ანტონიუსი „დაუახლოვდა“.


ოქტავიანე ავგუსტუსის ტახტზე ასვლისა და აქციუმთან ეგვიპტის ფლოტის დამარცხების შემდეგ კლეოპატრასა და მარკუს ანტონიუსის სიყვარულიც დასრულდა.

ბრძოლაში დამარცხებულმა ანტონიუსმა თავი მოიკლა, მოგვიანებით კი მას კლეოპატრამაც მიბაძა.

„დეილი ტელეგრაფის“ მასალების მიხედვით



ჯოზეფოსის დაბნდნაჲნი „ოდისეა“ ბჲძადება!



ჰომეროსი

იონიის უნივერსიტეტის არქეოლოგმა თანასის პაპადოპულოსმა განაცხადა, რომ კუნძულ ითაკაზე ლეგენდარული ოდისეისის სასახლე აღმოაჩინა. ბერძენი მეცნიერი ამ დასკვნამდე მრავალწლიანი

გათხრების შემდეგ მივიდა. გათხრებისას პაპადოპულოსის ჯგუფი ხელმძღვანელობდა სასახლის აღწერით, რომელიც ჰომეროსის „ოდისეაში“ მოცემული.

პაპადოპულოსმა ითაკაზე





პენელოპე და მისი საქმროები

სამსართულიანი სასახლის ნაშთები აღმოაჩინა, რომელიც არქიტექტურული მახასიათებლებით პომეროსის ეპოქას (ძვ.წ. XIII-XII სს.) მიეკუთვნება.

სასახლის ტერიტორიაზე ნაპოვნია ჭა, რომელიც ძვ.წ. XIII საუკუნით თარიღდება და მიკენის კერამიკა. გათხრების საერთო ფართობი 2,5 ჰექტარს შეადგენს.

ოდისეუსის სასახლის ძიება კლასიკური არქეოლოგიის ერთ-ერთ სერიოზულ ამოცა-

ნად ითვლება. ტროაზე ლაშქრობის მონაწილე აქვეყნ მეფეთაგან ბევრის სასახლე უკვე ნაპოვნია. მათ შორის აქვეყნა მხედრობის წინამძღოლის აგამემნონის — მიკენში და აიანტიისა კუნძულ სალამინზე, ათენთან ახლოს.

რაც შეეხება ოდისეუსს, მეცნიერთაგან ბევრს ეჭვება, რომ ის მართლაც ითაკაზე მეფობდა.

პომეროსის თანახმად, ოდისეუსმა, ვისი ცბიერების წყალობითაც აქვეყნებმა

ტროა აიღეს, შინ, კუნძულ ითაკაზე დაბრუნება, სადაც მას ერთგული ცოლი პენელოპე და ვაჟი, ტელემაქე ელოდნენ, 20 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა.

მეფის არყოფნაში სასახლეში მძვინვარებდნენ პენელოპეს საქმროები, დარწმუნებულები იმაში, რომ დედოფალი დაქვრივდა და ვალდებული იყო ახალი ქმარი მათ შორის აერჩია. შინ დაბრუნებულმა ოდისეუსმა ყველანი ერთიანად ამოხოცა თავისსავე სასახლეში.

2008 წელს, ასტრონომმა კონსტანტინო ბაკუზისმა და მათემატიკოსმა მარჩელო მანინასკომ სამეცნიერო ჟურნალში The Proceedings of the National Academy of Sciences გამოაქვეყნეს სტატია, სადაც ოდისეუსის ითაკაზე დაბრუნების თარიღად მიჩნეულია ძვ.წ. 1178 წლის 16 აპრილი.



ოდისეუსი კირკესთან კუნძულზე

„ათენის ახალი ამბების
სააგენტოს“
მასალების მიხედვით

მიხვდით ხანთის ჯილბო იმპერატორის, იოანე VI-ის ნაშბს



შლისელბურგის ციხე



რუსმა მეცნიერებმა არხანგელსკის ოლქის სოფელ ხოლმოგორში მიაკვლიეს ნეშტს, რომელიც საგრაუდოდ, რუსეთის უიღბლო იმპერატორს, იოანე VI-ს ეკუთვნის.

მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელის, ანატოლი კარანინის განცხადებით, ნეშტს მასშინ გადააწვდნენ, როდესაც გენერალისიმუსის, ბრაუნშვაიგის ჰერცოგ ანტონ ულრიხის საიდუმლო სამარხს ეძებდნენ, რომელიც ამ სოფელში 1776 წელს ღვთისმშობლის ეკლესიასთან დაუკრძალავთ.

არხანგელსკელმა არქეოლოგებმა ყურადღება მიაქციეს სარკოფაგს ძველ სამარხებს შორის. მასში ახალგაზრდა მამაკაცის ნეშტი ესვენა, რომლის მარცხენა მხარ-

საც აშკარად ემჩნეოდა მახვილით მიყენებული ჭრილობის კვალი. ამ გარემოებებისა და სარქიოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით მეცნიერებმა ფარაუდეს, რომ მიაგნეს გენერალისიმუსის უფროსი ვაჟის, იოანე ანტონის ძის (იოანე VI-ის) სამარხს, რომელიც შესაძლოა გადმოესვენებინათ ხოლმოგორში, სადაც იმ დროისათვის მისი ოჯახი იმყოფებოდა. სარკოფაგის ანალიზმა დაადასტურა, რომ მისი სიძველე იოანე VI-ის დაღუპვის თარიღს ემთხვევა. ხოლო გამოსახულების აღდგენამ დამზობილი იმპერატორის მშობლებთან გარეწული მსგავსება გამოავლინა.

იოანე VI, რუსეთის იმპერატორი, დაიბადა 1740 წლის 23 აგვისტოს პეტერბურგში. იმპერატორ ანა იოანეს ასულის გარდაცვალების შემდეგ, პრინცესა ანა ლეოპოლდის ასულის და ჰერცოგ ანტონ ულრიხის ორი თვის ვაჟი, რომელიც იმავედროულად მეფე ალექსეი მიხეილის ძის შვილთაშვილი იყო (ქალიშვილის მხრიდან), რუსეთის იმპერატორ იოანე VI-დ გამოცხადდა, რეგენტად კი კურლანდიის ჰერცოგი ბირონი დაინიშნა.

იოანე VI-ის მეფობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 404 დღის შემდეგ, პეტრე I-ის ქალიშვილმა ელისაბედმა სასახლის კარზე გადატრიალება მოაწყო, იოანე VI-ის ოჯახი კი ხოლმოგორში გადაასახლა. ჩვილი იოანე სამუდამოდ დაშორეს მშობლებს. 12 წელი მან ხოლმოგორში გაატარა პატიმრობასა და მარტოობაში. რიგითი ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც დამზობილ იმპერატორს დარაჯობდნენ, მას თანაგრძნობით ეპყრობოდნენ და აკრძალვის მიუხედავად წერა-კითხვაც ასწავლეს. 16 წლის იოანე შლისელბურგის ციხის ერთკაციან საკანში გადაიყვანეს, იმის შიშით, რომ ხელახლა არ აეყვანათ ტახტზე.

1764 წელს, უკვე ეკატერინე II-ის იმპერატორობის პერიოდში, ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრის გათავისუფლება ლეიტენანტმა ვასილი მიროვიჩმა სცადა, რაც იოანე VI-ის დაღუპვით დასრულდა. მას მახვილი მისივე მცველმა ჩასცა. პატიმრის ცხედარი საიდუმლოდ გადაასვენეს...

**„კრონიუსის“
მასალების მიხედვით**

ჩა სანიღიძოს ინახავს ქობულეთის ფიჭვნახი...

*ახალმშენებლობებს წარსულის ნაშთები
არ უნდა გადაგაყოლოთ...*

ქობულეთის ფიჭვნარში ნამდვილი სამშენებლო ბუშია. ახალმშენებლობებს კი ძვ.წ. VIII-VII საუკუნის კოლხური კულტურის ძეგლები ეწირება, რომელთა ნაწილი უკვე დაზიანდა ან განადგურდა, ნაწილსაც განადგურების საფრთხე ემუქრება.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით თავისუფალი ტურისტული ზონის მშენებლობისათვის ადგილი სწორედ არქეოლოგიურ აღმოჩენათა ტერიტორიაზე, ფიჭვნარში გამოიყო და შარშან შემოდგომაზე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საზეიმოდ გახსნა კიდეც. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ვერა ქობალიას განმარტებით, პროექტის განხორციელება ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია და ამ პროექტით „არა მხოლოდ მშენებლობის დროს, ანუ 2011 წელს დასაქმდება ათას ადამიანამდე, შემდეგაც როგორც ქობულეთის, ასევე მთელი აჭარისა და მთელი საქართველოს მოსახლეობას ექნება საშუალება, ამ პროცესში ჩაერთოს“.

სპეციალისტთა აზრით, თავისუფალი ტურისტული ზონის მშენებლობა და ხალხის დასაქმებაზე ზრუნვა ცუდი არ არის, თუმცა ეს პროცესი კულტურული მემკვიდრეობისთვის საფრთხის შექმნის ფონზე არ უნდა წარიმართოს.

როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სპეციალისტთა შეფასებით, ქობულეთის ფიჭვნარის ტერიტორიაზე განთავსებული ძეგლები უნიკალურია. ამიტომ არქეოლოგიური გათხრები აქ რამდენიმე ათეული წელიწადია გრძელდება. ეს მიწისქვეშა ძეგლი 100 ჰექტარზეა გაშლილი. წარმოდგენილია ძვ.წ. II-I ათასწლეულების კოლხური კულტურის ნაშთები. გარდა ამისა, ამავე ტერიტორიაზე ამიერკავკასიაში ბერძნულ ეთნოსთან დაკავშირებული, ძვ.წ. V-IV საუკუნეების ერთადერთი ძეგლი – ნეკროპოლი. ქობულეთის ფიჭვნარში 18 წლის განმავლობაში მუშაობდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ექსპედიციაც.

ანტიკური ხანის ნაქალაქარი, კოლხური კულტურის ნაშთებითა და ელინისტური ეპო-



ქის სამარხებით უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს.

ირაკლი ჩაღლიშვილი, ბათუმის საკრებულოს წევრი, არქეოლოგი: „სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდეგ, ქობულეთის ფიჭვნარის ტერიტორიაზე ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანდა ან საერთოდ განადგურდა. ანგრევენ ჩვენს თვითშეგნებას, წარსულს, კულტურულ მემკვიდრეობას. ამ პროცესს გამოუსწორებელ შედეგებამდე მივყავართ. იმას, რაც უკვე დაზიანდა, ვედარ აღადგენ. სამწუხაროდ, ქობულეთის ფიჭვნარში სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა არ მომხდარა“.

სპეციალისტთა განცხადებით, ეს არ გაკეთებულა იმის მიუხედავად, რომ არქეოლოგიური მასალა აქ თითქმის მიწის ზედაპირზე დევს.

როგორც ადგილობრივები ირწმუნებიან, არქეოლოგებს გათხრების წარმოების ნება მას შემდეგ დართეს, რაც სამშენებლო ტექნიკის მუშაობისას ძველი ნივთები გამოჩნდა და ამ ფაქტებს ხმაური მოჰყვა.





პაატა გაფრინდაშვილი: „ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც სასტუმროების კომპლექსი შენდება, არქეოლოგიური ძეგლებია. კერძოდ, სამაროვანი და ნასახლარები. აქედან გამომდინარე, ჩვენი ინიციატივით მოვითხოვეთ არქეოლოგიური გათხრების დაწყება. ჩვენი არქეოლოგები 2010 წლის ნოემბრიდან უკვე მუშაობენ იქ. ათამდე სამარხია დაფიქსირებული. უამრავი კერამიკული მასალაა აღმოჩენილი. ნაპოვანია რამდენიმე ვერცხლის მონეტაც“.

ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს **ამირან კახიძეს** კი ეს ნაბიჯი დაგვიანებულად მიაჩნია: „აუცილებელი იყო, მშენებლობის დაწყებამდე ვყოფილიყავით საქმის კურსში და გვქონოდა არქეოლოგების თუნდაც წინასწარი დასკვნა. ეს გაუგებრობას თავიდან აგვაცილებდა. თუმცა ასე არ მოხდა და იმ ტერიტორიაზე, სადაც მშენებლობა არქეოლოგების შესვლამდე დაიწყო, ძეგლების უმეტესი ნაწილი მეცნიერებისთვის დაიკარგა და დაინგრა. საბედნიეროდ, სპეციალისტებმა ორი ძეგლიდან ერთის, ელინისტური ხანის სამაროვნის გადარჩენა მაინც შეძლეს. ორმოცამდე სამარხი გათხარეთ, უნიკალური

„რაც გათხრები დაიწყო, მასალები თითქმის ყოველდღიურად ამოდის. ეს ადგილი დაცულ ტერიტორიად იმიტომაცაა გამოცხადებული, რომ აქ არქეოლოგიური მასალა საძებნელი არ არის. ყველა ბარის პირს რაღაც ნივთი მოჰყვება“, — გვეუბნება ბათუმის მუზეუმის თანამშრომელი, არქეოლოგი **იზო დუმბაძე**.

ამირან კახიძე, ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი: „ამ ტერიტორიაზე ქართული, კოლხური კულტურის ბრწყინვალე ძეგლია განთავსებული, რომელიც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. ეს ის პერიოდია, როცა კოლხური კულტურა განვითარების ზენიტზე იმყოფებოდა“.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში უარყოფენ, რომ ქობულეთში თავისუფალი ტურისტული ზონის მშენებლობა ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის გარეშე დაიწყო, თუმცა სააგენტოს ექსპერტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი **პაატა გაფრინდაშვილი** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა მშენებლობასთან ერთად დაიწყო.



ინვენტარით, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებით, მონეტებით. ერთ-ერთზე კოლხური წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაებების: შზის დისკოსა და ნახევარმთვარის გამოსახულებაა დაძერწილი“.

რაც შეეხება მეორე ძეგლს, ქვიშაზვინულებს, რომელიც უნიკალურია და მხოლოდ საქართველოს ზღვისპირეთისთვისაა დამახასიათებელი, ექსპედიციის ხელმძღვანელის განმარტებით, აქ აღმოჩნდა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ხუთი საკურთხეველი და სამსხვერპლო მოედანი.

ამირან კახიძე: „ამ უნიკალური ძეგლის ნაწილი არქეოლოგების მისვლამდე მშენებლებმა მიწასთან გაასწორეს. ის თანხები კი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ სამუშაოების წარმოებისთვის ნოემბერში გადარიცხა, არქეოლოგიური სამუშაოების დასრულებისთვის საკმარისი არ არის. მხოლოდ შენობის საძირკვლის ადგილის შესწავლას ვასწრებთ. დანარჩენი რა და როგორ იქნება, არ ვიცი. ძეგლს საბოლოოდ ალბათ, ვერ გადავარჩენთ“.

სამაროვნის ტერიტორიაზე სპეციალისტებმა არაერთ საინტერესო ნივთს მიაკვ-



ახალმოჩენილი ჭურჭელი



ანთროპომორფული საკიდები ელინისტური ხანის სამაროვიდან



ეს სამარხები ფაქტობრივად ბულდოზერებს გამოვლियვთ...

ლიეს. მოპოვებულ მასალებზე საუბრობს ფიჭვნარის ექსპედიციის წევრი, არქეოლოგი **თამარ შალიკაშვილი:** „ერთ-ერთი სამარხის გათხრისას ვნახეთ მიცვალებულის თვთან ჩადგმული ადგილობრივი წარმოების კერამიკული დოქი, რომელსაც ერთგვარი ნიშანიც კი აქვს. რაც შეეხება საღვინე ჭურჭელს, ის დიონისეს კულტს უკავშირდება და უცხოურია“.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ მოსაზრება არქეოლოგიური მასალის შესაძლო დაზიანების ან განადგურების შესახებ გაზვიადებულია. აღმოჩენილ უნიკალურ ნივთებს კი საზოგადოება სულ მალე იხილავს.

ადგილობრივი სპეციალისტები კი სააგენტოს ენთუზიაზმს არ იზიარებენ. არქეოლოგები ამბობენ, რომ ახლა ერთადერთი გამოსავალია, სიძველეთა გამოჩენის შემთხვევაში მშენებლებმა სპეციალისტებს დაუყოვნებლივ აცნობონ.

ბუნებრივია, ახალმშენებლებს წარსულის ნაშთები არ უნდა გადაეყვით. და რაც მთავარია, ამ საკითხზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. ვფიქრობთ, ქობულეთის ფიჭვნარი არაერთ საიდუმლოს გაგვიმხელს... ■



„ოდესმე დიდი ყოფილა“

**რატომ იმცა ისტორიის
კუთხეწილებად აღმავანებლისა და
თამარის ქვეყანა**

„ნიკოფსიიდან დარუბანდის ზღუამდე და ოსეთიდან სოერად არეგაწამდე“ — ასეთ საზღვრებში აქცევდნენ საქართველოს დავით აღმაშენებლის ეპოქაში, მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა შეუქცევადი პროცესით მიმდინარეობდა. XIII საუკუნის დამდეგს კიდევ

უფრო გაიზარდა საქართველოს პოლიტიკური გავლენა კავკასიისა და წინა აზიის ქვეყნებზე. ამ დროისთვის საქართველო მთელ საქრისტიანოში უკვე მეორე კონსტანტინოპოლის ანუ მეორე ბიზანტიის ფუნქციის აღებას ცდილობდა. იქმნებოდა შესაბამისი იდეოლოგიური საფუძვლებიც. XIII საუკუნის საქართველო შემოერთებული ტერიტორიებით (ჩრდილოეთ სომხეთი, შირვანი და სხვ.) მოიცავდა დაახლოებით 205,4 ათას კვკმ-ს.



საქართველო“


თუმცა აქ არ იგულისხმება იმ ქვეყნების ტერიტორიები, რომლებიც საქართველოს პროტექტორატის ქვეშ იყვნენ. მაგალითად, ტრაპიზონის სამეფო, ჩრდილოეთ კავკასიის სამეფო-სამთავროები, წინა აზიის საამიროები. აი, ასეთი მემკვიდრეობა მიიღეს ქართველმა მეფეებმა მონღოლთა ლაშქრობების წინ. მონღოლთა, შემდეგ ირანელთა და თურქთა ურდოების შემოსევებმა ისტორიის კუთვნილებად აქცია ღვათისა და თამარის დროინდელი

საქართველოს სიძლიერე. მტერი არა მარტო ძარცვავდა, არბევდა და ანადგურებდა ჩვენს სამშობლოს, არამედ უშუალოდ იერთებდა ქართულ მიწა-წყალს. ასეთი ბედი ეწია სამცხე-საათაბაგოს XVI საუკუნეში, როცა ეს კუთხე უშუალოდ ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

XV საუკუნიდან მოყოლებული, ერთიანი საქართველო სხვადასხვა სამეფო-სამთავროდ დაიშალა და შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორიაც დანაწევრდა.

XVI-XVII საუკუნეებში ოსმალთა და ირანელთა დაპყრობითმა ომებმა კიდევ უფრო საგრძნობლად შეამცირა საქართველოს ისტორიული ტერიტორია. ამასთანავე, მტერი ძალუძემ ცდილობდა უცხო ელემენტების ჩასახლებას საქართველოს ტერიტორიაზე, რითაც საფუძველს ქმნიდა სამომავლოდ ამ რეგიონების სამშობლოდან მოსაწყვეტად. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მართალია, ქვეყანამ შედარებით მშვიდობა მოიპოვა, მაგრამ ამჯერად ახალი საფრთხე გაჩნდა — ერთი მხრივ, რუსი კოლონიზატორებისა და მეორე მხრივ, საქართველოში სხვადასხვა უცხო მოდგმის ხალხთა დასახლებით. ქვეყნის არაერთი კუთხე აღმოჩნდა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე. მარტო სამხრეთ საქართველოში 1828-1829 წლებში გრაფმა პასკევიჩმა 25000-მდე სომეხი ჩამოასახლა. დემოგრაფიული სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა საქართველოს სხვა რეგიონებშიც. მაგალითად, შავი ზღვის ზოლზე — აფხაზეთსა და ქვემო ქართლში. პროცესი აქაც მსგავსი სცენარით მიმდინარეობდა. რუსეთის იმპერიის მესვეურები ათასობით და ათიათასობით უცხოელს ასახლებდნენ ქართულ მიწაზე, ამან კი აღნიშნულ მხარეებში ეთნიკური სიჭრელე გამოიწვია — ბევრ რეგიონში ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

ახალი ეტაპი საქართველოს ტერიტორიების დატაცებისა განხორციელდა XX საუკუნის 20-იან წლებში. ეს პროცესი დაკავშირებულია საბჭოთა რუსეთის ანტიქართულ პოლიტიკასთან. ქართული მიწების გაცემა-გაჩუქების ფაშს განსაკუთრებით აქტიურობდნენ მოსკოვსა თუ კავკასიაში მოღვაწე ქართული წარმომობის ბოლშევიკები. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართული მიწების ასეთი „ხავერდოვანი დატაცება“ არ მომხდარა ჩვენი ქვეყნის ისტორიის არც ერთ ეტაპზე.



ვერსალის სასახლეში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკება, 1919 წ.

საზღვრები, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველო ითხოვდა...

1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ საქართველო მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას — სამხრეთ კავკასიის თითქმის 45% ეკავა და რეგიონში ყველაზე დიდ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მასში შედიოდა ართვინის, არდაგანის, ლორეს, ზაქათალის ოლქები. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას მნიშვნელოვანი და არცთუ უსაფუძვლო პრეტენზიები ჰქონდა რუსეთისადმი სოჭის ოლქთან დაკავშირებითაც. ამასთანავე, საქართველო მოითხოვდა ოლთისისა და ტრაპიზონის ვილაიეთის შემოერთებასაც. 1919 წლის ივლისში პარიზის სამშვიდობო კონფერენციისადმი წარდგენილ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მოხსენებაში ვკითხულობთ: „საქართველოს დელეგაცია ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცვას თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალისა და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთისი და არდაგანი) და შავიზღვისპირეთის ოლქის რამ-

დენივე ნაწილი, აგრეთვე, ტრაპიზონის ვილაიეთი (ტრებიზონი)“. მოხსენებას თან ერთვის იმდროინდელი საქართველოს საზღვრების დეტალური აღწერა. საყურადღებოა, რომ საქართველოს სახმელეთო საზღვარი იწყება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, პატარა მდინარე მაკოფსეს შესართავიდან, რომელიც ქალაქ ტუაფსეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა 14 კმ-ში. მოხსენების მიხედვით, საზღვარი შემდეგ კავკასიონის ქედს მიუყვებოდა, სოფელ ლარსთან გადიოდა ჩრდილოეთ სექტორში, სოფლიდან 5 კმ-ის მოშორებით. აქედან მიუყვებოდა მდინარე არკმეხს — თურგის პატარა შენაკადს სოფელ ლიადჟამდე, საიდანაც საზღვარი გრძელდებოდა აღმოსავლეთისკენ ყარა-ჩაის მთამდე. შემდეგ მიემართებოდა ზაქათალის ოლქსა და ქალაქ ნუხის რაიონის უძველეს საზღვარზე, უზვევდა სამხრეთით და მდინარე ალაზანთან შეერთებამდე მიჰყვებოდა მდინარე ყარა-ჩაის დინებას. გაივლიდა ბორჩალოს (თბილისის გუბერნია) და ყაზახის (ელიზავეტოპოლის გუბერნია) რაიონების ძველი საზღვრის გასწვრივ, შემდეგ კი თბილისისა და ერევნის გუბერნიების ძველ საზღვარს მიუყვებოდა. სამხრეთით,

საქართველოში რჩებოდა არდაგანი, ტაო, კლარჯეთი, ხოლო რიხესთან საზღვარი გადიოდა შავ ზღვაზე.

სწორედ ამ საზღვრებში ითხოვდა საქართველოს მთავრობა ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკის ცნობას. მართალია, მოგვიანებით საქართველოს საზღვრის საკითხმა ერთგვარი კორექტირება განიცადა, მაგრამ ზოგიერთი ტერიტორიის (მაგალითად, სოჭის ოლქის, ლაზისტანის...) საქართველოს შემადგენლობაში ცნობისგან მენშვეიკებმა საბოლოოდ თავი შეიკავეს, სამაგიეროდ, ძალუძად ცდილობდნენ დარჩენილ ტერიტორიაზე თავისი ძალაუფლების გავრცელებას. რამდენად გამოსდიოდათ და რამდენად ჯეროვნად იყო მიმართული ქვეყნის ხელისუფალთა ყურადღება ამ კუთხით, ეს სხვა საკითხია.

**ქვეყნის დაჩეხვისა და
ბასაჩუქრების დასაწყისი**

1921 წლის საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა რუსეთმა, თავისი ადგილობრივი აგენტების მეშვეობით, იმთავითვე დაიწყო ჩვენი ქვეყნის დაჩეხვა და გასაჩუქრება. ეს იყო საქართველოს ტერიტორიის კიდევ ერთი დანაწილება, რომელიც თავისი შედეგებით, თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ XX საუკუნის

ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველაზე ტრაგიკულ მოვლენად. შედეგი ამ პროცესისა კი ის გახლდათ, რომ საქართველოს ჩამოეჭრა დღევანდელ ტერიტორიასთან შეფარდებით ფართობის თითქმის 25%.

თურქეთსა და რუსეთს შორის მოქცეული საქართველო იძულებული გახდა, ამ ორი დიდი მეზობლისათვის თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო. ასევე რამდენიმე რაიონი გადაეცა აზერბაიჯანსა და სომხეთს.

ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა დამოუკიდებელმა საქართველომ დასაწყისში, თურქეთა ზეწოლის შესაჩერებლად, გარკვეულწილად ცნო მათი პრეტენზიები, მაგრამ 1919 წელს ვითარება კარდინალურად შეიცვალა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირის — ოსმალეთის დამარცხებამ საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა მისცა, დაკარგული ტერიტორიის შემოერთებისთვის ეზრუნა. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა პარიზის სამშვიდობო კონფერენციისადმი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მოხსენების წარდგენაც, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ. 1919 წელს საქართველო იერთებს ჯერ ჩრდილოეთ არტაანს, შემდეგ კი ამ პროვინციის სამხრეთ ნაწილსაც. მიმდინარეობს დიპლომატიური მუშაობა ართვინისა და ტაოს





გენერალი გიორგი კვინიტაძე
მეომრებთან ერთად, 1918 წ.

ოლქების შემოერთებისთვის. ახალშექმნილ ტერიტორიებზე აქტიურად მიდის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფორმირება. ეს პროცესი თითქოსდა საქართველოს სასიკეთოდ ტრიალებდა, მაგრამ მოკლე ხანში პირველი ქართული რესპუბლიკა წითელი რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდა და ბუნებრივია, უდიდესი მოვლენა — ქართული მიწების შეკრება-გაერთიანების პროცესი ისტორიის კუთვნილებად იქცა. რუსეთმა უყოყმანოდ განაცხადა უარი სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე და იგი თურქებს გადაუღოცა.

თურქეთ-საქართველოს საზღვრის დემარკაციის საკითხი განსაზღვრა ორმა შეთანხმებამ: 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებამ და 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებამ. მართალია, 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ იურიდიულად საქართველო კვლავ ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, მაგრამ ფაქტობრივად, იგი რუსეთის გავლენის ორბიტაში იყო მოქცეული და ჩვენი ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, რეალურად, რუსეთი განაგებდა. ამიტომაცაა, რომ უკვე მოსკოვის მოლაპარაკებაზე თურქეთმა სწორედ რუსეთის წინაშე დასვა საქართველო-თურქეთის საზღვრის დე-

მარკაციის საკითხი, რაც აისახა კიდევ საბოლოო დოკუმენტში.

ქართული მიწა-წყლის თურქეთისთვის გადაცემა მოსკოვში გადაწყდა, ხოლო მოგვიანებით, 1921 წლის 13 ოქტომბერს, ისევ და ისევ რუსეთის შუამდგომლობით, ქართულმა მხარემ „მიიღო“ ეს წინადადება ყარსში — ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის ურთიერთმეგობრობის ხელშეკრულების გაფორმებისას. ამიერიდან საზღვარს უნდა გაეგლო: სოფელ სარფიდან (შავი ზღვიდან) კარა შალვარის მთა, სოფელ მარადიდის ჩრდილოეთ სექტორი, გადაეკვეთა მდინარე ჭოროხი, გაეგლო სოფელ საბაურის ჩრდილოეთით, შემდეგ — ხედის მთა, ქვაკიბის მთა, სოფელი ქეთარეთი, გაპყლოდა მეჯიბნას მთის წყალგამყოფ ხაზს, გაეგლო გერათკესუნის მთა, ქორდას მთისა და შავშეთის მთის წყალგამყოფი ხაზი. ამის შემდეგ საზღვარი გადიოდა სარი ჩაიას მთაზე, ყვირალას უღელტეხილზე. იქიდან კი მიუყვებოდა არდაგანისა და ყარსის სანჯაყების ადმინისტრაციულ საზღვარს.

ეს შეთანხმება, ფაქტობრივად, გამოხატავდა საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს და გაგრძელება იყო იმ პოლიტიკისა, რასაც წითელი რუსეთი წარმართავდა თურქეთის მი-

მართ. ყველაზე ტრაგიკული კი, რაც ამ შეთანხმებამ ჩვენს ქვეყანას მოუტანა, იყო ის, რომ საქართველომ საბოლოოდ უარი თქვა თავის ისტორიულ ტერიტორიებზე — კოლაზე, არტაანზე, შავშეთზე, კლარჯეთზე, ჯავახეთისა და აჭარის ნაწილზე.

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის მიღმა დარჩა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი — მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი (936 კვკმ), ართვინის ოლქი (3339 კვკმ), არტაანის (არდაგანის) ოლქი (ფოცხოვის უბანთან ერთად 5725 კვკმ), ტაოს ანუ ოლთისის ოლქი (3051 კვკმ). ამ ჩამონათვალში ჩვენ შეგნებულად არ შევიტანეთ ლაზისტანი, რადგანაც ეს ტერიტორია, მართალია, დასახლებული იყო ქართველებით, მაგრამ იგი უკვე V-VI საუკუნიდან საქართველოს შემადგენლობაში აღარ შედიოდა.

ამდენად, 1921 წელს თურქეთმა საბოლოოდ შეიერთა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაწილი — 13051 კვკმ ფართობზე მეტი.

რუსეთმა „შვიტროს კმას“ ტერიტორიები წაართვა

საქართველოს დანაწილების მთელი ეს პროცესი რუსეთიდან იმართებოდა გაუკუღმართებული, „გაკოსმოპოლიტიკური“ ქართველების წყალობით და ისე როგორ იქნებოდა, თავად რუსეთს არ წაედო თავისი „წილი“ ჩვენი ისტორიული ტერიტორიებიდან.



გენერალი გიორგი მაზნიაშვილი



მდინარე ნიკოფსის მიდამოები

უძველესი დროიდან საქართველოს ჩრდილოდასავლეთი საზღვარი ნიკოფსიამდე აღწევდა. ეს გეოგრაფიული პუნქტი კი ტუაფსის რაიონშია საძიებელი. ლეონტი მროველი XI საუკუნეში წერდა: „მისვე აღერკის მეფობასა მოვიდეს ათორმეტთა წმინდა მოციქულთაგანი ანდრია და სიმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმინდა სიმონ ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა“. იმავე XI საუკუნის მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიის პატრიარქს უხსნიდა: „ერთი წმინდა ათორმეტთა მოციქულთაგანი — სიმონს ვიტყვ კანანელსა — ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდებს“. საერთოდ, ქართული წყაროები ნიკოფსიას უცილობლად საქართველოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ. შესაბამისად, მანამდე გადაჭიმული ტერიტორიაც ქართველთა ქვეყანა იყო. შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი მთაწმინდელი, რომელიც წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან იყო, საგანგებოდ მიუთითებს, რომ სიმონ კანანელი „ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს“-ო. ეს ამკარად მეტყველებს, ერთი მხრივ, საერთო ქართულ ცნობიერებაზე და, მეორე მხრივ, ნიკოფსიის საქართველოსადმი კუთვნილებაზე. გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოდასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან წარმართულმა მიგრაციის პროცესმა საგრძნობლად შეამცირა ქართული ელემენტი გაგრა-ტუაფსის სექტორში. თანდათან ქვეყნის საზღვარმა ოდნავ სამხრეთ-აღმოსავლეთით გადმოინაცვლა მდინარე ფსოუმდე.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველ პერიოდში (1918-1919) საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა სოხუმისა და სოჭის ოლქები. ე.ი. იმხანად ჩვენი საზღვარი რეალურად აღწევდა ისტორიულ ნიკოფსიამდე.

XIX საუკუნის II ნახევარში სოხუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა. 1903 წელს მეფის რუსეთმა იგი ცალკე ერთეულად გამოყო, ოღონდ მისი ერთი ნაწილი — გაგრის სექტორი შავიზღვისპირეთის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. 1918 წლის ზაფხულში ქართულმა ჯარებმა აფხაზეთში სამხედრო მოქმედებების დროს მოახერხეს სოჭისა და ტუაფსის აღება. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა გენერალი გიორგი მახინიაშვილი. ეს უკანასკნელი იგონებს: „როგორც ტფილისიდან, ისე აფხაზეთის ეროვნული საბჭოდან მივიღე ანალოგიური ბრძანებანი: წამეწია წინ და დამეჭირა სოჭი. მიზეზი, როგორც გადმომცეს პირდაპირი მავთულით, ვითომდა თხოვნა-მუდარა იყო სოჭში მცხოვრებ ქართველებისა, ხოლო აფხაზეთის ეროვნული საბჭოს ზოგიერთი წევრი მარწმუნებდა, რომ აფხაზეთს ეკუთვნოდა არა მარტო სოჭი, არამედ აფხაზეთის საზღვარი უძველეს დროში ანაპამდეც მიდიოდა“. ამის შემდეგ, 1918 წლის ივლისში ქართული არმია შეტევაზე გადადის და ჯერ სოჭს იღებს, შემდეგ კი ტუაფსეს. ამის პარალელურად მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა სოჭის ოლქის ადგილობრივ მოსახლეობასთან. 1918 წლის 18 სექტემბრის რეზოლუციით, ქალაქ სოჭის სოციალისტური პარტია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისგან მოითხოვდა, დაუყოვნებლივ მოეხდინათ სოჭის ოლქის საქართველოსთან შეერთების დეკლარირება. ამავე თხოვნით მიმართავდა

საქართველოს მთავრობას სოჭის სოციალ-რევოლუციური პარტია. სოჭის მოსახლეობის 20 სექტემბრის მიმართვაში ვკითხულობთ: „სოჭის მოქალაქენი გამოთქვამენ სურვილს, რომ საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ, საგანგებო დეკრეტით გააფორმოს სოჭის ოლქის დროებითი შეერთება რესპუბლიკასთან“.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობა სოჭის ოლქს მაინც რუსეთის კუთვნილებად მიიჩნევდა და მის დაკავებას დროებით მოულოდნელად თვლიდა. ეს კარგად ჩანს საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჯკორის განცხადებიდან, რომელიც მან გააკეთა ე.წ. „დობროარმიის“ სარდლობასთან მოლაპარაკებისას. „ამასთან, — დასძინდა მინისტრი, — მე ვფიქრობ, რომ სოჭის ოლქი და აჭარა არაფრით ეწინააღმდეგება თქვენს მიზნებსა და ამოცანებს. თუ მართლა შემდგომში აღდგა ახალი რუსეთი, რაშიც მე ეჭვი არ მეპარება, მაშინ ჩვენ წინაშე შეიძლება დაისვას საკითხი არა მარტო სოჭის ოლქის დაბრუნების შესახებ, არამედ უფრო დიდი საკითხი და ეს თქვენ ანგარიშში უნდა მიიღოთ“. ასეთი განცხადების მიუხედავად, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საქართველოს მთავრობა, ამკარად თუ ფარულად, სოჭის ოლქის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას ცდილობდა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციისადმი წარდგენილ მოხსენებაში საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი სწორედ ტუაფსეს სექტორშია ნაჩვენები. საგარეო-პოლიტიკური ვითარების



გენერალი ანტონ დენიკინი „დობროარმიის“ შემოღობვასთან ერთად



მიტინგი ქალაქ სოჭში, სადაც ჩანს ქართული ტრანსკაპრანტები

ცვლილებასთან ერთად, საქართველოს მთავრობის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით თანდათან იცვლება. საბოლოოდ, საზღვრის დემარკაციის პრობლემა გადაწყვეტა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ, სადაც ერთმნიშვნელოვნად დაფიქსირდა ორ ქვეყანას შორის არსებული სასაზღვრო ზოლი. ხელშეკრულების მეხამე მუხლში ეს საკითხი ასეა ფორმულირებული: „სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გაივლის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუმდე, ახახჩას მთამდე, მთა ახახჩა და მთა ავაპეტით და ჩრდილოეთის საზღვრებით ყოფილი შავი ზღვის, ქუთაისისა და ტფილისის ყოფილი გუბერნიების ზაქათალის ოლქამდე და ამ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით სომხეთის საზღვრამდე“. ამდენად, საქართველომ უარი განაცხადა სოჭის ოლქზე, სამაგიეროდ საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობაში სამუდამოდ მოექცა სოხუმის ოლქი ანუ აფხაზეთი. მიუხედავად საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის ამგვარი გარიგებისა, გასაბჭოების შემდეგ მოსკოვმა მაინც ჩამოაჭრა საქართველოს ტერიტორიები, თუმცა და მცირე ნაწილი. სკკპ ცკ-ის 1925 წლის დადგენილებით, რუსეთს გადაეცა აფხაზეთის ნაწილი — პილენკოვო (განთიადი) 268,15 კვკმ ფართობით, ხოლო 1927 წელს — მელხესტი

და ცეკარო (დუშეთის მაზრა) 166,78 კვკმ ფართობით. მოგვიანებით, 1929 წელს პილენკოვო (განთიადი) და ერმოლოვკა (ლესელიძე) კვლავ დელასამშობლოს დაუბრუნდა. საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი ამიერიდან მდინარე ფსოუზე დამკვიდრდა. რაც შეეხება მელხესტსა და ცეკაროს, ისინი სამუდამოდ დაეკარგა საქართველოს.

ზემოთ განხილული საკითხები კიდევ უფრო აქტუალური ხდება დღეს, ვინაიდან ჩვენი მეზობლები არ დაკმაყოფილდნენ მიღებული „საჩუქრით“ და მეტს მოითხოვენ. ამის დასტურია 2008 წლის რუსული აგრესია და საქართველოს ტერიტორიაზე „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკების შექმნა, რომლებიც ფაქტობრივად რუსეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენენ. დღეს, სიტყვით, საქმითა თუ ხმლით უნდა დავიცვათ თითოეული გოჯი ჩვენი მიწა-წყლისა, რადგანაც დასაკარგ-გასაცემი უკვე აღარაფერი დავგვრჩა.

ამასთანავე, საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზულად უნდა იზრუნოს დაკარგულ ტერიტორიაზე მოსახლე ქართველებსა და ამ ადგილებში არსებულ ისტორიულ ძეგლთა მოვლა-პატრონობაზე. ეს ზოგადსახელმწიფოებრივი პრობლემაა და მას დროულად უნდა მიხედვა. ■

ხანძრის
მაშობა
მონასტერი

ტაო-ხანჯეთის ქვების აღებენს ახ მხოლოდ საჩხთველო ელის...

ტაო-კლარჯეთის სახელწოდებით პირობითად აღვნიშნავთ იმ ძველ ქართულ რეგიონებს, რომლებიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. ამ მხარეს ილია ჭავჭავაძე „ოსმალეთის საქართველოდ“, გიორგი ყაზბეგი „თურქეთის საქართველოდ“, ივანე ჯავახიშვილი „ზემო ქართლად“, ექვთიმე თაყაიშვილი „სამუსლიმანო საქართველოდ“ მოიხსენიებს. ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა: „ისტორიულ ხანაში ამ ტერიტორიაზე არსებობდა შემდეგი ქართული თემები: ფოსო, ჩრდილი, არტანი, ერუშეთი, კოლა და ფოცხოვი მტკვრის ხეობაში; ტაო, თორთუმი, ისპირი, კლარჯეთი, ნიგალი, შავშეთი და იმერხევი ჭვროხის ხეობაში“. ამ ტერიტორიაზე შემორჩენილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების დიდი ნაწილი მსოფლიო ღირებულებისა და საკაცობრიო კულტურის მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს.

თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული ძეგლების მდგომარეობა საგულალოა. დიდი ხანია პრობლემა არა მარტო სპეციალისტების, არამედ საზოგადოების განსჯის მთავარ საგნად იქცა. უახლოეს მომავალში მდგომარეობა შესაძლოა გამოსწორდეს. კერძოდ, დღეს საქართველოსა და

თურქეთის შესაბამის სამინისტროებს შორის აქტიურად განიხილება თურქეთის ტერიტორიაზე არსებული იშხნის, ხანძრის, ოშკისა და ოთხთა ტაძრების რესტავრაციის საკითხი. სანაცვლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალური პერიოდის ოთხ ძეგლს ჩაუტარდება სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გენერალური დირექტორის ბატონ ნიკოლოზ ვაჩეიშვილის განმარტებით, მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით, ტაო-კლარჯეთის ქართული ტაძრების აღდგენის შემთხვევაში, თურქული მხარე ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში ჯამეს, ახალციხეში, რაბათის ტერიტორიაზე და სამცხეში მეჩეთებს აღადგენს, ხოლო ბათუმში დამწვარი აზიზის მეჩეთის ნაცვლად პრაქტიკულად ხელახლა აშენდება მეჩეთი. ეს უკანასკნელი სავარაუდოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში აიგო. გასული საუკუნის 50-იან წლებში მეჩეთი დაიწვა, ხოლო მის ადგილას საცხოვრებელი კორპუსი ააშენეს. შემორჩენილი ფოტომასალის საფუძველზე ბათუმის გარეუბანში მის მსგავს მეჩეთს დააპროექტებენ. ორივე ქვეყნის მთავრობა მოქმედებს ერთი პრინციპით: მთავარი მიზანი ისტორი-

ული ძეგლების გადარჩენაა.

ორ ქვეყანას შორის აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომელიც უკვე გადამწყვეტ ფაზაშია. საკარაუდოდ, მხარეები ოფიციალურ შეთანხმებას წელს გააფორმებენ. რამდენადაც ცნობილია, მომზადებული ხელშეკრულების პუნქტებით გათვალისწინებული არ არის აღდგენილი ძეგლების რელიგიურ-სარიტუალო დატვირთვა. ამდენად, დაიბრუნებს თუ არა თავდაპირველ ფუნქციას აღდგენილი სიწმინდეები, ჯერჯერობით უცნობია. რომელიმე მხარის მიერ ამ საკითხის განხილვა არა ხელშეკრულების, არამედ დამოუკიდებლად, პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა მოხდეს.

სარესტავრაციო ძეგლთა ნუსხაში შესული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობა თანდათან მძიმდება. ხანძთა გუმბათის, ხოლო სამი ძეგლი — სახურავის გარეშეა დარჩენილი, რის გამოც კედლის მხატვრობა იშლება. ამას ემატება ტაძრის ტერიტორიაზე „განძის მაძიებელთა“ თვითნებობა. დაუნდობლად აზიანებენ და ამახინჯებენ ძეგლთა პირვანდელ სახეს.

ხანძთის მამათა მონასტერი

მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში და ეს იყო პირველი მონასტერი, რომლის აშენებამაც დასაბამი მისცა დიდი სამშენებლო

და სასულიერო მოღვაწეობის ფრონტის ფართოდ გაშლას. პირველად აქ VII საუკუნეში ძელის ეკლესია აუშენებიათ, შემდგომში ადგილობრივი ფეოდალის, გაბრიელ დაფანჩულის ფინანსური დახმარებით მოხერხდა ქვის ეკლესიის აგება. საბოლოო სახე მონასტერმა 918-941 წლებში მიიღო. მონასტრის მთავარი ტაძრის მშენებლობას ჯერ ერისთავთერისთავი აშოტ კუხი აფინანსებდა, შემდეგ კი გურგენ VI. მათი ფინანსური მხარდაჭერით მოხერხდა მონასტრის საბოლოოდ აშენება, რომელსაც ხუროთმოძღვარი ამონი ხელმძღვანელობდა.

ხანძთის მონასტრის დაარსების პირველივე დღიდან აქ დიდი სამონასტრო ცხოვრება მიმდინარეობდა. მის ლიტურატურულ ტრადიციებზე აღიზარდნენ არსენ I (არსენ დიდი საფარელი), ევრემ მაწყვერელი (IX ს.), მაკარი ლეთელი. აქ მოღვაწეობდნენ მწერლები და კალიგრაფები, რომელთაგან აშკარად გამორჩეული ადგილი უკავია გიორგი მერჩულეს, რომელმაც დაგვიტოვა ერისთავის შეუფასებელი განძი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ სახით.

მონასტრის მთავარი ნაგებობა არის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, რომელიც საგანგებოდ მოსწორებულ ადგილზე დგას.

შიგნიდან ტაძრის ქვეშე შეინიშნება ბათქამის კვალი. სამწუხაროდ, სახურავის არარსე-

ასე გამოიყურებოდა აზიზის მეჩეთი ბათუმში





ხანძთა დღეს
ბუბა კუდავას ფოტო

ბობის გამო ბათქაში ჩამორეცხილია. შესაბამისად, ტაძარში აღარ გვხვდება კედლის მხატვრობა.

მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დგას სატრაპეზო, რომელიც უხეშად დამუშავებული დიდი ქვებითაა ნაგები. იგი მართკუთხედის ფორმის ნაგებობას წარმოადგენს. ეკლესიასა და სატრაპეზოს შორის ჩაშენებულია მცირე ზომის სამლოცველო და სენაკები.

ეკლესიის დასავლეთით დგას სამრეკლო, რომელიც კარგადაა შემონახული. იგი ტრადიციულად ორსართულიანია. სამრეკლოზე შემორჩენილია წარწერა, რომელშიც სამრეკლოს ქტიტორი მარკოზი, ხანძთის დეკანოზი ანტონე და კალატოზები იხსენიებიან. მონასტრის გალაუნს გარეთ არქიტექტურულად საკმაოდ კარგად გაფორმებული წყაროა, რომელსაც დაშენებული აქვს სამლოცველო. დღეს ამ სამლოცველოს გადახურვა და ზედა კედლები მთლიანად მოშლილია.

სამწუხაროდ, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე ამ მხარეში დღეს ძალიან დიდი საფრთხის წინაშე დგას. ხანძთის მთავარი ტაძრის გუმბათი, რომელიც ჯერ კიდევ 2007 წელს მთლიანი სახით იყო შემორჩენილი, ჩამონგრეულია. აღარ არსებობს გადახურვის კვა-

ლი, რის გამოც კედლებს წვიმის წყალი რეცხავს და ტაძრის ზედა ნაწილი დღითი დღე იშლება. რაც შეეხება სატრაპეზოს და სენაკებს, მათ ადგილობრივი მოსახლეობა პირუტყვის სადგომებად იყენებს. სამრეკლოში, სადაც თევზი ინახავდნენ, ხანძარი გაჩნდა. სამწუხაროა, მაგრამ ესაა დღევანდელი რეალობა.

იშხანო

შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უბრწყინვალესი ხუროთმოძღვრული ძეგლი მდებარეობს ტაოში, ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირზე.

თავდაპირველად აქ ტაძარი სომეხთა კათალიკოსს, ნერსესს აუგია VIII საუკუნეში. არაბთა შემოსევების დროს ტაძარი დაინგრა. IX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ტაძარი გრიგოლ ხანძთელის დედის დისწულმა და მისმა თანამოღვაწემ, საბა იშხნელმა ააშენა, რაზეც ინფორმაციას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გვაწვდის. აი, როგორ აღწერს გიორგი მერჩულე იშხანს: „ფრთხილ უხაროდა პოვნაი დიდებულისა მის ადგილისაი, რამეთუ იყო მას შინა ნუგეშინის საცემელი სულიერი და ხორციელი“. საბამ აღადგინა ტაძარი, რომელმაც საბოლოო სახე 1032 წელს ბაგრატ IV-ის ხელ-



იშხანი
ბუბა კუდავას ფოტო

ში მიიღო, ზუროთმოძღვარ ივანე მორჩაისძის ხელმძღვანელობით.

იშხანი, როგორც არქიტექტურული ძეგლი, ერთ-ერთი უბრწყინვალესია ქართველთა მიერ აშენებული ტაძრებიდან. იგი წარმოადგენს ჯვარგუმბათოვან ნაგებობას. მისი შიდა არქიტექტურული გადაწყვეტა საკმაოდ იშვიათია, საკურთხეველს აქვს გარშემოსავლელი, რომელიც წარმოადგენილია მდიდრული ორნამენტებით შემკობილი რვა სვეტით. ტაძრის მონატულობა საკმაოდ ცუდადაა შემორჩენილი, თუმცა კარგად განირჩევა გუმბათის მხატვრობა, რომელიც ლაზურიტითაა შესრულებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მონასტერი სამეფო მხარდაჭერით სარგებლობდა. აუცილებელია აღინიშნოს მისი ორიგინალური გადახურვის შესახებ, რაც სამწუხაროდ თვალსაჩინოდ მხოლოდ გუმბათზეა შემორჩენილი. გუმბათი გადახურულია მოჭიქული ფირუზისფერი კრამიტით.

პირველი იშხნელი ეპისკოპოსი სწორედ საბა იყო. ვახუშტის ცნობით: „აქ იჯდა... მწყემსი ისპირისა, თორთომის, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპიზონის მთამდე“. იშხნის საეპისკოპოსო კათედრამ XVII საუკუნის ბოლომდე იარსება. არსებობს ჩვენამდე მოღწეული მცირე ცნობები



იშხნის საკურთხეველი

იშხნელ ეპისკოპოსთა მოღვაწეობის შესახებ. ილარიონ იშხნელის (IX-X სს.) დაკვეთით გადაიწერა ასკეტურ თხზულებათა კრებული და მესტიის სახარება (1033 წ.). აქვე დამზადდა ვერცხლის ჭედური ჯვარი, რომელიც დღეს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს დღევანდელი მდგომარეობა. იშხნის ტაძარი შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ნუსხაში. მიუხედავად ამისა, მისი ჯეროვნად დაცვა ვერ ხერხდება. მასში



ბაღატი ტაძარის კვანძების
„სამშენისად“ ქცეულა...

ერთი პერიოდი გახსნილი იყო მეჩეთი, რის გამოც თვითნებურად ჩატარდა სამშენებლო სამუშაოები. ტაძრის შიდა კედლებს აშკარად ამჩნევია ხანძრის კვალი და წაშლილია ან თითქმის შეუძლებელია იქ არსებული კედლის მხატვრობის გარჩევა. სამწუხაროდ, მონასტრის ტერიტორიაზე დღეს საფეხბურთო მოედანია, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ თვითნებურად მოაწყო და ტაძრის ერთ-ერთ კედელზე კარი დაამაგრა. ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას. დარღვეულია და ტაძრის უმეტეს ნაწილზე თითქმის აღარაა გადახურვა, რის გამოც წვიმის დროს კედლებში წყალი ჩადის. შეუიარაღებელი თვალისთვისაც შესამჩნევია, რომ გუმბათსა და კედლებზე არსებული ბზარები დღითი დღე იმატებს.

ოშკი

X საუკუნის ქართული კულტურის ეს უნიკალური ძეგლი ჩვენ თვალწინ ნადგურდება და იძარცვება. გუმბათის ჩამოქცევის საფრთხე დიდია, ვინაიდან დამჭერი კონსტრუქციები დაზარალებული და დარღვეულია. შეიძლება ითქვას, რომ ტაძარი სახურავის გარეშე დარჩენილი, XI საუკუნის მხატვრობის ფრაგმენტები თანდათან იშლება. ოშკის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ იმერ ტაოში, მდინარე თორთომის (თორთუმისწყალი) ხეობაში, სოფელ ჩამლიამიში, რომელსაც თურქულად ოშვანკსაც უწოდებენ.

როგორც მეცნიერები ფიქრობენ, „ოშკი“ კოლხური სახელია. უზარმაზარ მიწებს შორის, ხეობათა თავშეყრის ადგილას მდებარე ტერიტორიას უძველესმა მოსახლეობამ „ოშქა“ (შუაში მდებარე) უწოდა.

მონასტერი აერთიანებდა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობას: იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარს, სამლოცველოებს, სატრაპეზოს, სკრიპტორიუმს, საცხოვრებელ სენაკებსა და სამეურნეო შენობებს. სამონასტრო კომპლექსის მთავარი ნაგებობა სამაფსიდიანი გუმბათოვანი ტაძარია. მშენებლობის პროცესის და უშუალოდ მამულებელთა შესახებ ინფორმაციას ტაძრის კედლებზე შესრულებული წარწერები გვაწვდიან.

ტაძარი აშენდა 963-973 წლებში ტაოს ბაგრატიონების – ბაგრატ ერისთავთერისთავისა და დავით III კურაპალატის ქტიტორობით, მშენებლობის ზედამხედველი იყო ვინმე გრიგოლი. შუა საუკუნეების მრავალი ქართული ტაძრის არქიტექტურას სათავე სწორედ X საუკუნის ოშკის ტაძარმა დაუდო. ოშკის გუმბათის მიხედვითაა აგებული ნახევარი საუკუნის შემდეგ ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, ალავერდი – კახეთში.

1022-1025 წლებში ბიზანტიის იმპერატორების ბასილი II-ის და მისი ძმის კოსტანტინე VIII-ის ბრძანებით ტაძარი ხელახლა გადაუხურავთ. 1036 წელს ტაძარი ნაწილობრივ მოუხატავთ ტაოს წარჩინებული სახელმწიფო მოღვაწის, პატრიკიოს ჯოჯიკის ფინანსური მხარდაჭერით.

ოშკი გამორჩეულია მთელი აღმოსავლეთის არქიტექტურის ისტორიაში. გამორჩეულია მასშტაბურობით, ჰარმონიულობით, პროპორციულობით არქიტექტურულ ფორმებში ახალი ელემენტები სჭარბობს. შიდა სივრცის გრანდიოზულობა, რელიეფისა და ჩუქურთმების სიუხ-

რესტავრატორები, ბუნებრივია, ოშკის უმოწყალოდ
დამსხვრეულ „სამკაულებსაც“ აღადგენენ...



ვე მას უფრო შთაბეჭდავს ხდის. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია ეპიგრაფიკული წარწერები. ყველა თავის მხრივ საინტერესოა, თუმცა გამორჩეულად ყურადსადები უნიკალური შინაარსის წარწერა-ანგარიშია, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოებისა და გაწეული ხარჯის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის. უნდა ითქვას, რომ ამ წარწერას ზოგადად ეპიგრაფიკაში ანალოგი არ მოეპოვება.

XIX საუკუნის II ნახევარში ადგილობრივმა მოსახლეობამ ოშკის ტაძრის სამხრეთ მკლავში ჯამე მოაწყო, რომელიც 1983 წელს გააუქმეს. 2002 წელს შემთხვევით ძველი ჯამეს შემორჩენილი კედლის დაშლისას მასში ჩადგმული ორი სტელიდან ერთ-ერთზე უცნობი წარწერა აღმოჩნდა. 2003 წლის ოქტომბერში ისტორიკოსმა ჯაბა სამუშიამ მეორე სტელაზე აღმოაჩინა 30-სტრიქონიანი წარწერა. ამ ინ-

ფორმაციაზე დაყრდნობით, მოგვიანებით სტელები კედლიდან ამოიღეს. ერთ მათგანზე გამოსახულნი არიან: იონან ნათლისმცემელი და მის ქვემოთ — ბაგრატ ერისთავთერისთავი, ხოლო მეორეზე ღვთისმშობელი ყრმით და დავით კურაპალატი. სტელებზე შემორჩენილი მრავალრიცხოვანი წარწერებიდან ერთ-ერთში აღნიშნულია ტაძრის მშენებლობის დაწყების ზუსტი თარიღი — 963 წელი.

ოშკის მონასტერი, როგორც უმნიშვნელოვანესი სასულიერო ცენტრი, მწიგნობრობისა და განათლების დიდი კერა იყო. აქ სხვადასხვა დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა არაერთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობარი, კალიგრაფი და ხელოვანი. აქვეა გადაწერილი ცნობილი ხელნაწერი ბიბლია, რომელიც ათონის მთაზე, ქართველთა მონასტრის — ივირონის წიგნთსაცავში ინახება. აღსანიშნავია, რომ ოშკის ბიბლიის ტექსტის ქართული თარგმანი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწის, დავით კურაპალატის სახელგანთქმული სარდლის, ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი მამულებლის, ტაოელი დიდებულის თორნიკე ერისთავის (ჩორღვანელი) შეკვეთით გადაიწერა.

ოთხთა

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ქართული ტაძრებიდან იგი ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. ულამაზეს ადგილზე აშენებული ეს შესანიშნავი ბაზილიკა ზუსტად რომელ წლებშია აგებული და ვის მიერ, ამის შესახებ სამწუხაროდ ზუსტი წყარო არ მოგვეპოვება. მისი გამოკვლევა პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა დაიწყო. მკვლევარ ვახტანგ ჯობაძის ვარაუდით, ტაძარი 961-965 წლებში უნდა აშენებულიყო, ხოლო შენების მეორე ეტაპი 978-1001 წლებში დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად არ ვიცით, ვინ იყო ამ ტაძრის ქტიტორი, სავარაუდოა, რომ მას ფინანსურ მხარდაჭერას სამეფო ხელისუფლება უწევდა, რაზეც პირველ რიგში ტაძრის მასშტაბი და მხატვრობის შემორჩენილი ფრაგმენტები გვაფიქრებინებს. მხატვრობა შესრულებული უნდა ყოფილიყო ლაზურიტით, რომლის კვალიც ამკარად განინიჩევა.

X საუკუნის ეს მშვენიერი ტაძარი გამორჩეულია არქიტექტურული მნიშვნელობითაც. არსებული ბაზილიკური ტაძრებისგან საკმაოდ განსხვავებულია თავისი მასშტაბით. მისი სი-



სტელა ღვთისმშობლისა და დავით კურაპალატის გამოსახულებით



გრძე 28 მეტრს აღწევს, სიგანე 19, ხოლო სიმაღლე 23 მეტრს. მის მასშტაბურობას განსაკუთრებულ ელფერს სძენს ტაძრის პერანგი, რომელიც შესრულებულია თლილი მორუხო ქვით. მონასტერი დახურულია თლილი ქვით, რომელიც დღეს თითქმის აღარაა შემორჩენილი. მონასტრის ეზოში დღესაც შეინიშნება შენობა-ნაგებობების კვალი. დასავლეთიდან სტოას პირდაპირ ებჯინება სატრაპეზო, ხოლო მის ჩრდილოეთით მდებარეობს სემინარიის დიდი შენობა, რომელიც ვიწრო დერეფნით სატრაპეზოს უკავშირდება.

მწვანეში ჩაფლულ, თავადაც მწვანით დაფარული მონასტრის ნახვის დროს აუცილებლად დაგეუფლება სევდანარევი სიამაყის გრძობა. გეამაყება, რომ ოდესღაც შენს წინაპრებს ასეთი მონასტრების აგება შეეძლოთ. სევდას იწვევს მისი დღევანდელი მდგომარეობა. პირველი, რაც თვალში მოხვდება მნახველს, ოთხთას ტაძრის სახურავსა და კედლებზე ამოსული ბალახია, რომელიც განსაკუთრებულ იდუმალებას სძენს აქაურობას. ტაძარში შესულს კი, თუ კარგად არ დააკვირდი, იმის გარჩევაც გაგიჭირდება, საკურთხეველი სად იწყება. სამხრეთი კარიდან წვიმას ტაძარ-

ში მიწა შეუტანია, რის გამოც იატაკის საერთო დონის გარჩევა შეუძლებელია, თუმცა „ოქროს მაძიებლებს“ ეს მშვენიერი ტაძარიც არ გამორჩენიათ და საკურთხეველი დიდი გულმოდგინებით გადაუთხრიათ. არც ადგილობრივ მოსახლეობას გამორჩენია ეს ოაზისი. ეზოს სათიბად იყენებენ, ხოლო მიმდებარე ტერიტორიას — ბოსტნად.

ამ სამწუხარო ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოში დიდი ყურადღებით აკვირდებიან მოლაპარაკებების პროცესს. ხანძთა და დანგრევის პირას მისული ტაო-კლარჯეთის სხვა ძეგლები გადაუდებელ შველას ითხოვს. იმედია, საბოლოო შეთანხმება მალე მიიღწევა და ტაძრების არსებობას საფრთხე აღარ დაემუქრება.

ხუროთმოძღვრების ეს მშვენიერი ძეგლები თავის დროზე ქართველებმა შექმნეს, მაგრამ იგი დღეს არც მხოლოდ ქართველებს ეკუთვნის და არც თურქებს. ეს უნიკალური ძეგლები მსოფლიო კულტურის საგანძურის ნაწილია და მათ სათანადო მოვლა-პატრონობა სჭირდება. ასე რომ, ტაო-კლარჯეთის ძეგლების აღდგენას არა მხოლოდ საქართველო ელის...



ხოლის დაეჩქვა ჩვენს დადაცაქს „თბილისი“?

საქართველოს სატახტო ქალაქი — თბილისი ძველ ქართულ წყაროებში ძირითადად სახელდებულია როგორც „ტფილისი“.

საინტერესოა, როდის ეწოდა „ტფილისს“ — „თბილისი“.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ასეა განმარტებული ტერმინი „თბილისი“ — „თბილისი (1936 წლამდე ტფილისი)“.

იმევე ენციკლოპედიის სხვა ტომში კი ასეა განმარტებული ტერმინი „ტფილისი“ — „ქ. თბილისის სახელწოდება 1936 წლამდე“.

ენციკლოპედია „თბილისში“ ვკითხულობთ: „ძველქართულად ქალაქს „ტფილისი“ ერქვა და ამ სახელწოდებიდან გაერცვლდა იგი სხვა ხალხთა ენებში (რუსულსა და ვეროპულში — „ტიფლის“; არაბულ-სპარსულში — „თიფლის“; სომხურში — „ტფლის“; ბერძნულში — „ტეფილის“)“.

ზემოხსენებული განმარტებების გაცნობისას რჩება შთაბეჭდილება, რომ 1936 წლამდე საქართველოს დედაქალაქის აღსანიშნავად გამოიყენებოდა მხოლოდ „ტფილისი“. ამის შემდეგ კი მის ნაცვლად „თბილისი“ დამკვიდრდა.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული ერთი საისტორიო საბუთი შესაძლებლობას გვიქმნის, ზემოთ მოყვანილი განმარტებანი გადავსინჯოთ.

1795 წლის 1-ელ მაისს, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის (1720-1798) მიერ მანკასარ თუშმალიშვილისადმი (დოკუმენტში იხსენიება „თუშმალოვად“) ბოძებულ აზნაურობის წყალობის წიგნში, რომლის დედანიც დაცულია ზემოხსენებულ არქივში, ვკითხულობთ:

„წყალობითა ღვთისათა, ჩუენ, ყოვლისა საქართველოჲსა, კახეთისა და სხუათა და სხუათამან ირაკლი მეორემან, მეფემან, გიბოძეთ წერილი ესე და განვაცხადებთ, რომ შენ — მანკასარ სარდარ გვარად თუშმალოჲ ხარ, რომელიც გვარი საქართველოს კეთილშობილად აღრაცხილია და შენ შთამომავლობითურთ შენით შესაბამ ხარისხისა თჲსისა კეთილშობილად იცნობებოდე და პატივცემულ იყავ, ვითარცა სხვანნი საქართველოს აზნაურნი, რომელსა მოვაწერთ ქელსა და დავაპბეჭდავთ სამეუფოთა ბეჭდითა ჩვენითა წელთა 1795, თვესა მაისა I, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა უპკ დაიბეჭდა ქალაქსა შინა თბილისს“.

წყალობის წიგნს ერთვის მეფე ერეკლე II-ის ფაქსიმილე — „ერეკლე“ (მარჯვენა კუთხეში). იმავე საბუთის მარცხენა კუთხეში დასმულია სამეუფო ბეჭედი წითელი ფერის გოგირდზე.


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე II-ის მიერ გაცემულ არაერთ საბუთში იხსენიება ტოპონიმი „ტფილისი“. ეს გვაფიქრებინებს,

რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულს „ტფილისი“ და „თბილისი“ პარალელურ ტერმინებს წარმოადგენდა.

საინტერესოა, რატომ იხსენიება ამ საბუთში თუშმალიშვილის გვარი „თუშმალოვის“ ფორმით?

რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის შემდეგ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა, ქართველ თავადაზნაურთა გვარები ზოგიერთ დოკუმენტში რუსული დაბოლოებით ფიქსირდებოდა. მაგალითად, თურქესტანიშვილი — „თურქესტანოვის“, თუმანიშვილი — „თუმანოვის“ ფორმით და სხვ.

ამრიგად, ზემოხსენებული საარქივო დოკუმენტი საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ტოპონიმი „თბილისი“ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულს, ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ხანაში იხსენიებოდა, როგორც „ტფილისის“ პარალელური ტერმინი. ■





13 საბედისწეო დღე

1921 წლის თებერვლის სისხლიანი ქორონიები

70 წელიწადს სოციალისტური საქართველო გასაბჭოების დღეს ზეიმობდა. 1921 წლის 25 თებერვალი ღირსსახსოვარ დღესასწაულთა შორის ამაყად „მოაბიჯებდა“... მაგრამ ამ დღის გახსენება რევოლუციონერთა და კომუნისტთა თაობებს თუ სიამაყეს გვრიდა, ქვეყნის ერთგულ შვილებს დამოუკიდებლობაწართმეული საქართველოს მწარე ზვედრზე აფიქრებდა. დიახ, ასე გრძელდებოდა მთელ 70 წელიწადს. დიდი რუსეთის, „უფროსი ძმის ფრთებს შეფარებული“ საბჭოთა ქართველები რომ ზარ-ზეიმით ემზადებოდნენ ამ დღის აღსანიშნავად, მოსახლეობის მეორე და არცთუ მცირე ნაწილი ჩუმად უნთებდა ეკლესიაში სანთელს 1921 წლის თებერვალში დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას. თებერვლის იმ სისხლიან ქორონიკებზე ლაპარაკს კი დიდხანს ელო ტაბუ... ამ წერილით ვცადეთ ის დღეები გაგვეცოცხლებინა და მკითხველის სამსჯავროზე გამოგვეტანა, რომელთაც თავისუფალი საქართველოს დამარცხება „გამარჯვებდა“ უქციეს ქართველ ხალხს...

11-12 თებერვალი

1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს ე.წ. „ლორეს ნეიტრალურ ზონაში“ განლაგებულ ქართულ შენაერთებზე თავდასხმით დაიწყო საქართველო-რუსეთის ომი. მოწინააღმდეგემ შეტევა განახორციელა ვორონცოვკის, ჯალალ-ოღლისა და სანაინის მიმართულებით. სანაინთან მოუშადადებელ ძალებთან შებმა მტერს არ გასჭირვებია. სადახლომდე დაიკავეს ბამბაკის ხეობა.

13 თებერვალი

მოწინააღმდეგე მთელი დღე ქვემეხებიდან ესროდა მდინარე ძორაგეტის ნაპირზე გამაგრებულ ქართულ ნაწილებს. იმავე დღეს გენერალმა გედევანიშვილმა სადახლო-სანაინის მიმართულებასზე კონტრშეტევა გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ გენერალ ჯიჯიხიას დაჯგუფებამ კიზილკაის სიმაღლეები დაიკავა, საერთო შეტევა მაინც ვერ განხორციელდა. გარდა იმისა, რომ გენერალ სუმბათაშვილის შენაერთმა პირადი შემადგენლობის შესამედი დაკარგა, გადარჩენილ მებრძოლებს მორალურად და ფსიქოლოგიურად აღარ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა. შეტევაზე მხო-

ლოდ საგანგებო ბატალიონი გადავიდა და ცხადია, ბევრი ვერაფერი გააკეთა.

14 თებერვალი

მოწინააღმდეგემ განაახლა შეტევა გენერლების, ჯიჯიხიასა და სუმბათაშვილის ნაწილებზე. ამ უკანასკნელმა მდინარე ხრამისკენ დაიხია. მტერმა დაიკავა სადაზლო და გენერალმა ჯიჯიხიამაც ხრამისკენ დაიწყო უკანდახევა.

15 თებერვალი

რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ლენინმა ოფიციალურად გასცა მითითება, რათა მე-11 არმიას საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაეწყო. მეორე დღეს მართლაც დაიწყო შეტევა წითელი და ფოილოს ხიდების მიმართულებაზე. წითელ ხიდთან მდგარმა გურიის ბატალიონის ასეულმა სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო. მოწინააღმდეგემ ხიდი დაიკავა, რამაც უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო ხრამის მარცხენა ნაპირზე გამაგრებული სუმბათაშვილისა და ჯიჯიხიას ნაწილები. მტერი მათ მარცხენა ფლანგზე და ზურგში მოექცა. გენერალმა სოსო გედევანიშვილმა ნაწილები მიატოვა, სარდლობა გენერალ სუმბათაშვილს გადააბარა და თბილისში წამოვიდა. ხრამთან მდგარი ნაწილები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

რუსები ცდილობდნენ ფოილოს სარკინიგზო ხიდი დაეკავებინათ და ქართველებისთვის მისი აფეთქების საშუალება არ მიეცათ. ამ



ანასტას მიქოიანი, იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე

ოპერაციაში მონაწილეობდა მე-11 არმიის ხუთი ჯავშანმატარებელი.

ქართველ მესანგრეთა მიერ წინასწარ დანადრული იყო ხიდის თავი და იერიშის დაწყებისთანავე იგი ააფეთქეს. საპასუხოდ რუსების ოთხმა ჯავშანმატარებელმა, საველე ბატარეებმა და მძიმე არტილერიამ ქართველ გვარდიელთა პოზიციების დაბომბვა დაიწყეს. ქართველებმა უკან დაიხიეს და საპასუხო ცეცხლი გახსნეს. რუსებმა ორჯერ სცადეს ფონის გადმოლახვა, მაგრამ ორივეჯერ უკუაქციეს. მთელი დღე მათ მცდელობას, მდინარე გადმოელახათ, წარმატება არ მოჰყოლია. 22 საათზე ფოილოს ხიდთან მდგარმა ნაწილებმა თბილისისკენ უკან დახევის შესახებ მთავარ-



სახალხო გვარდიის შტაბი

სარდლის ბრძანება მიიღეს და პოზიციები დატოვეს.

16-17 თებერვალი

დაიწყო შემოტევა ზაქათალის მხრიდან. კახეთში დისლოცირებული მე-6 ათასეულის მცირე რაზმებამ დაშლილმა შენაერთებმა მტერს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ასეთ ვითარებაში დღის პირველ ნახევარში მთავარსარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე გადააყენეს და მისი ადგილი გენერალმა გიორგი კვინიტაძემ დაიკავა. ახალმა მთავარსარდალმა თბილისის დაცვის სამი სექტორი შექმნა — გენერლების — ანდრონიკაშვილის, მაზნიაშვილისა და ჯიჯიხიას სარდლობით.

თბილისის დაცვაში მონაწილეობდნენ გვარდიის საგანგებო, თბილისის სამი, დუშეთის, გორის, ზაშურის, ახალციხის, იმერეთის მე-2 და მე-3, სენაკის, ზუგდიდის, ბათუმის ბატალიონები და არმიის 1-ელი, მე-4, მე-5 (ადგენილი), მე-7, მე-9, მე-10 ათასეულები. ასევე სადარაჯო და საყარაულო ათასეულთა ნაწილები, სამხედრო სკოლა, მოხალისეები, გვარდიისა და არმიის საკავალერიო ნაწილები. უხეში გათვლებით, თბილისს დაახლოებით 12-15 ათასი კაცი იცავდა. ვნახოთ როგორ იყო მე-11 არმიის შემადგენლობა და შეიარაღება: 40 200 ქვეითი და ცხენოსანი, 196 ქვემეხი, 1065 ტყვიამფრქვევი, 7 ჯავშნოსანი მატარებელი, 8 ტანკი, ჯავშანმანქანების რაზმი და 50 თვითმფრინავი. მე-11 არმიას ეხმარებოდა სომხეთის ერთი საკავალერიო და მე-5 და მე-6 ქვეითი პოლკები. მტრის ძირითადი შეტევა წითელი ზიდიდან თბილისის მიმართულებით ხორციელდებოდა. ამ საჯარისო ჯგუფს ველიკანოვი მეთაურობდა და მის შემადგენლობაში შედიოდა მე-9, მე-20 და 32-ე ქვეითი და მე-12 საკავალერიო დივიზიები. მეორე ჯგუფს ზაქათალიდან კახეთის გავლით, თბილისის გვერდის ავლით, მცხეთისკენ უნდა ემოდრა და ქართული ნაწილებისთვის თბილისიდან უკანდასახევი გზა მოეჭრა. ამ შენაერთს კურიშკო მეთაურობდა ორი ქვეითი პოლკითა და მე-18 საკავალერიო დივიზიით. მოწინააღმდეგენი სულ მცირე, სამჯერ აღემატებოდნენ დედაქალაქის დამცველებს.

18-19 თებერვალი

18 თებერვალს ქართულ შეიარაღებულ ძალებს შემდეგი პოზიციები ეკავა: მარჯვენა ფლანგზე — კოჯორ-მანგლისის გზატკეცილზე, თეთრი დუქნიდან ახეულას (ქორ-ოღლის) ცი-

ხემდე მე-4 ათასეულის ორი ასეული იდგა, პოლკოვნიკ პლატონ ჩიქოვანის მეთაურობით. ამ ათასეულის დანარჩენი ნაწილები ადგილზე 19 თებერვალს მივიდნენ. ტაბახმელას მონაკვეთი სამხედრო სკოლას ეკავა. ამ ფრთას გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი მეთაურობდა. ცენტრში — გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ნაწილი იყო დისლოცირებული. შეენაბადას სიმაღლეები მე-9 ათასეულს ეკავა, სოღანლუდის სიმაღლეები — პოლკოვნიკ დავით ვაჩნაძის სადარაჯო ათასეულსა და მეტყვიამფრქვევეთა ბატალიონს. მათგან მარჯვენა, რკინიგზის ხაზთან სანაპირო ათასეულის რაზმი იყო განლაგებული ორი ზარბაზნით. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რკინიგზის ხაზამდე გვარდიის გორისა და ზაშურის ბატალიონები იდგნენ. მარცხენა ფლანგზე — გვარდიის ადგენილი ნაწილები გენერალ არტემ ჯიჯიხიას მეთაურობით კერძოდ, იმერეთის მე-2, ზუგდიდისა და დუშეთის ბატალიონები და თითო-თითო საეკლესიო და სამთო-საარტილერიო ბატარეები. სოფელ ლილოსთან იდგა გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი. 20-21 საათზე ქართველმა სადაზვერუო რაზმებმა მოწინააღმდეგის მოძრაობა დააფიქსირეს. 22 საათისათვის მოწინააღმდეგემ იალ-



ლუჯის ქედს მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან შემოუარა და გენერალ მაზნიაშვილის პოზიციებისკენ დაიძრა. დაზვერვაზე წასულმა გორის გვარდიისა და სადარაჯო ათასეულის რაზმებმა მტრის აგნგარდთან მცირე შეტაკების შემდეგ უკან დაიხიეს. მათ ჯავშანმანქანათა რაზმი ეზმარებოდა, საიდანაც გენერალ მაზნიაშვილს შეატყობინეს, რომ მტერი სოლანლულისკენ მოიწვედა.

ამავე დროს, მე-9 ათასეულის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ ვაჩნაძე იტყობინებოდა, რომ მოწინააღმდეგე არ ჩანდა. იმავე ინფორმაციას აწვდიდა მაზნიაშვილს ჯავშანმატარებლის მეთაური ვალოდია გოგუაძე კუმიისის სადგურიდან. გენერალმა მაზნიაშვილმა დაასკვნა, რომ მტერი ძირითად იერიშს მხოლოდ ერთი მიმართულებით, მტკვრიდან რკინიგზის ხაზამდე არსებულ მონაკვეთზე მოიტანდა. მაზნიაშვილი გვარდიის გორის ბატალიონის მიერ დაკავებულ პოზიციებზე მივიდა, რადგან შეტევა სწორედ აქ იყო მოსალოდნელი. გენერალმა ძლიერ მოასწრო ბატალიონის უფროსის მოხსენების მოსმენა, რომ შეტევა დაიწყო (დაახლოებით 01:30 საათზე). მოწინააღმდეგის იერიშის დაწყებისთანავე სოლანლულის ზიდთან ბრძოლაში



გენერალი
გიორგი
კვანტრადე

ჯავშანმატარებელი ჩაება. მე-11 არმიის ნაწილებმა შეტევის ფრონტი გაშალეს და ბრძოლაში უკვე საყარაულო რაზმი და სადარაჯო ათასეულიც ჩაერთო. მოწინააღმდეგე ხელთ იგდო ორი ზარბაზანი და მიუახლოვდა სოლანლულის სადგურს. ქართულმა ჯავშანმატარებელმა მოწინააღმდეგეს სადგურის დაკავების საშუალება არ მისცა. 19 თებერვლის 2-დან 3 საათამდე მტერმა სადარაჯო ათასეულის მიმართულებით იერიში შეწყვიტა და მთელი ძალებით გვარდიის გორის ბატალიონის პოზიციებს შეუტია. სადარაჯო ათასეული სანგრებიდან სროლით ცდილობდა გორის ბატალიონის დახმარებას. გვარდიელებმა ყველა შეტევა მოიგერიეს. ამ დროისათვის ბრძოლაში კვინიტაძის ბრძანებით გვარდიის სარუხერვო ბატალიონი ჩაერთო, ვალიკო ჯუღელის მიერ მოყვანილი ჯავშანმანქანების დახმარებით სოლანლულის სადგურიდან მტერი უკუაგდეს. დაახლოებით 3 სთ-დან 4-ის ნახევრამდე გენერალი მაზნიაშვილი სადარაჯო ათასეულის დისლოკაციის ადგილზე გადავიდა და იქიდან განაგრძო ბრძოლის ხელმძღვანელობა. იგი შიშობდა, რომ მოწინააღმდეგე ძირითად მიმართულებას შეცვლიდა და მის მარჯვენა ფლანგს შეუტევდა, სადაც მე-9 ათასეული იყო განლაგებული. თუმცა ეს შიში არ გამართლდა. მოწინააღმდეგე კვლავ ჯიუტად ცდილობდა გორის გვარდიელთა





ქართველი ჯარისკაცები
ჯავშნოსან მატარებელთან

პოზიციების გარღვევას. გამთენიისას, მოწინააღმდეგის მორიგი იერიშის მოგერიების შემდეგ სადარაჯო ათასეული იერიშზე გადავიდა. გორის ბატალიონიც სანგრებიდან ამოვიდა. მას სარეზერვო ბატალიონიც შეუერთდა. დაიკავეს საყარაულო ათასეულის რაზმის მიერ დატოვებული თავდაპირველი პოზიციები. მტერმა უკან დაიხია იაღლუჯის მიმართულებით. ტყვედ ჩავარდა 1600 წითელარმიელი.

19 თებერვალი

მე-11 არმიის სარდლობა 19 თებერვალს თბილისის აღებას ვარაუდობდა. ცენტრში დამარცხების შემდეგ მიმართულება შეცვალეს და ჩვენი ჯარების მარჯვენა ფრთას შეუტოვებს. დილის 8 საათზე მტერი სოფლების, ვაშლოვანისა და კუმისის წინ გამოჩნდა და ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებით დაიძრა. ტაბახმელას სამხედრო სკოლასთან ერთად მე-10 ათასეულის მეომრებიც იცავდნენ პოლკოვნიკ საგინაშვილის მეთაურობით. ეს სამხედრო ნაწილი სკოლის დასახმარებლად პოზიციებზე 18 თებერვალს საღამოს მივიდა. ტაბახმელას პოზიციებიდან მაიორმა ბახუტაშვილმა მოწინააღმდეგეს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა და დაფანტა. მალე მტრის ცხენოსანი რაზმი გამოჩნდა. ქართველმა არტილერისტებმა ამჯერად მათ გაუხსნეს ცეცხლი. მოწინააღმდეგეს დიდი რიცხოზობი უპირატესობა ჰქონდა და ნელ-ნელა წინ მოიწვედა. 12 საათისათვის ტაბახმელას პოზიციებს შეუტოვებს. №1 სანგრებიდან, ლეიტენანტ ერისთავის მეთაურობით გახსნილ-

მა ტყვიამფრქვევების ცეცხლმა მტერი შეაყოვნა. პარალელურად მტერი კოჯრის მიმართულებითაც უტევდა. აქ მყოფმა მე-4 ათასეულის ნაწილებმა თავდასხმა ვერ მოიგერიეს და მამადავითის მიმართულებით უკან დაიხიეს. კოჯრის დაკავების შემდეგ ბოლშევიკები წავკისისა და ტაბახმელას მიმართულებით დაეშენენ (13:30 საათზე). ტაბახმელას პოზიციებზე მყოფ ქართულ ნაწილებს ალყაში მოქცევის საფრთხე მოელოდა, ამიტომ გენერალმა ანდრონიკაშვილმა პოლკოვნიკ ჩხეიძეს ტაბახმელას დატოვება და ბრძოლით მამადავითისკენ დახვეა უბრძანა. ჩხეიძემ იცოდა, რომ თავისი ძალებით კოჯრის გათავისუფლებას ვერ შეძლებდა, მაგრამ საჭირო იყო მტრის შეჩერება, სანამ მთავარსარდალი დამატებით ძალებს გამოგზავნიდა. გენერალი კვინიტაძე სწორ გადაწყვეტილებას რომ მიიღებდა, ამაში პოლკოვნიკი დარწმუნებული იყო. მართლაც, გენერალმა კვინიტაძემ, კოჯრის დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ტაბახმელას მიმართულებით გაგზავნა მე-5 ათასეული, გვარდიის იმერეთის და ბათუმის ბატალიონები. ერევანსკის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე უნდა მისულიყო და შემდგომ ბრძანებებს დალოდებოდა გვარდიის თბილისის ორი ბატალიონი. პოლკოვნიკმა ჩხეიძემ მაიორ ბახუტაშვილს არტილერიის მობრუნება და მტრისათვის ცეცხლის გახსნა უბრძანა. დროებით, სარდლობა ნესტორ გარდაფხაძეს გადააბარა და თავად გენერალ ანდრონიკაშვილთან შტაბში ჩავიდა. გადაწყდა არსებული ძალებით

კონტრშეტევის განხორციელება და მტრის შეჩერება. იუნკრები, კაპიტან თოიძისა და მე-10 ათასეულის მებრძოლთა ნაწილი კაპიტან ქარუმიძის მეთაურობით შეტევაზე გადავიდა. პირველი ამოცანა გადაჭრილი იყო, მტრის შეტევა შეჩერდა. იმ დღესვე მოწინააღმდეგე მარცხენა ფრთაზეც გამოჩნდა. ამ მიმართულებით მცირე შეტაკებები მიმდინარეობდა.

20 თებერვალი

20 თებერვალს დილაადრიან დაიწყო იერიში კოჯრის გათავისუფლებისათვის. ქართველთა შეტევის შესაჩერებლად მოწინააღმდეგემ ტაბახმელას პოზიციებს შემოუტია. გენერალმა ანდრონიკაშვილმა პოლკოვნიკ ჩხვიძეს სასწრაფოდ სკოლის პოზიციებზე დაბრუნება უბრძანა. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. სანგრებში მყოფმა გვარდიელებმა მოწინააღმდეგის იერიშს ვერ გაუძლეს და უკან დახევა დაიწყეს. სწორედ ამ დროს კაპიტანი შავდია იუნკრებს შეტევაზე წაუძღვა. სანგრები დაიბრუნეს. მოწინააღმდეგემ კიდევ ორჯერ მიიტანა იერიში ტაბახმელაზე, მაგრამ ქართველი მეთომრები მტკიცედ იცავდნენ პოზიციებს. ქართველ იუნკერთა წინააღმდეგ ბაქოს „წითელი“ კურსანტებიც ჩააბეს ბრძოლაში, მაგრამ მაინც ვერაფერს მიაღწიეს. იმ დილით სკოლამ მოწინააღმდეგის სამი იერიში მოიგერია.

ამასობაში მძიმე ბრძოლა მიმდინარეობდა კოჯრის გასათავისუფლებლად. ქართულმა ჯარმა ხელთ იგდო მტრის ოთხი ზარბაზანი, ათზე მეტი ტყვიამფრქვევი, ერთი ჯავშნოსანი და ტყვეები. გვარდიის იმერეთის მე-3

ბატალიონის მებრძოლთა ერთი ჯგუფი სოფელ ვაშლოვანში შევიდა. იქ მდგარი ბოლშევიკების ადალი გაანადგურა და თავის პოზიციებზე დაბრუნდა. მარცხენა ფრთაზე გვარდიის ნაწილებმა მტერი უკუაგდეს და სადგური ვაზიანი დაიკავეს.

20-21 თებერვალი

20 თებერვალს მთელი ღამე მოწინააღმდეგე კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებაზე უშედეგო შეტევას განაგრძობდა და მხოლოდ 21 თებერვალს, დილით დაიწყო უკან დახევა. მალე მათი ქვეითი ჯარი აღარსად ჩანდა. ძირითადი მოვლენები გენერალ ჯიჯიხიას სექტორში განვითარდა. მოწინააღმდეგემ თბილისის დამცველთა მარცხენა ფლანგის შემოვლა განიზრახა, მაგრამ გვარდიის ბატალიონები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ჯიჯიხიას ძალები კვინიტაძემ წინასწარ დამატებითი ბატალიონებით (მათ შორის ერთ-ერთი ახალციხისა იყო) გააძლიერა. სოფელ ლილოდან ხუთმა გვარდიულმა ბატალიონმა, ქართველ კავალერისტთა მხარდაჭერით, მოწინააღმდეგის ფლანგს დაარტყა. ორხეში მდგარმა, ასევე ორმა გვარდიულმა ბატალიონმა ფრონტალური შეტევით მოწინააღმდეგეზე ძლიერი იერიში მიიტანა. მე-11 არმიის ნაწილებმა უკანდახევა დაიწყეს. მათი დევნა დაღამებამდე გაგრძელდა. ქართულმა შენაერთებმა მტერს 10 კილომეტრზე მეტით დაახვეინეს უკან. ეს წარმატება განაპირობა კაპიტან ედიგარაშვილის ბორჩალოს მოხალისეთა საკავალერიო ასეულით გაძლიერებული გვარდიის ცხენოსანი დანაყოფების სწრაფმა და ეფექტიანმა მოქმედებამ.



ქართველი არტილერიისტები

22 თებერვალი

რადგან თბილისის პირდაპირი იერიშით აღება ვერ მოხერხდა, მე-11 არმიის სარდლობამ ქალაქის დამცველთა ფლანგებიდან შემოვლა განიზრახა და ძალების გადაჯგუფება დაიწყო. შეიქმნა ორი, ველიკანოვისა და კუიბიშევის დაჯგუფება. ამ უკანასკნელმა, დედოფლისწყაროსთან ქართულ ნაწილებთან ბრძოლის დროს მოკლული კურიშკო შეცვალა. კუიბიშევის დაჯგუფება მე-9 ქვეითი და მე-12 საკავალერიო დივიზიებით გაძლიერდა. მას თბილისზე აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შეტევა დაეკალა. ველიკანოვს დასავლეთიდან უნდა განეხორციელებინა შეტევა. იმავე დღეს მოწინააღმდეგის ცხენოსანმა რაზმმა მანგლის დაიკავა და მანგლისი-კოჯრის გზატკეცილის გასწვრივ იერიში წამოიწყო, თუმცა მარცხი იწვნია.

შედარებით სიმშვიდე იყო ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებაზე, თუმცა ორმხრივი სროლის შედეგად დაიჭრნენ ლეიტენანტები ერისთავი და ანდრონიკაშვილი.

23 თებერვალი

მოწინააღმდეგემ თავისი მარჯვენა ფლანგის გაძლიერება დაიწყო. ამ მიმართულებით მე-11 არმიის ცხენოსანი ნაწილები, მე-12 და მე-18 საკავალერიო დივიზიები გამოჩნდნენ. მტერმა ძლიერი იერიში მიიტანა ქართულ ნაწილებზე და ამის გამო, გენერალ ჯიჯიხიას ქართულმა შენაერთებმა უკან დაიხიეს და ძველი, 21 თებერვლამდელი, პოზიციები დაიკავეს.

14 საათზე მოწინააღმდეგემ ქართველთა უკანდახვევისას აფეთქებული ფოილოს სარკინიგზო ხიდი აღადგინა, რამაც დამატებითი ძალების (მათ შორის ტანკების) სწრაფი გადაადგილებისა და ჯავშანმატარებლების გამოყენების საშუალება მისცა. იმავე საღამოს ამ ჯავშანმატარებლებმა ქართულ პოზიციებთან მოახლოება სცადეს, მაგრამ ქართველ არტილერისტთა ზუსტი ცეცხლის გამო იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. საღამოს მოწინააღმდეგემ ტაბახმელას პოზიციებზე მიიტანა იერიში, რომელიც რამდენჯერმე მოიგერიეს.

24 თებერვალი

მარჯვენა ფლანგზე მტერმა დიდიდანვე დაუშინა ჩვენს პოზიციებს საარტილერიო ცეცხლი და შემდეგ შეტევაზე გადმოვიდა. იუნკერთა შემადგენლობიდან 85-90 კაცი დარჩენილიყო. დიდი იყო დანაკლისი ნაცვალთა

შორისაც. მიუხედავად მრავალგზის შეტევისა, მოწინააღმდეგე ქართული პოზიციების გარღვევას ვერ ახერხებდა. რამდენჯერმე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მტერმა რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლა და ნაშუადღევს №4 სანგარი დაიკავა. ამის შემდეგ პირდაპირ ლეიტენანტ გოგი მესხიშვილის ბატარეის წინ აღმოჩნდნენ და ქართველ არტილერისტებზე ხიშტებით წამოვიდნენ. ლეიტენანტმა მესხიშვილმა ხმალი იშვიშა და იუნკრებთან ერთად მოწინააღმდეგეს ეკვეთა. მათ ოფიცრების შავდიას, ხოშტარაისა და ჩოჩუას წინამძღოლობით სხვა იუნკრებიც წამოემყვლნენ და მტერს უკან დაახვეინეს. მოწინააღმდეგე მარჯვნივ და მარცხნივ გაიფანტა და ამით უკან მყოფ თავის მტრევიამფრქვევებს 100-120 ნაბიჯის მანძილიდან იუნკრებისათვის ცეცხლის გახსნის საშუალება მისცა. იუნკერთა ნაწილმა კაპიტან ჩოჩუას მეთაურობით მტრევიამფრქვევებს შეუტია. მტრის რიგებამდე პირველმა იუნკერმა შალვა ერისთავმა მიირობინა და შემოხნე ოფიცერი ხიშტით განგმირა, თუმცა თავდაც სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა. ასევე დაიღუპნენ იუნკრები ოთარ ლორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი, 15-მდე კი დაიჭრა. დაიჭრა თავად კაპიტანი ჩოჩუაც. ასევე დაიჭრნენ კაპიტნები შავდია და ხოშტარია. იერიშები დაღამებამდე გაგრძელდა, მაგრამ ბოლშევიკებმა ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ. დაბნელებისთანავე მათ იერიში შეწყვიტეს და უკან დაიხიეს.

არანაკლებ მძიმე და სისხლის მღვრელი ბრძოლა მიმდინარეობდა სოღანლუდი-შავნაბადას მიმართულებაზე. ამ სექტორში მოწინააღმდეგემ მთავარი დარტყმა გზატკეცილისა და რკინიგზის ხაზის გასწვრივ განავითარა. ამ მიმართულებით მოწინააღმდეგის მოგერიება მოხერხდა, მაგრამ კრიტიკული ვითარება შეიქმნა მას შემდეგ, რაც მტერი თელეთიდან გადმოვიდა შეტევაზე, ფრონტი გაარღვია და 18 საათისათვის სოღანლუდის ქედზე მდებარე სიმაღლე დაიკავა. შეიქმნა საშიშროება, რომ მოწინააღმდეგე ღრმად შემოიჭრებოდა და საშუალება მიეცემოდა ზურგში მოქცეოდა არა მარტო გენერალ მაზნიაშვილის ნაწილებს, არამედ გენერალ ანდრონიკაშვილის შენაერთებსაც. საჭირო იყო სასწრაფოდ სიმაღლის დაბრუნება.

14 საათზე ქართული პოზიციებიდან განახლდა საარტილერიო და ტყვიამფრქვევების ცეცხლი. 16 საათისთვის დაიწყო თოვა, ჩამოწვა ბურუსი, ძალიან აცივდა. სწორედ ამ დროს



საბჭოთა ჯარის შემოსვლა თბილისში.
1921 წლის 25 თებერვალი

ოთხმა ქართულმა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა მტრის ჯავშანმატარებლებზე და ოცდაათამდე ბომბი ჩამოაგდო. ბრძოლაში ქართული ჯავშანმატარებელიც ჩაერთო, მაგრამ მოწინააღმდეგის ძალიან დიდი უპირატესობის გამო ნავთლუდისკენ დაიხია. ნავთლუდის მიდამოები კი მოწინააღმდეგის ავიაციამ დაბომბა.

ორხევის სანგრებში მყოფმა გვარდიელებმა მოწინააღმდეგის არაერთი იერიში მოიგერიეს, მაგრამ როდესაც დაახლოებით 17 საათისათვის სანგრებთან მტრის სამი ტანკი გამოჩნდა, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. გენერალმა ჯიჯიხიამ იმერეთის მე-2 ბატალიონს კონტრშეტევა დაავალა. ბატალიონის მეთაურის, აკაკი კვიციანიშვილის ინფორმაციით, „ბატალიონმა წარმატებით აწარმოა კონტრიერიში. მას შეუერთდნენ მეგრელები, რომლებიც სანგრების უკან, გორაკზე იყვნენ ჩასაფრებულნი. იმერელები და მეგრელები ყიჟინით შევარდნენ სანგრებში, ამორეკეს იქიდან რუსები და დაედევნენ“. ამ დროს რუსების ერთი ტანკი ხრამში გადავარდა და მწყობრიდან გამოვიდა. სანამ ორხევთან ბრძოლა მიმდინარეობდა, მოწინააღმდეგის კავალერიამ ჩვენი ჯარების მარცხენა ფრთის შემოვლა განიზრახა და სოფელ ლილოსთან გამოჩნდა. მთავარსარდალი იძულებული გახდა დაცვის კიდევ ერთი სექტორი გაეხსნა გენერალური შტაბის ოპერატიული სამსახურის უფროსის, პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის მეთაუ-

რობით. გენერალ ზაქარაიძის ინფორმაციით, მას დაექვემდებარნენ გვარდიის სამი ბატალიონი, მოხალისეები, არმიისა და გვარდიის ცხენოსანი რაზმები. წითელმა კავალერიამ სოფელ დიდ ლილოს შემოუარა და ავჭალისკენ დაიძრა. მთავარსარდალმა 15-16 საათზე ადგილობრივი ხელისუფლებისგან შეიტყო, რომ მოწინააღმდეგის კავალერიამ დაიკავა სოფლები მამკოდა, გლდანი და თვით ავჭალა. კვინიტაძე წერს: „იქ ჯავშანმატარებლით, შანიძის მეთაურობით, მოხალისეთა რაზმი გაავგზავნე, სადგურ ავჭალის განთავისუფლება და რკინიგზაზე თავისუფლად მიმოსვლის უზრუნველყოფა ვუბრძანე“. გენერალური შტაბის უფროსის, ალექსანდრე ზაქარაიძის ინფორმაციით, ავჭალაში ორი ჯავშანმატარებელი გაიგზავნა ვალოდია გოგუაძის მეთაურობით. ავჭალიდან მოხერხდა მოწინააღმდეგის განდევნა.

მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე ვერც ერთი მიმართულებით ქართული პოზიციების გარღვევა ვერ შეძლო, გენერალმა კვინიტაძემ ქალაქის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. იგი წერდა: „24 თებერვლის საღამოსთვის თბილისი, არსებითად ალყაში მოექცა... თბილისის ქუჩებში ბრძოლების გამართვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ქალაქი ტაფობში მდებარეობს და მთებითაა გარშემორტყმული. ეს საფანგი იყო, საიდანაც ვერაუინ გააღწევდა და ჯარი იძულებული გახდებოდა დანებებულიყო. ჯარის გაყვანა და თბილისიდან 12-13 კერსის მანძილზე გამაგრება გადავწ-



საბჭოთა ჯარიკაცები თბილისის ქუჩებში

ყვიტე. თბილისის დასაცავი ყველა ძალა და საშუალება ამოიწურა, წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეგვეძლო. ქვეყნის დასაცავად თბილისი უნდა დაგვეტოვებინა, თუ არა ჯარისა და მმართველობის გარდაუვალი დაღუპვა გველოდა. ჩემი ეს გადაწყვეტილება მთავრობის თავმჯდომარეს ვაცნობე. თბილისზე გავლით ბრძოლით უკან დახვევა წარმატებას არ გვიქადდა. საუკეთესო საშუალება დამის სიბნელეში უკანდახვევა იყო“. მთავარსარდლის ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა გენერალი ილია ოდიშელიძე, რომელმაც განაცხადა: „ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია უკან დახვევა, რადგანაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, თუ რა ფსიქოლოგიურ გამოძახილს პოვებს ეს ნაბიჯი ჩვენს გამარჯვებულ ჯარში. ვფიქრობ, მცხეთაში არც ერთი ჯარისკაცი არ გაჩერდება. ამიტომ, თუ ხსნა გვიწერია, ხსნა ისევ იქ არის, იმ პოზიციებზე, რომელიც ჯარს უკავია... თუ სხვა რამ არ გვიწერია, მე ვფიქრობ, უმჯობესია თბილისის წინ სასახლეოდ დავიხოცოთ“. მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ მთავარსარდალს დაუჯერა და 24 თებერვალს, დამით ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა თბილისი დატოვეს.

1921 წლის 18-დან 24 თებერვლის ჩათვლით, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა, ქალაქის

მოსახლეობის გასაოცარი თანადგომით, გმირულად დაიცვეს თბილისი სულ ცოტა სამჯერ უფრო მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში.

უკანდახვევის მერე კი ყველაფერი მართლაც ისე მოხდა, როგორც ილია ოდიშელიძემ იწინასწარმეტყველა. მცხეთაში შეჩერება ვეღარ მოხერხდა. მხოლოდ ოსიურთან იყო მცდელობა კონტრშეტევისა და ისიც ჩაიშალა.

თბილისთან ბრძოლების პარალელურად, ქართულ შეიარაღებულ ძალებს ბრძოლა სხვა მიმართულებებზეც უხდებოდა. 20 თებერვალს 31-ე დივიზიამ ადღერდთან დაიწყო შემოჭრა და მართალია 23 თებერვალს გაგრა დაიკავა, მაგრამ ქართულმა შენაერთებმა (ამ მიმართულებას მე-2 და მე-3 ათასეულები იცავდნენ) გენერალ დავით ართმელიძის მეთაურობით, მტერი განდევნეს. 22 თებერვალს დაიწყო შემოტევა დარიალიდან. ქართველმა მეომრებმა მოწინააღმდეგის პირველი იერიში მოიგერიეს, თუმცა 25 თებერვალს 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადამ მამისონის უღელტეხილი გადმოლახა.

მიუხედავად ქართული შეიარაღებული ძალების თავგანწირული ბრძოლისა, საბჭოთა რუსეთის აგრესიის შეჩერება ვერ მოხერხდა და საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. ■



გიორგი მაჩაბელი სუნამოების პრინცი

1955 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი (1921-1939) და მეორე ტაღლის (1945-1950) ქართველ ემიგრანტთა რიცხვი 300-ს არ აღემატებოდა, თუმცა ამ მცირე დიასპორამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამერიკის სამხედრო თუ სამოქალაქო ცხოვრებაზე. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ის ქართველები, რომლებმაც ამერიკას ხუთი დარგი შეუქმნეს: გრიგოლ კობახიძე (ჯორჯ კობი) — სამედიცინო მინის მრეწველობა და ნაძვის ხის მინის სანთლები და სათამაშოები; ალექსანდრე ქართველიშვილი (ალექსანდრ კარტველი) — სამხედრო ავიაცია; გიორგი ბალანჩივაძე (ჯორჯ ბალანჩინი) — ბალეტის; გიორგი მაჩაბელი (პრინცი მაჩაბელი) — პარფიუმერია.

ამჯერად გვიამბობთ ცნობილი ქართველი

პოლიტიკური მოღვაწისა და დიპლომატის, გიორგი მაჩაბლის ღვაწლის შესახებ.

„იყო და არა იყო რა! იყო ერთი პრინცი. მან თავისი სატრფო პრინცესასთვის შესანიშნავი სუნამო შეაზავა და ამის შემდეგ ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ... ეს სიტყვები ზღაპრით უღერს, მაგრამ ზღაპარი სულაც არ გახლავთ. ესაა ნამდვილი ამბავი პრინცი მაჩაბლისა და დიდი პარფიუმერიული საზოგადოებისა, რომელიც მან დააარსა აქ, შეერთებულ შტატებში 1920-იანი წლების დასაწყისში“, — ასე იწყებოდა სტატია ერთ-ერთ ამერიკულ ქალთა ჟურნალში. შემდეგ ჟურნალი მკითხველს აცნობდა პრინცის წარმომავლობას. ის „იყო უფროსი ვაჟი ერთი კეთილი და წარჩინებული ოჯახისა საქართველოში, კავკასიის მაღალ მთებში. ვინაიდან ეს სათავადო სახლი



ნორინა მახაბელი (1880-1957), ქალიშვილობაში ნორინა ჯილი, სასცენო სახელი მარინა კარმი. 10-იან და 20-იან წლებში თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი. 1916 წელს გაეყარა პირველ ქმარს, კარლ ფოლმოელერს და გათხოვდა გიორგი მახაბელზე. 1921 წელს ისინი ამერიკაში გადასახლდნენ და აქ 1924 წელს პარფიუმერიის ფირმა „პრინცი მახაბელი“ დააარსეს. 1933 წელს ისინი დაშორდნენ. 1935 წელს, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, მან პარფიუმერიის ფირმა გაყიდა. ნორინა 30-იანი წლების დასაწყისიდან სიკვდილამდე სპირიტუალურ მოძღვარ მეპერ ბაბას მიმდევარი იყო.

იყო მდიდარი და ჰქონდა დიდი ადგილ-მამული, პრინცი გიორგი განათლების მისაღებად ბერლინის სამეფო აკადემიაში გაგზავნეს, რათა სამთამადნო საქმე შეესწავლა... სტუდენტობის დროს ერთ-ერთი მისი თავშესაქცევი ჰობი სუნამოების შეზავება გახლდათ. ამ გასართობმა კი მას დიდი სიმიდრე შესძინა“.

ვინ იყო ეს ზღაპრული პრინცი და რა სუნამოები შეაზავა, რომელმაც მას დიდი ქონება მოუტანა?

ქართველ მანდილოსნებს ქართულ ბაზარზე ალბათ უნახავთ პარფიუმერიული ნაწარმი, წარწერით Prince Matchabelli, ინტერნეტმაღაზიებსა და კატალოგებში კი თვალს მოგტაცებთ ულამაზესი ჯვრიანი ფლაკონები. ბერისთვის უცნობია, რომ ამ ფირმის ფუძემდებელი შექსპირის მთარგმნელ ივანე მახაბლის უფროსი ძმის, ვასილის ვაჟი გიორგი მახაბელია.

ლია. გიორგი 1885 წელს დაიბადა. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ბერლინს გაემგზავრა. სამთო აკადემია დაასრულა და მსოფლიოს გარშემო გაემშურა სამოგზაუროდ. შვედეთში გაიცნო გასტროლებზე მყოფი იტალიელი მსახიობი, მშვენიერი ნორინა ჯილი (მარია კარმი), რომელსაც დიდი წარმატება მოუტანა მადონას როლმა მაქს რეინოლდის რელიგიურ პიესაში „სასწაული“. გიორგიმ ნორინას სიყვარული იმით დაუმტკიცა, რომ უმცირეს დროში შეისწავლა იტალიური და მალე იტალიელთა სიმეც განდა, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე თავგადაკლულ ნაციონალისტად დარჩა. გრიგოლ რობაქიძეს მასზე უთქვამს: „გიორგი ათას საბანში რომ ჩაახვიო და სადმე დამალო, ვინც იქ მივა, მაშინვე შეიტყობს, — აქ საქართველოს სუნიაო!“

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გიორგი ყველაზე სახიფათო და რთული დავალებების შესრულებისას არაჩვეულებრივ ნიჭსა და უნარს იჩენდა. თამამად გადადიოდა ერთი ქვეყნიდან მეორეში. მოლაპარაკებებს ხან მთავრობის წევრებთან მართავდა, ხანაც რევოლუციონერებთან და ყველაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

პირველმა მსოფლიო ომმა გიორგის ბელგიაში მოუსწრო. გენერალ-გუბერნატორ ფონ დერ ჰოლცს გერმანიის დახმარებით საქართველოს განთავისუფლების გეგმა გააცნო და იმდენად მოხიბლა, რომ თავისი ავტომობილით გაუშვა ჰაიდელბერგში მიხაკო წერეთელთან. შემდგომ ორივემ ბერლინს მიაშურა, სადაც შეუერთდნენ ფენევიდან გადასულ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“. გერმანელებიც ეძებდნენ გავლენიან პარტიას ან ჯგუფს, რომელიც მხარს დაუჭერდა გერმანიის პროტექტორატით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეას. შეთანხმება დაიდო — დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში გერმანია გარანტად დაუდგებოდა საქართველოს და დაიცავდა, ოსმალეთი კი აღიარებდა მის ისტორიულ საზღვრებს. დამოუკიდებლობის კომიტეტმა 1915-16 წლებში ტრაპიზონში შექმნა გერმანიის მიერ დაფინანსებული ქართული ლეგიონი. ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული გაზეთი“ ტყვეთა შორის პროპაგანდას უწევდა დამოუკიდებლობის იდეას. კომიტეტი საქართველოში დაუკავშირდა ეროვნულ-დემოკრატებს, ვაჩნაძე-ყვლია-გაბაშვილის ჯგუფ-

სა და სოციალ-დემოკრატთა ნაწილს ნოე ჟორდანიას მეთაურობით. შეიქმნა ინტერპარტიული „ქართული ეროვნული კომიტეტი“, გიორგი მაჩაბლის ჩამოსვლის შემდეგ — „დამოუკიდებელი კომიტეტის“ ფილიალი. მაჩაბელი აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიასაც დაუკავშირდა. საზღვარგარეთ და საქართველოში მოღვაწე დამკომის წევრთა შორის კავშირის ერთადერთ საშუალებად გერმანული წყალქვეშა ნაუბი დასახა. მერე ძმის სანახავად და საქმეების მოსაგვარებლად პეტერბურგს გაეშურა, თუმცა ყველგან დაგზავნილი იყო მისი ფოტოსურათები, როგორც „გერმანიის აგენტისა“. რეგზუ გაბაშვილი აღწერს შემთხვევას, როცა კავკაიის სასტუმროში პრისტავმა მაჩაბელს პოლიციაში წაყოლა მოსთხოვა. გიორგიმ რადიკალურ, მაგრამ უტყუარ ზომას მიმართა: „ან 25 მანეთი აიღე, ან ქვლავე გაათავებო და რევილვერი დაუმიზნა“. პრისტავმა ფული აიღო და წავიდა.

გიორგიმ ჩვეული მოხდენილობით შეთანხმა გერმანიის საზღვაო-სამხედრო შტაბებთან წყალქვეშა ნაუბებით სტამბოლიდან საქართველოსთან დაკავშირების საქმე. 1916 წელს წყალქვეშა ნაუბი გამოგზავნა სამი კაცი:

ახალგაზრდა ოფიცერი ლადო მძინარიშვილი, სოციალ-დემოკრატი კერესელიძე და მთიელი შამილი. ერთი თვის შემდეგ მერე ექსპედიციას გიორგი მაჩაბელიც ჩამოჰყვა. რეზო გაბაშვილი მოგვითხრობს, რომ მოუსვენარი გიორგი ხან სიონში წავიდა სალოცავად, ხან მამიდის სანახავად, ხან ჩამოყვანილ ამაშუკელთან. „რუხი ჩოხით გამოწყობილი გიორგი ისე დაიარებოდა, თითქოს არაფერი ამბავი ყოფილიყოს და როცა ვუბნებოდი, — კაცო, შენი თავი თუ არ გვბრალედა, ჩემს ცოლ-შვილს უნდა გაუფრთხილდე, შენ თუ ჩაუარდი, ჩვენ ყველას დაგვაზრჩობენ-მეთქი, არხეინად მიპასუხებდა: „ნუ გემინია, მე სხვანაირი ბედი მაქვსო“. თბილისში ასე თამამად საირულის მერე სოფელში ძმას ჩააკითხა. საქმეები მოაგვარა და ბაქოს გზით წავიდა. „რამდენიმე კაცმა შორიახლოდან გავაცილეთ და სანამ მატარებელი არ დაიდრა, გული გულის ალაგას არ ჩაგვდგომა“.

გერმანიის ხელისუფლებასთან შეთანხმებით ახალი ექსპედიციები მოშზადლა. პირველ ექსპედიციაში, რომელიც წყალქვეშა გემით შემოვიდა საქართველოში, შედიოდნენ: გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი, ვლადიმერ მძი-



ქართველი ლეგიონერები: სერგო ლაბაძე, ალექსანდრე სურგულაძე, ოსმან ბეკ აზაბ ადა ზადე, ლეო კერესელიძე, ქვეყარაძე, ნესტორ კერესელიძე, ვინზე რაჭველი. ქვემოთ, შუაში ზის ლეკი სულეიმან ბეკი.


მართველავი უცხოეთში

ნარიშვილი, ჩეჩენი პაზავათი, აზერბაიჯანელი სელიმ ბეი ბებუთოვი, რამდენიმე ქართველი ოფიცერი და ლეგიონის უნტერ-ოფიცერი. „ჯერ სხვები ჩავიდნენ ნავში რიგრიგობით და საკმაოდ კარგი, წყნარი განწყობილებით მეტ-ნაკლებად ოდნავი დელვა ყველას ეტყობოდა. არ დელვდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც გამოცდილი ჰქონდათ ამგვარი მოგზაურობა. ბოლოს ჩავიდა ქარცივაძე. დაერჩი მარტო მე. უცებ ამიტანა მოულოდნელმა შიშმა. უკან დავიწიე და უარი ვთქვი, ისე, რომ დაუბაძრე წასვლა. ამ დროს სახეშეცვლილმა გიორგი მაჩაბელმა დაადრო რევოლვერი და ჩემთვის სრულიად უცნობი, მანამდე განუცდელი ხმით მითხრა: ჩადი, თორემ აქვე დაგაწვენ! ეს ისეთი მტკიცე გადაწყვეტილებით იყო ნათქვამი, ის ნამდვილად მომკლავდა. მე სწრაფად ჩავირბინე და შეუერთდი სხვებს“, — წერდა მიხაკო წერეთელი.

მეორე ექსპედიციამ (მიხაკო წერეთელი, მ. ქარცივაძე, გვიშიანი, კერჩი და აზერბაიჯანელი) დიდძალი იარაღი და ფული შემოიტანა. მესამე ექსპედიციაში შედიოდნენ: პეტრე სურგულაძე, შალვა ვარდიძე, სულეიმან ირემაძე, ვლადიმერ სიამაშვილი, ერთი ქართველი და

ორი გერმანელი მეზღვაური. 1916 წელს ერთ-ერთი ექსპედიციის დროს გერმანელთა წყალქვეშა გემი იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო. გზად შეხვდა ბათუმისკენ მომავალ გემ-ჰოსპიტალ „პორტუგალს“, რომელსაც იარაღით დატვირთული დიდი ნავი ჰქონდა გამობმული. „წყალქვეშა ნაღმით ჩასძირა ორივენი; და შეიძლება არც ღირებულიყო „მსოფლიო“ ომის ასეთ მცირე მოვლენაზე ლაპარაკი, რომ ამ გემ-ჰოსპიტალზედაც და ამ წყალქვეშაშიაც ქართველები არ ყოფილიყვნენ. გემთან ერთად დაიღუპა ქართველი მოწყალეების და ანეტა ანდრონიკაშვილი და წყალქვეშაში, გერმანელებთან ისხდნენ შალვა ვ-ძე და სხვა ქართველები, გულ-დაკოდილნი, რომ ძლივს ეღირსათ საშობლოს ნაპირებთან მისვლა და უკან მოუხდათ დაბრუნება“, — მოგვითხრობს რეზო გაბაშვილი.

გიორგი იყო გერმანელი პრინცი, კაიზერ ვილჰელმ II-ის უმცროსი ვაჟის იოახიმისა და ქართველი პრინციესას დაქორწინებით (გერმანული დინასტიით სათავეში) ქართული მონარქიის აღდგენის მომხრე. კანდიდატიც შერჩეული ჰყავდა — საქართველოს დამფუძნებელი



გემ-ჰოსპიტალი „პორტუგალი“



კრების წევრის, ეროვნულ-დემოკრატ მიხეილ (მიმო) მაჩაბლის ულამაზესი ქალიშვილი მარინა. მაგრამ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფო აღდგა, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა და ეს საკითხი აღარ დასმულა. 11 ნოემბერს გერმანული მონარქია დაემხო, პრინცმა იოახიმმა ჰოლანდიაში დაიდო ბინა, მარინა მაჩაბელი კი იტალიის კონსულს ფრანზონის გაჰყვა ცოლად და რომში დასახლდა.


დამოუკიდებლობის წლებში გიორგი იყო იტალიაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი. მას ანგარიშს უწევდნენ არა მარტო სამთავრობო წრეები, არამედ ოპოზიციაც. აქტიურად თანამშრომლობდა იტალიურ პრესასთან.

ოკუპაციის შემდეგ იტალიაში უსახსროდ დარჩენილი ოჯახის ფეხზე დასაყენებლად ნორინა სცენას დაუბრუნდა. ამერიკელმა რეჟისორმა მორის გეტმა იგი ნიუ-იორკში მიიწვია, სადაც ხელახლა დადგა „სასწაული“. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ სპექტაკლი ათასჯერ წარმოადგინეს.

1922 წელს გიორგიმაც გადაწყვიტა ამერიკაში გადასახლება. ორი წლის შემდეგ კი ნიუ-

იორკში გახსნა ანტიკვარული მაღაზია „წითელი და შავი“ და სახელი მალე მოიხვეჭა. ამასთან, არ იფიქვებდა თავის ძველ გატაცებას — სუნამოების შეხვეებას. მალე აღმოაჩინა, რომ მის მუშტრებს სუნამოები უფრო აინტერესებდათ, ამიტომ ანტიკვარიატზე ხელი აიღო. პარიზში პარფიუმერიის სპეციალიზებულ მაღაზიაში მიღებული გამოცდილების შემდეგ, 1926 წელს გახსნა საკუთარი კომპანია, რომელიც ოთხი წელი ფართოდებოდა და პრესტიჟული ხდებოდა. იგი თვითონვე ქმნიდა, აზნალებდა, აფორმებდა სუნამოებს და რეკლამასაც თვითონ უკეთებდა. ძნელია თქმა, სად უფრო მიღწია წარმატებას, მაგრამ მიგნება — მაჩაბლების საგვარეულო გერბზე გამოსახული ოქროსვარაყიანი სამეფო გვირგვინის გამოყენება გაფორმებისთვის — ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა. საქართველოს არშემდგარი დედოფლის, მარინა მაჩაბლისადმი მიძღვნილმა სუნამომ „საქართველოს დედოფალი“, ჯვრიანი ოქროს გვირგვინის ფორმის ფლაკონით, ამერიკელი საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. მალე მას მოჰყვა მეუღლისადმი მიძღვნილი სუნამო „პრინცესა ნორინა“, ინგლისელი ლამაზმანის სახელობის სუნამო „დუმეს ოფ იორკს“, სუნამო „ოქროს შემოდგომა“, სააბაზანო ზეთი „აბანო“, ოდეკოლონი „ქარის სიმღერა“, დაპრესილი პუდრი და პომადა. მათ ასევე აშშ-ში მიწოდებდა „პრინც მაჩაბლის გვირგვინი“ — მისი საფირმო ნიშანი.

მშვენიერი სარეკლამო განცხადებები, რომელსაც გიორგი ადგენდა, მისი თეორიების შესანიშნავ დასტურს წარმოადგენს: „აბანო“ პრინცი მაჩაბლის ზეთი, მცირე რაოდენობით ჩასხმული თბილ წყალში, არაჩვეულებრივ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ორგანიზმის მიერ თანდათანობით შეწოვის შემდეგ, თქვენ რამდენიმე საათით ჩაიძირებით ამ აღმოსავლურ არომატში. გამოძებნეთ დრო — ისიამოვნოთ ამ ფუფუნებით. ის აგიმალღებთ განწყობას, მოგიხსნით დაღლილობას, გაგანებოვრებთ და მოგესიყვარულებთ. როცა საღამოს ხანგრძლივი დროით სადმე წაბრძანდებით, მისი წყალობით გარშემორტყმული იქნებით ჯადოსნური აურით (\$1.50)“; „ოქროს შემოდგომა“ პრინც მაჩაბლის სუნამო — ეს არის ძალიან თანამედროვე, კოჭას (იმბირის) სურნელის მქონე გამორჩეული და აღმაფრთოვანებელი სუნამო. თუ გსურთ იყოთ მისი სახელის მსგავსად საუკეთესო, იპკურეთ ამაყად და სიამოვნებით. ის იქნება საწინდარი ყოველივე არაჩვეულებრივის. დაიწვეთეთ რამდენიმე წვეთი მაჯე-



ბზე, იდაყვებზე, ყელთან, ყურების უკან. ეს არის სუნამოს ხმარების ყველაზე სწორი წესი, რათა სურნელი კარგად იგრძნობოდეს (\$4.00)“. ფლაკონები ჯერ გერმანული ფაიფურისგან იქმნებოდა, შემდეგ ჯორჯ კობის (გრიგოლ კობახიძე) მინის კომპანიაში დაამზადეს გამჭვირვალე მინის ფლაკონი, რომელიც, როგორც ენციკლოპედიური ცნობარი აღნიშნავდა: „მიჩნეულია მინის ფლაკონის ერთ-ერთ უმშვენიერეს ხელნაკეთ ნიმუშად“. იგი მზადდებოდა ნახევრად ავტომატური მეთოდით. ოქროთი მოვარაყება, ოქროსფერი ზარნიშისა და ზონრის დამზადება ძველებურად ხელით სრულდებოდა.

მალე გიორგიმ „მაჩაბლის გვირგვინები“ მთელ ამერიკას მოსწო. მისმა წარმოებამ წარმატებით გადალახა 1930-იანი წლების კრიზისი და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ფირმის პირველი მუშები მისი მგობრები იყვნენ: ლტოლვილი არისტოკრატები, მათი ცოლები და ქალიშვილები, ამიტომ მთელ ამერიკაში მათ შეადგინეს ყველაზე დიდგვაროვანი, თავზიანი და ზრდილობიანი მომსახურე პერსონალი.

ათ წელიწადში გიორგი მაჩაბელმა არა მარტო მილიონდოლარიანი ბიზნესი შექმნა უბრალო ჰობიდან, არამედ ნოვატორიც გახდა; ამერიკას საკუთარი საპარფიუმერიო მრეწველობა ჯერ კიდევ არ გააჩნდა. რაც მზადდებოდა, ძირითადად ფრანგული პროდუქციის ცუდი ასლები იყო და ისიც ძალიან ძვირი ჯდებოდა. ამიტომ საუკუნის დამდეგს მოდაში შემოვიდა უბრალო ყვავილებისა და თაიგულების არომატი, რომლებსაც მკერდზე იმაგრებდნენ. ასე რომ, გიორგიმ თავისი ჰობით შეაესო ის სიცარიელე, რაც იმ დროს არსებობდა ამერიკულ საპარფიუმერიო წარმოებაში.

ბიზნესს იგი საზოგადოებრივი საქმიანობისთვის არ ჩამოუშორებია. გიორგი იყო 1931 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, 1933-34 წლებში მისი თავმჯდომარე, 1934 წლიდან — ხაზინადარი. პუნქტუალურად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა სათვისტომოსაც და ყველა გაჭირვებულ ქართველსაც. „მთელ ქართულ ემიგრაციაში მარტო ერთი, გიორგი ქმნის დიდს ახალ საქმეს, რომელიც სწრაფად მიექანება მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილის დასაჭერად... ამ მიზნის მიღწევა გიორგის იმისთვის უნდა, რომ მეორე მიზნის (ქართული პოლიტიკის) სამ-

სახურში მალე გადავიდეს, რომ კვლავ შეუდგეს საქართველოს თავისუფლების ახლად გამოჭედვის საქმეს თავის დაცდილ მეგობრებთან ერთად“, — წერდა სპირიდონ კელია.


1935 წლის თენისისთვის დაგეგმილი ჰქონდა მე-5 ავნიუზე ახალი, ელევანტური სადემონსტრაციო დარბაზის გახსნა. მიწვეული ჰყავდა საუკეთესო დეკორატორი, ბრიტანელი მხატვარი სესილ ბეტინი და ფოტოგრაფი პაველ ჩელიშჩივი, მაგრამ ვეღარ მოასწო. 1935 წლის მარტში ფილიალების გასახსნელად კალიფორნიასა და შანხაიში იმოგზაურა. გზაში გაცვიდა და, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ უკვე წარმატებით მკურნალობდნენ პნევმონიას, ფილტვების ანთებით ერთ კვირაში გარდაიცვალა. ემიგრანტთა ნაწილი მის მოულოდნელ სიკვდილს საბჭოთა სპეცსამსახურებს უკავშირებდა, რაც საფუძველს მოკლებული არ იყო.

ფირმა Prince Matchabelli კონექტიკუტის შტატში დღესაც არსებობს, როგორც მსოფლიოს ცნობილი საპარფიუმერიო ფირმების ღირსეული კონკურენტი. პროდუქცია, რომელსაც იგი უშვებს, მისი დამფუძნებლის სახელითა და რეცეპტით გამოდის და, რაც მთავარია, საფირმო ნიშანიც იგივეა — გიორგი მაჩაბლის მიერ შექმნილი ემბლემა — ქართულჯვრიანი სამეფო ოქროს გვირგვინი, რომელიც თბილისში ახლახან დაფუძნებული „გიორგი მაჩაბლის ფონდის“ ემბლემაცაა... ■

„პრინც მაჩაბლის“ სუნამოების სერიიდან



პირველი სახანძრო ხაზში



საუბრის შორ მანძილზე გადაცემის იდეა XIX საუკუნეში გაჩნდა. გამოგონების ავტორი ალექსანდრე გრემ ბელია. ბელი ბრიტანეთში დაიბადა. 1870 წელს კი მისი ოჯახი საცხოვრებლად კანადაში გადავიდა, სადაც ბეგრებზე დაკვირვებით გატაცებულმა ბელმა ლაბორატორია მოაწყო.


1875 წლის მარტში, ბელი ცნობილ მეცნიერ ჯონსეფ ჰენრის ესტუმრა და სთხოვა რჩევა მიეცა მრავალმეუთლიან ელექტროაპარატთან დაკავშირებით, რომლის მეშვეობითაც იგი ტელეგრაფით ადამიანის ხმის გადაცემას ვარაუდობდა. ჰენრიმ უთხრა, ამ საკითხის გადაწყვეტა თაუადვე შეუძლიაო. ალექსანდრემ უპასუხა, რომ საამისოდ საკმარისი ცოდნა არ ჰქონდა. „მაშინ შეიძინე ეს ცოდნა“ — მეცნიერის ამ ნათქვამმა ბელი გაამხნევა.

მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი ფინანსები არ გააჩნდა ცდების გასაგრძელებლად, ბელმა მოახერხა დაფინანსების მიღება. ასისტენტად გამოცდილი ინჟინერ-მექანიკოსი ტომას უოტსონი აიყვანა. ისინი აკუსტიკურ ტელეგრაფზე ატარებდნენ ცდებს. 1875 წლის

საქართველოში პირველად თბილისი-კოჯრის ტელეგრაფის ხაზზე „აიღვა ფები“ იმ დროისათვის მსოფლიო მნიშვნელობის გამოგონებამ



ალექსანდრე გრემ ბელი პირველი ტელეფონით



ტელეგრაფის აპარატის გადასაცემი მოწყობილობა

2 იენის, უოტსონმა შემთხვევით ერთ-ერთი მათელი გამოსწია და ხაზის მეორე ბოლოში მყოფმა ბელმა ბგერები გაიგონა; ბგერები, რომლებიც საჭირო იყო საუბრის, ხმის გადასაცემად. ამან ბელს დაანახვა, რომ ბგერის გადასაცემად, რამდენიმე კი არა, ერთი მათელიც საკმარისი იქნებოდა. სწორედ ამას მოჰყვა ტელეფონის შექმნა.

XIX საუკუნის ბოლომდე მსოფლიოში სატელეგრაფო ხაზის მხოლოდ ერთი დანიშნულებით იყენებდნენ. XIX საუკუნის ბოლოსთვის დეპეშების გადაცემაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო გაჩნდა აზრი შორ მანძილზე სატელეფონო კავშირის დამყარების აუცილებლობის შესახებ. მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შეიძლებოდა სატელეფონო გადაცემისთვის სატელეგრაფო ხაზი გამოეყენებინათ, რაც სახელმწიფოსაც ეკონომიას მისცემდა.

XIX საუკუნის დასასრულს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერმა და გამომგონებელმა დაიწყო ამ იდეის განხორციელებაზე მუშაობა.

მაშინდელ რუსეთის იმპერიაში, რომელშიც საქართველოც შედიოდა, ამ ურთულესი ტექნიკური საკითხის გადაწყვეტაზე განსაკუთრებული წარმატებით მუშაობდა იმ დროისათვის უკვე ცნობილი გამომგონებელი ე. გვოზდევნი და პირველმაც სწორედ მან განახორციელა ერთი ხაზით დეპეშებისა და სატელეფონო საუბრის ერთდროული გადაცემა.

სად და როდის გამოიყენეს ეს მსოფლიო მნიშვნელობის გამოგონება?

რუსულ გამოცემებში, რომელშიც ლაპარაკია რუსეთის კავშირგაბმულობის შესახებ, ყველგან აღნიშნულია, რომ 1893 წელს 128 ვერსზე ოდესასა და ნიკოლაევს შორის მოეწყო პირველი სატელეფონო კავშირი, სადაც გამოიყენეს ტელეგრაფის ხაზი. ამ უკანასკნელით ერთდროულად გადაიცემოდა დეპეშები და სატელეფონო საუბარი, რომელიც გვოზდევნი განახორციელაო.

სპეციალურ ლიტერატურაში არსად არის აღნიშნული, მაგრამ პ. კარბელაშვილმა ყურადღება მიაქცია იმდროინდელ პრესაში მოქვეყნებულ წერილებს, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ სანამ გვოზდევნი ოდესაში ჩავიდოდა და თავის გამოგონებას დანერგავდა, პეტერბურგიდან ჯერ თბილისში ჩამოსულა და დეპეშებისა და სატელეფონო საუბრის ერთი ხაზით გადაცემა პირველად თბილისი-კოჯორის ტელეგრაფის ხაზზე განუხორციელებია.

რუსი გამომგონებელი საქართველოს 1893 წელს ეწვია. თბილისში ჩამოსულმა მეცნიერმა ივლისის პირველ რიცხვებში გადაწყვიტა სატელეფონო კავშირი დაემყარებინა თბილისსა და კოჯორს შორის. ეს ამბავი ქალაქს სენსაციად მოედო, ბევრს არც სჯეროდა ასეთი უჩვეულო კავშირის დამყარების შესაძლებლობა.




გვოზდევნი სისტემის ტელეფონის აპარატი, რომლითაც თბილისი კოჯორს პირველად დაუკავშირდა

1893 წლის 11 ივლისს გაზეთი „ტიფლისსკი ლისტოკი“ წერდა: „ამ დღეებში თბილისი და კოჯორი ერთმანეთს დაუკავშირდა გვოზდვეის ტელეფონით, რომელიც ტელეგრაფთან ერთდროულად და ერთ ხაზში მოქმედებდა“. იგივე „ტიფლისსკი ლისტოკი“ 15 ივლისის ნომერში იტყობინებოდა, რომ „ამ დღეებში, ტფილისში, ტელეფონის ქსელის მშენებლებმა ჩაატარეს თბილისსა და კოჯორს შორის ტელეფონირების ცდები. კოჯრიდან ლაპარაკი საუსებით ნათლად და გარკვევით ისმოდა ცენტრალურ სატელეფონო სადგურში. ტელეგრაფის სადენით ლაპარაკი წარმოებდა ბატონ გვოზდვეის სისტემის ტელეფონის აპარატებით, რომლებიც მოქმედებს ტელეგრაფთან ერთდროულად და ერთი და იმავე ხაზით“. იმავე დღეს, 1893 წლის 15 ივლისს, გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ წერდა: „ამჟამად ცდის სახით თბილისსა და კოჯორს შორის მოქმედებს გვოზდვეის სისტემის ტელეფონი, რომელიც დაშნადებულია ფირმა „ობრის“ მიერ საზღვარგარეთ, დადგმულია ფოსტა-ტელეგრაფის კანტონარში გამომგონების და პეტერბურგში ახალი სატელეფონო ამხანაგობის აუქციონერის, თბილისელთათვის ცნობილი რკინიგზელი მოღვაწის ბატონ ბუნგეს მიერ“. გაზეთში დაწვრილებით არის აღწერილი გვოზდვეის აპარატის უპირატესობა სხვა მსგავს აპარატებთან შედარებით.

საფოსტო-სატელეგრაფო უწყებამ მოსახლეობას ნება დართო თბილისსა და კოჯორს შორის დამყარებული სატელეფონო კავშირით ესარგებლათ. ამ არაჩვეულებრივ სიახლეს თბილისის მოსახლეობა დიდი ინტერესით შეხვდა. 1893 წლის 18 ივლისს „ნოვოე ობოზრენიე“ წერდა: „შესანიშნავად მუშაობს ფოსტა, უფრო უკეთესად ტელეგრაფი. არასოდეს თბილისელებს საზღვარგარეთის კურორტებთანაც არ ჰქონიათ ასეთი გაცხოველებული კავშირი. კარგი სამსახური გასწია ტელეფონმაც, სამი დღეა, რაც ის გაიხსნა კოჯორში და სადგური უკვე გაიხსო შეკვეთებით“.

ამგვარად, საქართველოში პირველად თბილისი-კოჯორის ტელეგრაფის ხაზზე „აიღდა ფეხი“ იმ დროისათვის მსოფლიო მნიშვნელობის გამოგონებამ.

თბილისში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებით კმაყოფილი გვოზდვეი, რუსეთში გაემგზავრა, ოდესა-ნიკოლაევის ტელეგრაფის ხაზზეც მსგავსი ცდები ჩაატარა. „ნოვოე ობოზრენიე“ 27 ივლისს წერდა: „ამ დღეებში გაუმჯობესებული ტელეფონის გამოგონებე-



პირველი ტელეფონის თბილისში გამოცდის იდეა დიდ ქართველ მოღვაწეს, ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნოდა

ლი ბატონი გვოზდვეი თბილისიდან ოდესაში გაემგზავრა თავისი ტელეფონების იქ დასადგმელად და ტელეფონების ხაზის გასაყვანად ოდესასა და ნიკოლაევს შორის“.

1887 წელს სამშენებლო ფირმა „ბუნგე და პალაშკოვის“ ერთ-ერთი მეპატრონის (ამ ფირმამ ააგო რკინიგზის ბევრი მონაკვეთი და შავი ზღვის ყველა ნავსადგური), ცნობილი ბიზნესმენის ა. ბუნგეს ინიციატივით დაარსდა „ა. ბუნგეს და გამოგონებულ ე. გვოზდვეის სატელეფონო ამხანაგობა“. ჩანს, მეცნიერს ფინანსურ დახმარებას ბუნგე უწევდა. 1893 წელს გვოზდვემა თავისი გამოგონება სწორედ ბუნგეს რჩევით ჩამოიტანა თბილისში. ბუნგე და ნიკო ნიკოლაძე დიდი მეგობრები იყვნენ. სავარაუდოდ, ჩანს ეს ყველაფერი ნიკო ნიკოლაძის იდეა იყო, რომელიც იმხანად კოჯორში ისვენებდა და ექსპერიმენტულ სწორედ ამიტომ ჩატარდა თბილისისა და კოჯორის სატელეგრაფო ხაზზე.

რუსმა გამოგონებელმა გვოზდვემა სწორედ თბილისში ჩაატარა ბრწყინვალე ექსპერიმენტი, რომელმაც მას სახელი და დიდება მოუტანა. თბილისი-კოჯორის ტელეგრაფის ხაზი კი მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა, რომლითაც ერთდროულად გადაიცემოდა დეკემბები და სატელეფონო საუბარი. ■



იოსებ ნალიაშვილი – შახისმაძიანი თუ ტახოჩისტი?

თბილისის სასულიერო სემინარიის
შენობა (მე-19 საუკუნის 80-იანი წლები)
– დღევანდელი ხელოვნების მუზეუმი

1881 წლის პირველ მარტს მოკლეს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II. ამ ფაქტმა, შეიძლება ითქვას, ძირფესვიანად შეცვალა რუსეთის იმპერიისა და მასში მცხოვრები ხალხების ბედი. მაგრამ ამჯერად სხვა მკვლელობაზე ვისაუბრებთ – ასევე ტერორისტულ აქტზე, თანაც, პირველზე საქართველოს ისტორიაში, რომელიც სწორედ „მეფე განმათავისუფლებლის“ მოკვლის შედეგად დაწყებული რეპრესიების ირიბი შედეგი იყო...

1886 წლის 24 მაისს, თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა ახალგაზრდამ, 20 წლის იოსებ ლალიაშვილმა, ხანჯლით მოკლა ამავე სემინარიის რექტორი პავლე ჩუდევცი! მანამდე არსმენილი ამბავი ელვის უსწრაფესად მოედო ვრცელ იმპერიას...

როდესაც წლები გავიდა და მაშინდელი მოვლენების უშუალო თვითმხილველები ამქვეყნად აღარ იყვნენ, და დღევანდლამდეც, საკუთრივ ჩუდევცის მკვლელობას ნაკლები მნიშვნელობა შერჩა, ვიდრე იმ ამბებს, რაც ამის შემდეგ დატრიალდა: საქართველოს ეგზარქოსის პავლეს მიერ ქართველი ხალხის საჯაროდ დაწყევლა, ამის გამო დიმიტრი ყიფი-

ანის გამანადგურებელი წერილი ეგზარქოსისადმი; შემდგომ დიმიტრი ყიფიანის გადასახლება სტავროპოლში; მისი მკვლელობა; საერთო-ეროვნულ პროტესტად ქცეული ჩამოსვენება, მთაწმინდაზე დაკრძალვა და ბოლოს – დიდი მამულაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი აკაკის გენიალური ლექსი...

ეს ყველაფერი მართალია და ისეთი ღირსეული ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც უნდა ეჭიროს. მაგრამ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ თვით იოსებ ლალიაშვილზე – მთელი ამ ეპოპეის წამომწყებზე, ბევრი არასოდეს თქმულა და ჩუდევცის მკვლელობაც არა ტერორისტულ აქტად, არამედ პირად შურიისძიებად აღიქმება უმეტესობისთვის.

ცხადია, ბოლშევიკების დროს ამ მკვლელობას სათავისოდ „აპიარებდნენ“ ხელისუფალნი. ანა ხახუტაშვილმა რომანიც („იოსებ ლალიაშვილი“) დაწერა; პიესაც იდგმებოდა; ლალიაშვილის თანამოწაფეთა – მახარაძე-ცხაკაიების „მოგონებებიც“ გამოქვეყნდა, რომელიც „გამოგონებებს“ უფრო ჰგავდა... ერთი სიტყვით, იმ პერიოდში იოსებ ლალიაშვილი სოციალურ უთანასწორობასთან ბრძო-

ლაში თავგანწირულ რევოლუციონერად გამოიყვანეს. მერე და მერე, 60-იანი წლებიდან, როდესაც „წითელი ყრუობის“ ხანა ასე თუ ისე მიიღია და ტყუილი უფრო ძნელად სადღებოდა, სახელისუფლებო ისტორიოგრაფები საერთოდ აღარ ახსენებდნენ მის სახელს...

1990 წელს, საფრანგეთში ყოფნისას, ერთ-მა ქართველმა ემიგრანტმა მითხრა, საქართველოში მკვდარი ეგონათ, ჩემმა ძმამ კი 80-ს მიღწეული იოსებ ლაღიაშვილი თეირანში ნახა 1943 წელს, იქ ქართველებს შეხვდა მოკავშირეთა მეთაურების ცნობილი კონფერენციის დროსო.

მოგვიანებით, 2000 წელს ჟურნალ „გზაში“ დაბეჭდვით წერილი იოსებ ლაღიაშვილზე და შევეცადეთ მისი პერსონა და ჩუღუტკის მკვლელობის ამბავი განსხვავებული კუთხით წარმოგვეჩინა. შემდეგაც რამდენიმე პუბლიკაცია გამოქვეყნდა ქართულ პრესაში, მაგრამ ცხადია, ამ საკითხს უფრო ღრმა, მეცნიერული შესწავლა სჭირდება და იმედია, ასეც იქნება.

მაშ ასე, ვინ იყო იოსებ ლაღიაშვილი — „მგზნებარე რევოლუციონერი“ (ბოლშევიკური ვერსია) თუ „გზაბნეული, უპატრონო ობოლი“ (ამას ქართველი საზოგადოება აცხადებდა, რი-

თაც მის ქომაგობას ამართლებდა)? ვფიქრობთ, არც ერთი და არც მეორე! ეს ახალგაზრდა ეროვნული საქმისთვის თავდადებული კაცი იყო და ამაზე ბევრი რამ შეტყვევებს.

იოსებ ლაღიაშვილი 1866 წლის 2 იანვარს სამეგრელოში დაიბადა. მამამისი გორელი მღვდელი იყო, რომელიც მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მიაღვლინეს მასწავლებლად და იქაური — ბანძელი მღვდლის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად. იაკობი რამდენიმე წელიწადში თავის სოფელში, ზურვალეთში დააბრუნეს მღვდლად. შვიდი წლისაც არ იყო იოსები, დედ-მამამ რომ დაეხოცა და მისი აღზრდა ბებია და ბიძებმა ითავეს. გორის სასულიერო სასწავლებელიც დაამთავრებინეს და თბილისის სასულიერო სემინარიაშიც სახელმწიფო ხარჯით ჩაარიცხვინეს — როგორც მღვდლის შვილი და ობოლი. სემინარიის პანსიონშივე ცხოვრობდა და სტიპენდიასაც იღებდა. ერთი სიტყვით, თითქოს ობლის კვერი გამოცხვა — დაამთავრებდა სასწავლებელს, გაამწესებდნენ სადმე რომელიმე სასწავლებლის ინსპექტორად ან მღვდლად აკურთხებდნენ და იქნებოდა „ტკბილად“, მაგრამ მან სხვა გზა ირჩია.

ოფიციალური, ანუ სასამართლოსა და მამინდელი პრესის ვერსია ამ მკვლელობისა ასეთია: სემინარიის ზედამხედველმა ლაღიაშვილს ქართულად დაწერილი დღიური აღმოუჩინა, ამისთვის სტიპენდიაც მოეხსნა და პანსიონიდანაც დაითხოვეს, მხოლოდ ექვსი მანეთი დაუნიშნეს თავის სარჩენად და ლაღიაშვილი იძულებული იყო, ვიდაც რუსი ფელდფებელის უნიჭო შვილები ემეცადინებინა, მათი მშობლები კი ღამის გასათევითა და საკვებით უზრუნველყოფდნენ; მაგრამ იქაც მიაკითხეს — ოთახი გაუჩხრიკეს, აკრძალული ლიტერატურა (მათი ვერსიით, ჟურნალი „ოტენესტვენნიე ზაპისკი“) აღმოუჩინეს და საერთოდ დაითხოვეს გიმნაზიიდან, თანაც ყოფაქცევაში დაბალი ნიშანი დაუწერეს. ლაღიაშვილმა ჯერ თხოვნით მიმართა რექტორსაც და თვით ეგზარქოსსაც, მაგრამ უარი მიიღო. რისხვისგან გონდაბნეული სემინარიაში მიიჭრა (ჩუღუტკი სემინარიის შენობაშივე ცხოვრობდა) და ცოლისა და ცოლისდის თვალწინ სასტიკად გაუსწორდა რექტორს.

თითქოს ყველაფერი ცხადია, თითქოს აფექტის ან კლასიკური შურისძიების ჩვეულებრივი კრიმინალური მაგალითია, მაგრამ დეტალების გაცნობისას უამრავი კითხვის



იოსებ ლაღიაშვილის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ფოტო



დიმიტრი
ყიფიანის
დაკრძალვა

ნიშანი ჩნდება: ქართველობა ქართველობად, მაგრამ ეროვნება ხომ არ შეიძლებოდა საკმარისი ყოფილიყო მკვლელისადმი საყოველთაო თანაგრძნობის მიზეზი?! ილიას „ივერიაც“ და სხვა ქართული გაზეთებიც ყოველდღე აშუქებდნენ სასამართლოს მიმდინარეობას და ფაქტობრივად არ მალავდნენ სიმპათიას ლაღიაშვილისადმი; ხოლო ბრწყინვალე თავადმა კონსტანტინე მუხრან-ბატონმა, თვით რუსეთის სამეფო კარზე მიღებულმა და უადრესად გავლენიანმა კაცმა, არც ითაკილა, არც დაიზარა, არც ხარჯს მოერიდა და მთელ იმპერიაში ყველაზე სახელგანთქმული და ძვირად ღირებული ადვოკატი — ტურკვიჩი დაუქირავა განსასჯელს; სასამართლო დარბაზი სავსე იყო, შენობის გარეთ შეკრებილი უამრავი ქართველიც თანაგრძნობით ელოდა განაჩენს... აღსანიშნავია, რომ ლაღიაშვილი სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა — საქმის განსაკუთრებულობის გამო (რადგან ჩაითვალა, რომ განსასჯელის ქმედება სახელმწიფოსთვის საზიანო შინაარსს შეიცავდა).

სამართლე ითქვას, დასაფიქრებელია თვით დიმიტრი ყიფიანის პროტესტიცა და მის წერილს მოყოლილი გართულებანიც. თავად განსაჯეთ: დიმიტრი ყიფიანი, იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდობაში ერთხელ უკვე გადა-

ასახლეს (1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო), მას შემდეგ „გამოსწორდა“ — ვორონცოვის ნდობა დაიმსახურა და იმ დროიდან დაწყებული არც თანამდებობა დაკლებია, არც ჩინი და არც პატივი. ბოლოს, ქუთაისის გუბერნიის (ანუ მთელი დასავლეთ საქართველოს) თავად-აზნაურთა წინამძღოლობას მიაღწია. როდესაც ლაღიაშვილმა ჩუდეციკი მოკლა, 70-ს გადაცილებული დიმიტრი ყიფიანი უკვე ქვაშხეთში ცხოვრობდა, მსუყვე პენსიასაც იღებდა და მანამდე არც არასოდეს გამოუჩენია თავი რადიკალური განცხადებებით. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ევზარქოს პავლეს (ყოველ შემთხვევაში, მაშინ) ქართველი ხალხი კი არ დაუწყევვლია, არამედ ის გარემო („კრუგ ი სრედა“), რომელმაც მკვლელი შვა. ასე რომ, ერთი შეხედვით „კონფორმისტ“ ყიფიანს შეეძლო არც „გაეგონა“ მისი ქადაგება, მაგრამ არა — მან სასტიკად გაამათრახა პავლე თავის წერილში და საქართველოს დატოვებისკენ მოუწოდა! ესეც, ცოტა არ იყოს, არაბუნებრივად ჩანს დღეს და ევზარქოსის რეაქციაც — ამაზე პასუხი არც ღირსო, კი შემოუთვალა, მაგრამ წერილი მთავარმართებელ ღონდუკოვ-კორსაკოვს მიუბრუნინა და მანაც მაშინვე გასცა 72 წლის მოხუცის გადასახლების ბრძანება.

საქმე ის არის, რომ ღონდუკოვ-კორსაკოვს

პეტერბურგის თანხმობის გარეშე ოფიციალურად ჰქონდა აკრძალული ყოფიანისნაირი ცენზის მქონე პერსონის დასჯა, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა(!), ხოლო უბრალო წერილი (ეს რომ მხოლოდ წერილი ყოფილიყო) „განსაკუთრებულ შემთხვევად“ ვერ ჩაითვლებოდა. საფიქრებელია, რომ ვგზარქოსმაც, მთავარმართებელმაც (რომელსაც რამდენიმე ათწლეულის ნაცნობობა აკავშირებდა ყოფიანთან) და პეტერბურგელმა უფროსობამაც ძალიან კარგად იცოდა, რომ დიმიტრი ყოფიანი სულაც არ ყოფილა ერთგული ქვეშევრდომი იმპერიისა და საქართველოში გაღვივებული ეროვნული მოძრაობაც არ იყო მისგან შორს... ისიც ნიშანდობლივია, რომ ამ თვითნებობის გამო დონდუკოვ-კორსაკოვისთვის არავის უსაყვედურია და მხოლოდ დიმიტრი ყოფიანის სტაუროპოლში მკვლელობისა და დემონსტრაციების თანხლებით მისი თბილისში დაკრძალვის შემდეგ გადაიყვანეს საქართველოდან...

რა იყო ეს ყველაფერი?!

კი — ჩუდციკი ქართველთმოძულე და სასტიკი რექტორი იყო; კი — ვგზარქოსი პავლეც დაუძინებლად ცდილობდა ქართველებში ქართულის წაშლას და კავკასიის სასწავლო ოლქის ზედამხედველ იანოვსკისთან ერთად, ის პირველი იყო, ვინც მეგრულად და სვანურად ბიბლიის თარგმნა დააბირა; კი — ლალიაშვილი ობოლი და უპატრონო იყო და დაცვა სჭირდებოდა... მაგრამ (შესადგლო ვინმეს სხვა აზრი ჰქონდეს) ეს მაინც არ იყო საკმარისი მიზეზი იმისთვის, რომ მთელი ერი მკვლელის დასაცავად აღმდგარიყო!

უფრო მეტი არგუმენტი, რომ ლალიაშვილი არც მართო მოქმედებდა და არც „აფექტური“ მკვლელი იყო, მის დღიურებსა და თანამედროვეთა მოგონებებშია: თბილისის საგუბერნიო ყანდარმთა სამმართველოს ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მას ლალიაშვილის ბევრი ნაცნობი დაუკითხავს და ყველა „წყნარ, მომთმენ და არაფერ ცუდში შემჩნეულ“ ახალგაზრდად ახსნაათებს, მაგრამ ეს ნაცნობები, ძირითადად სემინარიისეუ მოსწავლეები იყვნენ და არც თვითონ გახლდნენ „მამა აბრამის ბატყენი“. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ სასულიერო სემინარია იყო თბილისში როგორც ეროვნულ მოღვაწეთა, ასევე სოციალისტ-რევოლუციონერთა „სამკვდლო“ — სწორედ აქ სწავლობდნენ როგორც სოციალისტი ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია, ასევე



შიო არაკვისპირელი (დედაბრიშვილი)

ნაციონალისტი შიო დედაბრიშვილი (შემდგომში — მწერალი შიო არაკვისპირელი), დავით კეხელი და მოსე ჯანაშვილი. ასე რომ, ამ ნაცნობების ჩვენებები დიდად სანდო არ უნდა იყოს.

დაკითხვისას ლალიაშვილს, ჯერ საერთოდ არაფერი მახსოვსო — განუცხადებია, მეტს კრინტს აღარ დავძრავ სასამართლომდეო (ესეც თქვენი „ჩუმი, წყნარი, სოფლელი ბიჭი“), მერე კი ადვოკატ ტურკვეიჩის ვერსია მოუყოლია: გამამწარეს, საბუთებსაც არ მიბრუნებდნენ, გორის სასწავლებლის დასრულების მოწმობაც დამიძალეს, რომ სადმე მასწავლებლად არ მოუწყობილიყავი და გონდაკარგულმა, ორი კვირით ადრე უცნობი ოსისგან სამ მანეთად ნაყიდი ხანჯალი წაუღე და მოუკალიო. ეს ვერსია ყველას აძლევდა ხელს — ბრალდება და „ჩვეულებრივ“ მკვლელს გაასამართლებდა და არა მეამბოხეს, ხოლო ბრალდებული სიკვდილით დასჯას ასცდებოდა (21 წლამდე არასრულწლოვნად ითვლებოდა და „არაპოლიტიკური“ მკვლელობისთვის სიკვდილით არ სჯიდნენ).

რომ არც არსებობდეს ხანჯლების ყიდვაზე მისი თანამედროვის მოგონებები, მაინც საეჭვოა, ხელმოკლე კაცს, რომელსაც ექვსი

მანეთი მთელი თვე უნდა ჰყოფნოდა საჭმელზე, ტანსაცმელსა და სხვა საჭიროებაზე, სამი მანეთი ხანჯალში გადაეხადა(!). თანაც ასევე არსებობს ვინმე „მონაწილის“ ფსევდონიმით გახეთ „ლომისში“ გამოქვეყნებული მოგონებები. ის ამბობს, რომ მათმა იატაკქვეშა წრემ ტერაქტები დაგეგმა, ერთხელ ეგზარქოსისა და რექტორის აფეთქებაც ვცადეთ, მაგრამ ყუმბარამ არ იფარგაო... შემდეგ კი მეგობარს ლადიაშვილი მიუყვანია და უთქვამს — ძველი ლადიაშვილი არ გეგონოს (ეჭვობა ადრე მართლა „წყნარი და მორიდებული“ იყო), მაგარი ბიჭი დადგაო. 12 მანეთი მივეცი ხანჯლების საყიდლად, სამი კაცი იყო მოსაკლავი: ეგზარქოსი პავლე, მისი სესხია რექტორი და კაკკასიის სასწავლო ოლქის ზედამხედველი (მაშინ მის თანამდებობას „მზრუნველი“ ერქვა) იანოვსკი. ხანჯალიც სამი ვიყიდეთო. აქ კიდევ ერთი არგუმენტი: ეს ჯგუფი რომ „სოციალისტური“ ყოფილიყო, იანოვსკის არ შეიყვანდნენ მოსაკლავთა სიაში. ეს კაცი მხოლოდ „ნაციონალისტების“ სამიზნე იყო. შემდეგ „მონაწილე“ აგრძელებს: ლადიაშვილი ჯერ ეგზარქოსთან მივიდა წიგნით ხელში და დამალული ხანჯლით, მაგრამ არ შეუშვესო (ეს ვიზიტიც დასტურდება ამ მოგონებებამდე 30 წლით ადრე შედგენილ ოქმებში); მერე ჩუღეცკი მოკლა და ვერ გამოიქცა, ამიტომ იანოვსკი გადარჩაო! ჰგავს ეს „ჩემი და წყნარი ობოლი ბიჭის“ მოქმედებას?!

მეტ ინფორმაციას იძლევა მისი თანაკლასელის, შიო დედაბრიშვილის (არაგვისპირელის) მემუარები: იგი წერს, რომ ლადიაშვილთან ერთად გადაწყვიტა ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა ქართულ ენაზე, ეს კი უკვე დანაშაულად ითვლებოდა. სწორედ ეს ჟურნალი წართვა ზედამხედველმა, რომელსაც ბრალდებული სასამართლოზე დღიურად ასაღებდა. თუმცა მისგან საიდუმლო დღიურიც ამოიღეს, თანაც ასევე საიდუმლო შრიფტით(!) დაწერილი.

იმას, რომ ჩუღეცკი პირველად ლადიაშვილის მიერ არ ქცეულა „გზეკუციის“ მსხვერპლად, კიდევ ერთი ცნობილი და ბევრისგან დამოწმებული შემთხვევა ადასტურებს: სემინარიის მოსწავლე, შემდგომში ცნობილი რევოლუციონერი და ტერორისტი (ის იყო გენერალ გრიაზნოვის ცნობილი მკვლელობის ორგანიზატორი), ბოლოს კი საქართველოს პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) წევრი მენშევიკური პარტიიდან სილიბისტრო ჯიბლაძე (1922 წელს დახვრიტეს ბოლშევიკებმა), სემი-

ნარიის ლაზარეთში წოლილა — ფეხი სტკეე-ბია. იქ მიაკითხეს და შეატყობინეს, თხზულებაში „შეუფერებელი აზრის“ გატარებისთვის გარიცხული ხარ სემინარიიდან და ლაზარეთიც უნდა დატოვო. იმ ამბის შემსწრე ვინმე ჩიკვილაძე იგონებს, ძალიან გაბრაზდა, ჯოხი დაიბჯინა და მტკივანი ფეხით წაიდა სემინარიისკენო. ჩუღეცკი კიბეზევე შეხვედრია, ჯერ სილა გაართყა და კიბეზე დააგორა, შემდეგ კი გადააჯდა და „მაგრად დაზილა“, ბოლოს კი აივნიდან აგდებდა, რომ არ მიესწროთო.

ჯიბლაძე სამი წლით გაუშვეს ციმბირში და იქიდან საბოლოოდ ჩამოყალიბებულ რევოლუციონერად და ტერორისტად დაბრუნდა.

ზოგადად, ძალიან საინტერესოა სემინარიის იმ შემთხვევაში მდგომარეობა — უამრავი თვითმხილველის „(გა)მოგონებებისა“ და იმის მიუხედავად, რომ 30-იან წლებში გამოცემული წიგნის ავტორი არკადი ხუნდაძე ძალიან ცდილობს, ლადიაშვილი სოციალისტთა ჯგუფის წევრად დაგვიხატოს, ეს ვერაფრით დასტურდება. სამაგიეროდ, მის კავშირზე ეროვნული მიმართულების ჯგუფებთან მიუთითებს ისიც, რომ ის რედაქტორობდა ქართულად გამომაგალ ხელნაწერ ჟურნალ „ყვავილს“ და ორგანიზაციის შემთხვევებზე საიდუმლო დღიურსაც სწორედ ის აწარმოებდა. ამ ჟურნალისა და ორგანიზაციის შესახებ ისევ შიო დედაბრიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „ერთ-ერთი რედაქტორთაგანი სოსოც იყო... არ მახსოვს, მერამდენე ნომერი იყო, როდესაც ის უკვე დამზადებულს ათვალაიერებდა, რომ უეცრად თავს წაადგა ინსპექტორი... სოსომ ვერ მოასწრო დამალვა. ინსპექტორმა სიხარულით წაგლიჯა ხელიდან და წაიღო...“ შემდეგ დედაბრიშვილი წერს, რომ იმის გამო „სოსო დიდ გაჭირვებაში იყო, თუ თანამშრომლები როგორ დაეხსნა...“, ანუ ფარული ჯგუფის წევრებიო.

ჯგუფი რომ არსებობდა — ფაქტია; ხოლო მის პოლიტიკურ მიმართულებაზე იმავე შიო დედაბრიშვილის წერილიც მიუთითებს, რომელიც გორშია გაგზავნილი: „გორის ამხანაგებსა და ნაცნობებს: სიამოვნებით გავიგე, რომ გორში დაარსებულა წრე... ..ძლიერ მიხარია, რომ **დაბოლოს** (ხაზგასმა ჩვენია. — ზ.გ.) გორში გაჩნდა ისეთი წრე, რომელიც დაიცავს სარწმუნოებასა და სამშობლოს...“ — ვფიქრობთ, უშიშვნელოვანეს ცნობებს შეიცავს ეს ორიოდე წინადადება: ჯერ ერთი, სიტყვა „დაბოლოს“ (ანუ ამ კონტექსტში: „ბოლოს და ბოლოს“) იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციას

ასეთი წრეები სხვაგან უკვე ჰქონდა და გორმა დააკვირნა კიდევ; მეორე და მთავარი: „დაიცავს სარწმუნოებასა და სამშობლოს“ — ამ სიტყვებს არ დაწერდა სოციალისტური მიმართულების წრის წევრი.

ლადიაშვილს რომ არავითარი კავშირი არ ჰქონდა მახარაძე-ცხაკაიას ჯგუფთან და ბოლშევიკები რომ ამაოდ ცდილობდნენ მისი ამბის „გაწითლებას“ 30-იან წლებში, ამაზე არკადი ხუნდაძის ზემოსხენებულ წიგნში მოყვანილი ფილიპე მახარაძის ნაამბობიც მოწმობს: „ლადიაშვილი ჯერ კიდევ 19 წლის არ იყო“. აშკარაა, რომ მახარაძე ცრუობს — ის წესიერად არც იცნობდა ლადიაშვილს, რადგან ასაკს აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ლადიაშვილი არათუ 19-ის, 20 წელსაც გადაბიჯებული იყო. მისი ასაკის ცოდნის მნიშვნელობაში კი უკვე ნახსენებ „მონაწილის“ უტყუარ მოგონებებს ვგულისხმობთ, სადაც წერს, მკვლელობა მას იმიტომ დაუვალებთ, ვიცოდით, ჯერ 21 წლის არ იყო და ამიტომ არ ჩამოახრჩობდნენო.

სასამართლომ ლადიაშვილს 20-წლიანი კატორღა მიუსაჯა და კუნძულ სახალინზე გაგზავნეს, საიდანაც მალევე გაიქცა! გაუგონარი ამბავი იყო — „ჩუმი და წყნარი“ ბიჭი, ბორკილადებული, არა მარტო გაიქცა ყინულოვანი სახალინის კატორღიდან, არამედ იაპონიაშიც ჩაადწია და 1889 წელს უკვე ამერიკაში იყო!!!

ცხადია, ვარაუდია, მაგრამ გაგებდავთ და ვიტყვით, რომ გარედან დახმარების გარეშე, ეს წარმოუდგენელი იქნებოდა.

1908 წელს ლადიაშვილი ამერიკაში ქართველ ზღვაოსან დავით ჭავჭავაძეს უნახავს და სწორედ მას ჩამოუტანია პირველად ამბავი, ცოცხალი და ჯანმრთელიაო.

შემდგომი ცნობები მისი ცხოვრების შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული და დოკუმენტურად დაუდასტურებელია...

ასეთი იყო ცხოვრება კაცისა, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე შეაგდო სასწორზე ეროვნული იდეის გამო და თუმცა ჩვენს ეპოქაში ტერორი და მკვლელობა, როგორც პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები, სამართლიანად არის დაკომბილი, XIX საუკუნის ბოლოს, ეს კონკრეტული ფაქტი მაინც ის შემთხვევა იყო, როდესაც „მიზანი ამართლებს საშუალებას“...

იოსებ ლადიაშვილი კი, ერთ-ერთია იმ მრავალ დაუფასებელ გმირთაგან, რომელთაც ყველაფერი შესწირეს სამშობლოს თავისუფლებას...



P.S. გვზარქოს პავლესა და რექტორ ჩუდევცის „ორიგინალური ნათესაობის“ შესახებ ყველამ იცოდა და რაც მთავარია, თვითონ ჩუდევციაშიც: რექტორის ახალგაზრდა ცოლი გვზარქოსის საყვარელი იყო (სემინარისტები ამბობდნენ, თვითონ ქმარი აცილებს ცოლს, როდესაც საყვარელთან მიდის ეტლითო).

როცა დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის შემდეგ პავლე სასწრაფოდ გაარიდეს საქართველოს და ყაზანში გადაიყვანეს, მან „გულდათუთქული ქვრივიც“ თან წაიყვანა, თვეში 100-მანეთიანი პენსიაც დაუნიშნა (არადა, მის ქმარს მხოლოდ 80 მანეთი ჰქონდა ხელფასი)...

და ყველაზე საინტერესო: ყაზანის სასულიერო სემინარიის ინტერნეტსაიტზე გამოჩნდა ცნობა, რომ მათი არქივების მიხედვით (იმ დროის გაზეთებში ამაზე არაფერი დაწერილა!), თბილისიდან გადაყვანამდე გვზარქოსი პავლეს დაჭრა სხვა სემინარისტმა! მას ფილტვები დაუზიანდა და ხანგრძლივი და მტანჯველი ტკივილების შემდეგ, 1892 წელს, სწორედ ამ ჭრილობის გამო გარდაიცვალა!

ამასაც კიდევ ერთი „ჩუმი და წყნარი“ ბიჭი ჩაიდენდა...

ბეხოზობის ეპოქა

ახალი ბოროტების ანბნობა

(დასასრული.
დასაწყისი იხ.
„ისტორიანი“ №1)

ტიპოგრაფია „სახელმწიფოს სახელით“

1917 წლიდან ევროპის რამდენიმე ქვეყანაში დაიწყო ტერორიზმის ახალი, ყველაზე მახინჯი და საშინელი ფორმა — სახელმწიფოებრივი ტერორიზმი. ამ ფორმის შორეული წინაპარი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია გახლდათ. თვით ტერმინი „ტერორი“ ფრანგული რევოლუციის პერიოდში დამკვიდრდა.

რუსპუბლიკის სათავეში მოსულმა იაკობინელებმა მოწინააღმდეგე მონარქისტთა დასამარცხებლად მასობრივ ტერორს მიმართეს. მალე ტერორმა, მასობრივთან ერთად, უაზრო სისხლისღვრის სახე მიიღო. რობესპიერი ამ მეთოდს უკვე პირადი ანგარიშსწორების იარაღად იყენებდა. წითელ ტერორს მონარქისტთა გაათურება მოჰყვა და ისინიც ამოქმედდნენ. 1793 წლის 13 ივლისს ფრანგმა არისტოკრატმა ჟაკ-შარლოტა კორდემ დანით განგძირა იაკობინელთა პოპულარული ბელადი ჟან-პოლ მარატი. გილოტინამ იმსხვერპლა ზედიზედ იაკობინელთა მეთაურები: დანტონი, სენ-ჟიუსტი, თავად მაქსიმილიან რობესპიერი.

XX საუკუნის დასაწყისში რუსმა ბოლშევიკებმა სახელმწიფო ტერორიზმი უმაღლეს რანგში აიყვანეს. საყოველთაოდაა ცნობილი, რა აურაცხელი ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა ჯერ ლენინურ, შემდეგ სტალინურ რეპრესიებს. ტოტალურ რეპრესიათა სხვადასხვა ტალღას 20-25 მლნ კაცი შეეწირა.

არანაკლებ კატასტროფული იყო ფაშისტური რეჟიმების ტერორის მასშტაბები.

კომუნისტურმა ტერორმა მილიონობით



შარლოტა კორდე. მხატვარი ბოდრი (1868)

ადამიანი იმსხვერპლა აზიის კონტინენტზე, ჩინეთში, კორეაში, ვიეტნამში. 1975 წლიდან კამპუჩიაში დამყარებული კომუნისტური რეჟიმის მეთაურმა პოლ პოტმა წამოიწყო ყაზარმული კომუნიზმის იდეის ძალდატანებითი განხორციელება. მარქსისტული კომუნების სქემის მიხედვით მოსახლეობას მასობრივად ასახლებდნენ ქალაქებიდან სოფლებში ან მთიან ადგილებში და კომუნებს ქმნიდნენ.

პოლ პოტმა და მისმა მომხრე ე. წ. წითელმა ქმედებმა თავის მოსახლეობას გენოციდი მოუწყვეს. ისინი ფიზიკურად სობდნენ ყველას, ვისაც მოწინააღმდეგედ ან აკვიატებული იდეისთვის მიუღებლად მიიჩნევდნენ. მექანიკური თანასწორობის დასამყარებლად პოპოტელები სობდნენ განსხვავებული აზრის თუ ჩაცმულობის, საკუთრების მქონე ადამიანებს. აიკრძალა კერძო საკუთრება, სიყვარული დაოჯახება. ძალით აქორწინებდნენ მითითების მიხედვით. აიკრძალა რელიგია და ეროვნული უმცირესობის ენებზე ლაპარაკი. კამპუჩიის 7-8-მილიონიანი მოსახლეობიდან ერთ მესამედზე მეტი გაიჟლიტა. ამგვარი ევოლუცია განიცადა კომუნისტურ-პროლეტარული დიქტატურის იდეამ და პრაქტიკამ გერმანიიდან კამპუჩიამდე.

„თანასწორობა“ მკვლელობით

ტერორიზმის იდეოლოგიამ ისეთივე ევოლუცია განიცადა, როგორც ამ მოძრაობის პრაქტიკამ. პირველი იდეოლოგები ტერორიზმს XIX საუკუნის შუა ხანებში გამოუჩნდნენ. 1849 წელს გერმანელმა კარლო გეინცენმა გამო-

აქვეყნა სტატია სათაურით: „მკვლელობა“. იგი ასაბუთებდა, რომ ექსპლუატატორული კლასის წარმომადგენლები ყოველდღიურად ხოცავდნენ ჩაგრულებს, ამიტომ ამ უკანასკნელთაც მკვლელობით უნდა ეპასუხათ „მათი ღოზუნგი — მკვლელობაა, ჩვენი პასუხიც უნდა იყოს მკვლელობა. მათთვის აუცილებელია მკვლელობა, ჩვენც ამითვე უნდა ეუპასუხოთ მკვლელობა — მათი არგუმენტია, მკვლელობაშივეა — ჩვენი უარყოფაც“. გეინცენმა ისიც კი გამოთვალა, რომ საჭირო იყო მხაგრელთა კლასის ორი მილიონი წარმომადგენლის განადგურება, რასაც თანასწორობის დამყარება მოჰყვებოდა. ამ მიზნით, რევოლუციონერებს უნდა „შეესწვლათ და სრულყოთ მკვლელობის ხელახლება“. უფრო ადრე გასაქმლელ ექსპლუატატორთა რაოდენობა მარტამაც გამოთვალა და დაადგინა, რომ საფრანგეთში თანასწორობის დასამყარებლად სულ 273 ათასი „თავი“ იყო საჭირო. სამაგიეროდ, მისივე არგუმენტაციით, ამით ეშველებოდა უფრო მეტი სხვა ფრანგის თავს...

ტერორიზმის დასაბუთებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ანარქისტულმა მსოფლმხედველობამ. ანარქიზმმა ყველა ბოროტების წყაროდ სახელმწიფო გამოაცხადა, ამიტომ ანარქისტები თავდაუზოგავად ებრძოდნენ სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მის წარმომადგენლებს.

ბრძოლა „თანასწორობისათვის“ ამერიკასა და ევროპაში

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ინდივიდუალისტურმა და ორგანიზაციულმა ტერორიზმმა ახალი აღმავლობა განიცადა. ძირითადი კერები იყო სამხრეთ ამერიკაში, იტალიაში, ესპანეთსა და დასავლეთ გერმანიაში. სამხრეთ ამერიკაში რევოლუციურმა ტერორმა პარტიზანული ბრძოლის, ე.წ. სასოფლო და საქალაქო გერილიის სახე მიიღო. თავდაპირველად თითქოს სისხლის ღვრას ერიდებოდნენ. 1963 წელს ვენესუელაში მემარცხენე ორგანიზაციებმა ყურადღების მისაპყრობად ფრანგული ფერწერული კოლექცია გაიტაცეს — ვან გოგის, პოლ გოგენის, სეზანის, პიკასოს ნახატები, მაგრამ მალევე დააბრუნეს უკან.

შემდგომში საქალაქო გერილიამ კაპიტალიზმის, უცხოური კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმა მიიღო. ძირითადი საშუალებები იყო ინდივიდუალური ტერორი, აფეთქებები, ბანკების ძარცვა, სახელმწიფო დაწესე-

ბულებათა დარბევა და მსგავსი აქტები. რევოლუციური ბრძოლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა აგრეთვე ეროვნული მოძრაობა და ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის. „ლათინურ ამერიკაში სოციალიზმი ნაციონალისტური იქნება და პირიქით“ — აცხადებდნენ მოძრაობის ლიდერები.

60-იან წლებში სამხრეთ ამერიკაში მრავალი მემარცხენე-პარტიზანული ჯგუფი მოქმედებდა. მათი უმრავლესობა ხალხის ინტერესებისთვის მებრძოლად აცხადებდა თავს. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო ურუგვაელ ექსტრემისტთა მოძრაობა ეროვნული განთავისუფლებისათვის, რომელიც „ტუპამაროსის“ სახელით იყო ცნობილი. „ტუპამაროსი“ — ეს ხალხია, ხალხი კი — „ტუპამაროსი“! — აცხადებდნენ მოძრაობის აქტივისტები. 70-იანი წლებიდან „ტუპამაროსის“ საქმიანობაში თანდათან დამკვიდრდა უცხოელებისა და საერთოდ, ადამიანების გატაცება (მაგალითად, ბრაზილიელი კონსულისა და დიდი ბრიტანეთის ელჩის, ჯ. ჯექსონის გატაცებები).

კიდევ უფრო ხშირად მიმართავდნენ უცხოელთა გატაცებას ბრაზილიური ექსტრემისტული ჯგუფები: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, „სახალხო-რევოლუციური ავანგარდი“, „რევოლუციური არმიის ავანგარდი“. მათ გაიტაცეს ამერიკელი ელჩი ბრაზილიაში (1968 წ.), იაპონიის გენერალური კონსული, გერმანიისა და შვედეთის ელჩები (1970 წ.) და სხვ. პარტიზანულ-ექსტრემისტული ჯგუფები მოქმედებდნენ არგენტინაში, ბოლივიაში, ჩილესა და სხვა ქვეყნებში.

მოძრაობა დაღმავლობას იწყებს 80-იანი წლებიდან. ამ დროისთვის რამდენიმე ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმი დაემხო. თვით-



ვარშავის გეტო

დაშლილად გამოაცხადა თავი არგენტინულ-მა მემარცხენე ორგანიზაცია „მონტანეროს-მა“. 1984 წელს ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან მშვიდობიანი მოლაპარაკებები წამოიწყო ბოლივიის პრეზიდენტმა ბეტანკურმა.

60-იან წლებში, სრულიად მოულოდნელად, მემარცხენე ექსტრემიზმისა და ტერორიზმის აღმავლობამ დასავლეთ ევროპის ქვეყნები მოიცვა. იგი უშუალოდ მოჰყვა სტუდენტი ახალგაზრდობის დიდ მოძრაობას ესპანეთში.

ესპანეთში ტერორიზმის გააქტიურება მეტ-ნაკლებად აისხნებოდა. ბევრად ძნელი ასახსნელი იყო ტერორიზმის აღმავლობა დასავლეთ გერმანიაში. 1977 წელს გერმანიის კანცლერი ჰელმუტ შმიდტი გაკვირვებით შენიშნავდა: „გერმანელ ახალგაზრდობას არასოდეს ჰქონია ამდენი უფლებები, თავისუფლება, ამდენი უნივერსიტეტი და ზვალინდელი დღის რწმენა, როგორც დღეს“. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში შეიქმნა ე.წ. ბაადერ-მაინჰოფის ექსტრემისტული ორგანიზაცია, რომელმაც საკუთარ თავს „წითელი არმიის ფრაქცია“ უწოდა. მეორე ორგანიზაციას „2 ფინისის მოძრაობა“ ერქვა. მათი პირველი აქციე-

ბი იყო 1967 წელს უნფერსამის დაწვა მაინის ფრანკფურტში და შაპინგერის გამომცემლობაში ბომბის აფეთქება. ამ აქციებს შემდეგ წლებში მოჰყვა ათობით აფეთქება, თვდასხმა, ციხიდან გაქცევა, ბანკის გაძარცვა, ადამიანის გატაცება... ორგანიზატორები იყვნენ ა. ბაადერი, ხორსტ მალერი, ულრიკე მაინჰოფი, რუდი დუჩკე და სხვანი. იდეოლოგიურად ბრძოლა მიმართული იყო ვიეტნამის ომის, ხანაც ევროპაში ნატოს ჯარების ყოფნის წინააღმდეგ, ხან კი ზოგადად მსოფლიო რევოლუციის მოსახდენად. ყველაზე ხმაურიანი ტერორისტული აქტები იყო გერმანიის გენერალურ პროკურორ ფ. ბუზაკის მკვლელობა, „დრეზდენერ ბანკის“ ხელმძღვანელ უ. პონტის გატაცება (რომლის დროსაც ეს უკანასკნელი დაიღუპა) და დასავლეთ გერმანიის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე ჰანს მარტინ შლეიერის გატაცება. შლეიერიც მოკლეს.

საინტერესოა, რომ თავდაპირველად გერმანელ ნეორომანტიკულ ექსტრემისტებსაც ჰყავდათ თავიანთი მაღალინტელექტუალური ე.წ. „სიმპატიანობები“, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოძრაობა ტერორის გზას დაადგა — ჰაინრიხ ბიოლმა, გიუნტერ გრასმა და თვით ახალგაზრდული მოძრაობისა და „დაიდა უარყოფის“ თეორეტიკოსებმა — ჰერბერტ მარკუზემ, ზაბერმასმა და სხვებმა უარყვეს ტერორიზმი.


80-იან წლებში ტერორისტულმა მოძრაობამ ევროპის ქვეყნებში აბსურდის სახე მიიღო. მან საბოლოოდ დაკარგა სოციალური მოძრაობის ხასიათი. ტერორისტული ჯგუფები რჩებოდნენ ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, თუმცა თანდათან კრიმინალიზაციას განიცდიდნენ. მაგალითად, იტალიის ექსტრემისტული ორგანიზაციები (რომელთა კისერზეა 70-იან წლებში ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ქვეყნის პრემიერ ალდო მოროს გატაცება და სხვა გახმაურებული ტერორისტული აქტები) 80-იანი წლებიდან ან დაიშალა, ან კრიმინალურ სამყაროს შეერწყა.

იგივე მოხდა აშშ-ის ტერორისტულ მოძრაობაშიც. მისმა ბევრმა აქტვისტმა გააანალიზა, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებაში მცირერიცხოვანი ტერორისტული ჯგუფების საქმიანობა უმედეგაა.

60-70-იანი წლების ტერორიზმის დაღმავლობას ევროპულ ქვეყნებში თავისი მიზეზები ჰქონდა. თავდაპირველად აღმავლობა მოჰყვა სტუდენტი-ახალგაზრდობის ცნობილ მოძრაობას, რომლის დამარცხებით გამოწვეულმა



გერმანული ტერორისტული დაჯგუფების „წითელი არმიის ფრაქციის“ შესახებ გადაღებული ფილმის აფიშა



ალდო მორო
ტერორისტების
ტყვეობაში

გულაცრუებამ, დეპრესიამ და უპერსპექტივობამ ახალგაზრდობის რიგ წრეებში წარმოქმნა მაქსიმალისტური პროტესტი. მაგრამ ახალგაზრდული ტერორისტული მოძრაობა იზოლირებული აღმოჩნდა საზოგადოებისგან. ტერორიზმი ანტისახელმწიფოებრივიდან ანტისაზოგადოებრივ მოვლენად გადაიქცა.

მეოთხე და საბოლოო?!


XX საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიოს დიდ ნაწილში სახელმწიფოებრივი ტერორიზმის ხანა დასრულდა. იგი არსებობას განაგრძობდა ცალკეულ რეგიონსა და ქვეყანაში. ამავე პერიოდიდან ყალიბდება ტერორიზმის ახალი სახე — ისლამური ტერორიზმი.

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა აშშ-ში, როცა ალ-ჟაიდას ტერორისტებმა თავდასხმა განახორციელეს მსოფლიო სუაჰრო ცენტრსა და პენტაგონზე, გლობალური ხასიათი შესძინა ისლამურ ტერორიზმს. ფუნდამენტალიზმის სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ საფუძველზე წარმოქმნილი ისლამური ტერორიზმი ებრძვის არა იმდენად იმპერიალიზმს (როგორც ირწმუნებიან), არამედ მოსახლეობასა და დასავლურ ცივილიზაციას. ტერორიზმი, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი, საბოლოოდ გადაგვარდა და ანტისაკაცობრიო ბოროტების სახე მიიღო.

1999 წლის გაეროს დეფინიციის მიხედვით, ტერორიზმად მიჩნეულია „ყველა კრიმინალური აქტი, მიმართული უშუალოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ, უბრალო ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებში ან საზოგადოებაში მთლიანად, ტერორის მდგომარეობის შესაქმნელად, რომელსაც არ გააჩნია გამამართლებელი გარემოება, მიუხედავად იმისა, რომ მათი პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი თუ ეთნიკური საფუძვლები ამართლებს მათ ქმედებას“.

დღეისათვის მეცნიერი პოლიტოლოგები გამოყოფენ ტერორიზმის რამდენიმე სახეობას: იდეოლოგიურს, ეთნიკურს, რელიგიურს, კრიმინალურს, ინფორმაციულს. ეს ჩამონათვალი ალბათ დამატებას საჭიროებს, რადგან კვლავაც არსებობს პოლიტიკური, სახელმწიფო, სოციალური და სხვა სახის ტერორიზმი.

თუ ისტორიას გადავხედავთ, ტერორიზმის ევოლუცია რამდენიმე ეტაპად შეიძლება დავყოთ. კლასიკური პერიოდი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა და სოციალურ-რევოლუციურ ხასიათს ატარებდა; სახელმწიფოებრივი ტერორიზმის ეპოქაში ამ მოვლენამ სოციალური ბოროტების სახე შეიძინა; XX საუკუნის 60-70-იან წლებში ინდივიდუალურმა ტერორიზმმა ევროპა-ამერიკის ქვეყნებში აბსურდის სახე მიიღო. ამჟამად ტერორიზმი გლობალურ, ანტიკაცობრიულ და ანტიცივილიზაციურ მოვლენად ჩამოყალიბდა და იმედია, მისი ევოლუციის მეოთხე პერიოდი — უკანასკნელი იქნება. ■



ნიუ-იორკი, 2001 წლის
11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ

უკანასკნელი ფრონტიერი



XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფრონტიერის ხაზმა, რომელიც აშშ-ში ერთმანეთისგან გამოყოფდა თურქიკანური ახალმოსახლეებისა და ინდიელთა ტერიტორიებს, სულ უფრო სწრაფად გადაინაცვლა დასავლეთისკენ.

1850 წლისთვის აშშ-ის მოსახლეობა დაახლოებით 23 მლნ-ს შეადგენდა. აქედან 55% ცხოვრობდა ატლანტიკური მხარეში, ხოლო 45% — აპალაჩების მთის სისტემის დასავლეთით მდინარე მისისიპიმდე. ნახევარი საუკუნის წინ აპალაჩების ბუნებრივმა კედელმა ვერ შეუშალა ხელი მოსახლეობის გადასვლას დასავლეთისკენ და იქ მთელი რიგი შტატები შეიქმნა (კენტუკი, ტენესი, ოჰაიო, ლუიზიანა, ინდიანა, მისისიპი, ილინოისი, ალაბამა, მისური).

აშკარა გახდა, რომ ვერც მისისიპი შეაჩერებდა მის აღმოსავლეთ ნაპირებთან მოზღვავებულ მოსახლეობას. 1850-1865 წლებში ამერიკელმა ახალმოსახლეებმა მისისიპის დასავლეთით დაიწყეს გადასვლა — შევიდნენ დიდი ვაკებისა და პრერიების ტერიტორიაზე. 15 წელიწადში ახალმოსახლეებმა დაიკავეს

კანზასისა და ნებრასკის ნაყოფიერი მიწები და მდინარე მისურის მიაღწენ. ამდენად, 1865 წლის ანუ უკანასკნელი ფრონტიერის დაწყებისთვის ხაზი არ გასცდენია მდინარე მისურის, იგი მიუყვებოდა მისისიპის მომიჯნავე შტატების დასავლეთ საზღვრებს, ასევე შეჭრილი იყო კანზასისა და ნებრასკის შტატების სიღრმეში. ამ საზღვრის იქით ინდიელთა ტერიტორიები — „ველური დასავლეთი“ იწყებოდა.

მართალია, მთელი ეს ტერიტორია იმ დროს აშშ-ის სახელმწიფო სივრცეს წარმოადგენდა, მაგრამ იგი ჯერ არ იყო ორგანიზებული ცალკეული შტატის სახით, რეალურად იქ ინდიელთა ტომები ცხოვრობდნენ.

„ველური დასავლეთის“ ეს ტერიტორიები თავის სიდიდესთან ერთად გეოგრაფიული და ბუნებრივი საბაძოების თვალსაზრისითაც ძალზე მრავალფეროვანი იყო. აქ მრავალი ტომი სახლობდა: ბლექუტები, კროუ, სიუ, შაიენები, არაპაჰო, პაუნი, შოშონები, მოლოკი პაიუტები, აპაჩები, კომანჩები... ეს ტომები ცხოვრობდნენ თავიანთი თვითმყოფადი კულტურით, ჰყავდათ არაჩვეულებრივი მხედრები

და ფლობდნენ ცეცხლსასროლ იარაღს, აწარმოებდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკას მეზობელ ტომებთან. სამეცნიერო ლიტერატურაში „ველური დასავლეთის“ სინონიმად „ინდიელთა დასავლეთიც“ გამოიყენება.

1865 წლისთვის აშშ-ის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ „მოერჯულებინა“ „ველური დასავლეთი“ — საბოლოოდ მოიცალა უკანასკნელი ფორტი-რისთვის. ის, რაც რუკაზე წარმოადგენდა აშშ-ის საკუთრებას, რეალობად უნდა ექციათ.

აშშ-ში სამოქალაქო ომმა (1861-1865 წწ.) რამდენადმე შეაფერხა დასავლეთში ინდიელთა წინააღმდეგ სამხედრო რეიდები. ამ ომის დასრულების შემდეგ დაგროვებული დიდძალი დაუხარჯავი ტყვია-წამალი, იარაღი, სამხედრო რესურსი ახალი მიზნის მისაღწევად მიმართეს.

ამასთან გამოჩნდა ენერგიით სავსე ოფიცრობა, რომელმაც „ველურ დასავლეთში“ გადაწყვიტა სახელის მოხვეჭა. საგანგებოდ ინდიელებთან საბრძოლველად შეიქმნა კავალერია და დრაგუნთა პოლკები. მათთან დაპირისპირებას უძლიერესი კომანდებიც კი გაუბოლდნენ. გამოჩნდა შეჯავშნული სარკინიგზო ვაგონები, გატლინგის ტიპის ტყვიამფრევევი, ნახევრად ავტომატური შაშხანა (ერთი დატენვით 15-ჯერ გასროლა შეიძლებოდა). სამხედროებმა დაიწყეს სპეციალური საფორტიფიკაციო ნაგებობების — ფორტების



ჯერონიმო — ინდიელთა გამორჩეული სამხედრო ლიდერი

მშენებლობა. სულ მალე „ველური დასავლეთი“ ფორტების რკალში მოექცა. ფორტებში მდგარი კავალერიისტები აკონტროლებდნენ

უკანასკნელ დიდ ბრძოლაში ინდიელებმა გენერალ კასტერის კავალერია დაამარცხეს





ამერიკელთა მიერ ბიზონების თითქმის სრულად განადგურებამ ინდიელთა დამარცხება დააჩქარა

სარკინიგზო ხაზებს, ახალმოსახლეთა სამოძრაო ბილიკებს და იცავდნენ მათ ინდიელთა თავდასხმისაგან. ფორტების გამაგრებულ ხაზებს მოჰყვებოდა ახალმოსახლეთა კოლონიები, რკინიგზა. ინტენსიურად მიმდინარეობდა დასავლეთის მიწების განაშენიანება. თეთრკანიანი მოსახლეობის სულ უფრო მზარდი ნაკადი კიდევ უფრო შორს შედიოდა ინდიელთა ტერიტორიებზე. ფორტები ქმნიდნენ ერთგვარ უსაფრთხო კორდონს დასავლეთში ამერიკელ ახალმოსახლეთა მოძრაობისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „ორეგონის ბილიკი“, რომელიც გადიოდა კანზასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. „ორეგონის ბილიკი“ კვეთდა „ინდიელთა დასავლეთის“ ცენტრალურ ტერიტორიებს. ინდიელთა მხრიდან დიდი საფრთხე ექმნებოდა ამ გზაზე ახალმოსახლეთა მარხილების კოლონიის მოძრაობას. ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა „ორეგონის ბილიკის“ დაცვა. ეს გზა შორეულ დასავლეთში ამერიკული მიგრაციის ერთ-ერთი უმთავრესი არტერია იყო.

„ველური დასავლეთის“ სწრაფი გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო ამერიკელთა მიერ ბიზონთა ჯოგების თითქმის მთლიანად განადგურება. ეს იყო უდიდესი დარტყმა ინდიელთათვის. განსაკუთრებით ვაკე-პრერიის ზონაში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ტომებისათვის, რომლებიც მთლიანად დამოკიდებულნი იყვნენ ბიზონებზე. XIX საუკუნის ბოლომდე 50 მლნ სულზე მეტი ბიზონი განადგურდა.

1862-1869 წლებში აშშ-ის დასავლეთში გაიყვანეს მსოფლიოში პირველი ტრანსკონტინენტური რკინიგზა, რომელმაც გადაკვეთა მთელი „ველური დასავლეთი“ და დააკავშირა ქვეყნის წყნარი ოკეანისა და ატლანტის ოკეანის სანაპიროები. რკინიგზამ გააადვილა, დააჩქარა და უსაფრთხო გახადა დასავლეთში გადაადგილება და თან უამრავი ახალმოსახლევც წამოიყოლა. ახალი რკინიგზა „ორეგონის ბილიკის“ საუკეთესო ალტერნატივა გახდა. ამდენად, ტრანსკონტინენტურმა რკინიგზამ კიდევ უფრო დააჩქარა ფრონტირის მოძრაობა და ინდიელთა ტერიტორიების შემცირება. იმავდროულად ხელისუფლებამ აამოქმედა აქტი ჰომოსტედეზის შესახებ (1862 წ.), რომლის ძალითაც ახალმოსახლეებს უფასოდ გადაეცემოდა მიწები დასავლეთში.

ამასთან რკინიგზის ხაზების მიმდებარე მიწები სარკინიგზო ფირმების მატანტებს გადასცეს. მათ კი თავის მხრივ დაიწყეს ამ ტერიტორიების გაყიდვა ემიგრანტებსა და ახალმოსახლეებზე. „ველურ დასავლეთში“ ახალმოსახლეთა რიცხვი ძალიან სწრაფად მატულობდა.

ამასთან რკინიგზის ხაზების მიმდებარე მიწები სარკინიგზო ფირმების მატანტებს გადასცეს. მათ კი თავის მხრივ დაიწყეს ამ ტერიტორიების გაყიდვა ემიგრანტებსა და ახალმოსახლეებზე. „ველურ დასავლეთში“ ახალმოსახლეთა რიცხვი ძალიან სწრაფად მატულობდა.

ამ ტერიტორიაზე ოდითგანვე ინდიელთა ტომები სახლობდნენ...



„ველური დასავლეთის“ კოლონიზაციას მოჰყვა ხანგრძლივი და სერიოზული კონფლიქტები ადგილობრივ ინდიელებთან. მრავალმა ტომმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია აშშ-ს. აღნიშნული პერიოდი აშშ-ის ისტორიაში შევიდა „ინდიელთა ომების“ სახელით. აღსანიშნავია, რომ დასავლეთში თითქმის ყველა ტომი ცალ-ცალკე ებრძოდა აშშ-ის ჯარისკაცებს. ამიტომაც „ინდიელთა ომების“ ისტორიაში შევხვდებით: მოდოკის, აპაჩების, კომანჩების, შაიენების და სხვათა ომებს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მთელი „ველური დასავლეთი“ „ინდიელთა ომების“ ალში გაქვია. განსაკუთრებით ბევრი ბრძოლა მოხდა მონტანაში, ჩრდილო და სამხრეთ დაკოტაში, კოლორადოში, არიზონასა და ტეხასში. საერთოდაც, ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა ფრონტირის წინსვლას გაუწიეს ვაკეპრერიის ზონის ინდიელებმა. „ინდიელთა ომების“ ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია აპაჩებისა და მათი სამხედრო ლიდერის, ჯერონიმოს 11-წლიან ომს აშშ-ის წინააღმდეგ (1871-1882 წწ.). ისტორიული ბრძოლა მოხდა 1876 წელს. მდინარე ლიტლ ბიგ პორნზთან ინდიელ ტომთა კოალიციამ დაამარცხა აშშ-ის მე-7 კავალერია გენერალ ჯორჯ კასტერის მეთაურობით. ეს იყო ინდიელთა უკანასკნელი დიდი ბრძოლა აშშ-ის წინააღმდეგ „ველურ დასავლეთში“. 10 წლის შემდეგ, 1886 წელს, კი თვით ალყაში მოქცეული ჯერონიმოც დანებდა გენერალ ნელსონ მაილსს არიზონაში. „ინდიელთა ომები“ დასრულდა. მიუხედავად ტომთა მედგარი წინააღმდეგობისა, „ინდიელთა ომები“ აშშ-ის გამარჯვებით დამთავრდა. ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკურმა პროგრესმა, სამხედრო-ეკონომიკურმა და ადამიანურმა რესურსებმა მალევე გატეხა ინდიელთა წინააღმდეგობა.



1865 წელს დაწყებული უკანასკნელი ფრონტირი დაახლოებით 25 წელიწადს გაგრძელდა. „ინდიელთა დასავლეთი“ შტატებად დაიყო; როკის მთიანეთში მადაროელები მუშაობდნენ და ახალ-ახალ საბადოებს ეძებდნენ, იქვე იქმნებოდა მათი დასახლებები; რკინიგზის ხაზების, ხიდების, გვირაბების მშენებლობამ შორეული დასავლეთის ყველაზე მიუვალ ადგილებამდეც კი მიაღწია; დაიწყო ახალი ხალხმრავალი ქალაქების მშენებლობა, თვალწვდენელი პრერიები და ვაკეები ამერიკელ ფერმერთა სახნავ-სათესებად იქცა.

ამერიკული ახალშენების, ქალაქების, ფერმების, რანჩოების, რკინიგზითა და სხვა სახის კომუნიკაციების ქსელით დაქსაქსულ ტერიტორიებში მიმოფანტულიყო ინდიელების რეზერვაციები (აშშ-ის მიერ ინდიელთათვის საცხოვრებლად შემოფარგლული ტერიტორია). სწორედ ეს რეზერვაციები იყო უკანასკნელი მცირე ნაწილები ოდესღაც არსებული „ველური დასავლეთისა“.

ამგვარად, 1890 წლისთვის „ველური დასავლეთი“ ფაქტობრივად აღარ არსებობდა, ამერიკული ფრონტირი კი წარსულს ჩაბარდა. ■



რატომ ვერ იხსნა „ტიტანიკი“ ზუსტმა წინასწარმეტყველებამ?!



1898 წელს ამერიკის შერთებულ შტატებში იმ დროისთვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილმა მწერალმა მორგან ენდრიუ რობერტსონმა, რომელიც მცირე პროზით იყო გატაცებული (საგარაუდოდ, მასვე მიეწერება პერისკოპის გამოგონება), გამოსცა ნოველა „ამაოება“. მასში აღწერილი იყო უზარმაზარი ლაინერის პირველი და უკანასკნელი რეისი. გემს ერქვა „ტიტანი“. ნოველის მიხედვით ეს იყო ყველაზე დიდი ლაინერი, რომელიც კი აქამდე აშენებულა ადამიანთა ხელით. რობერტსონის „ტიტანი“ წარმოადგენდა გამომშენებლობის შედევრს უზარმაზარი გემბანებით, უმაღლესი კლასის კაიუტებით, ჩაუძირაგსა და დაუმარცხებელს, თუმცა...

აპრილის ერთ ცივ საღამოს ატლანტის ოკეანეში ძალიან დიდი სიჩქარით, 25 კვანძით, მიცურავდა „ტიტანი“. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. გემის 3000 მგზავრიდან კატასტროფაზე არავინ ეჭვობდა. უეცრად ლაინერის პირდაპირ ნისლიდან აისბერგის კონტურები გამოიკვეთა. რამდენიმე წამიც ღა 45 000-ტონიანი

„ტიტანი“ ყინულის მთას შეეჯახა. სულ მალე ლაინერი ფსკერისკენ წავიდა.

მორგან რობერტსონის ეს ნოველა პრაქტიკულად შეუმჩნეველი დარჩა და დავიწყებას მიეცა. თუმცა 14 წლის შემდეგ „ამაოება“ ერთგვარ მსოფლიო ბესტსელერად იქცა.



გასვლა საუთემპტონის პორტიდან



1911 წელს ბრიტანეთში კომპანია „უაით სთარმა“ დაასრულა ლაინერ „ტიტანიკის“ მშენებლობა. იმ დროისთვის ეს იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი, უმაღლესი კლასის მდიდრული გემი. „ტიტანიკის“ მშენებლობა 3 წელიწადს გრძელდებოდა. მისი სიგრძე 268 მეტრი იყო,

FIRST SAILING OF THE LATEST ADDITION TO THE WHITE STAR FLEET

The Queen of the Ocean

TITANIC

LENGTH 882 FT. OVER 45,000 TONS BEAM 92 FT.
TRIPLE-SCREWS

This, the Latest, Largest and Finest Steamer Afloat, will sail from
WHITE STAR LINE, PIER 59 (North River), NEW YORK

Saturday, April 20th

 At 12 Noon

THIRD CLASS FOUR BERTH CABIN

Spacious Dining Saloons
Smoking Room
Ladies' Reading Room
Covered Promenade

All passengers berthed in closed rooms containing 2, 4, or 6 berths, a large number equipped with washstands, etc.

THIRD CLASS DINING SALOON

Reservations of Berths may be made direct with this Office or through any of our accredited Agents.

THIRD CLASS RATES ARE:

To PLYMOUTH, SOUTHAMPTON, LONDON, LIVERPOOL and GLASGOW,	\$36.25
To GOTHENBURG, MALMÖ, CHRISTIANIA, COPENHAGEN, ESBJERG, Etc.	41.50
To STOCKHOLM, ÅBO, HANGO, HELSINGFORS	44.50
To HAMBURG, BREMEN, ANTWERP, AMSTERDAM, ROTTERDAM, HAVRE, CHERBOURG	45.00
TURIN, \$46. NAPLES, \$52.50. PIRAEUS, \$55. BEYROUTH, \$61, Etc., Etc.	

DO NOT DELAY: Secure your tickets through the local Agents or direct from
WHITE STAR LINE, 9 Broadway, New York

TICKETS FOR SALE HERE





მაქსიმალური სიჩქარე შეადგენდა 23 კვანძს. გემს ჰქონდა 3 მასიური სანავე ხრახნი. „ტიტანიკის“ საერთო ხელიდან განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო 4 კვამლსადენი მილი (საინტერესოა, რომ მათგან მხოლოდ სამს ჰქონდა ფუნქციური დატვირთვა, მეოთხე ვიზუალური ეფექტის მოხდენის მიზნით დამონტაჟდა). ლაინერის 9 გემბანზე განლაგებული იყო 840 კაიუტა, მათგან 416 – I, 162 – II, 262 კი – III კლასის. მგზავრთა და ეკიპაჟის მაქსიმალური ტევადობა შეადგენდა 3547 კაცს.

უსაფრთხოებისათვის პროექტით გათვალისწინებული იყო გემზე 32 სამაშველო ნავის განთავსება, თუმცა „უაით სთარის“ ხელმძღვანელობის აზრით, ეს ზედმეტად გადატვირთვად გემს. საბოლოო ჯამში კომპანიამ 20 სამაშველო ნავი განათავსა „ტიტანიკზე“. საჭიროების შემთხვევაში მათ მხოლოდ 1178 კაცის გადარჩენა შეეძლო. გემის მშენებლობა დაჯდა 7,5 მლნ დოლარი. ამ ტიპის ლაინერის აგება დღესდღეობით დაახლოებით ნახევარი მილიარდი დაჯდება. „ტიტანიკის“

„ტიტანიკის“ მარშრუტი




პირველი კლასის ბილეთი ღირდა 870 გირვანქა სტერლინგი (თანამედროვე კურსით თითქმის 80 ათასი დოლარი).

1912 წლის 10 აპრილს, სამხრეთ ინგლისის საპორტო ქალაქ საუთჰემპტონიდან ისტორიულ რეისზე უნდა გასულიყო „ტიტანიკი“. ლაინერის გასაცვლელად უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. გემთმშენებლობის შედეგით გაცემული მნახველები ემოციებს ვერ მალავდნენ. თითოეული მათგანი ოცნებობდა ამ გემის მგზავრი ყოფილიყო. საზეიმო განწყობა სუფევდა თვით ლაინერზე. მგზავრები დაუვიწყარი ზღაპრული მოგზაურობის მოლოდინით ემშვიდობებოდნენ გამცილებლებს. საუთჰემპტონიდან გამოსული გემი ორჯერ შეჩერდა. შემდეგ კი ატლანტის ოკეანის უკიდევანო სივრცეში გავიდა.

14 აპრილს გემი თითქმის მაქსიმალური სიჩქარით მიცურავდა. ნიუ-იორკამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. წყნარი და ცივი ღამე ჩამოწვა. ამ დღეს გემის კაპიტანმა ედვარდ სმიტმა გამაფრთხილებელი შეტყობინება მიიღო აისბერგების შესახებ. ლაინერზე სიმშვიდე სუფევდა. ნავსში მგზავრები რე-



სტორნებს ტოვებდნენ, ზოგიც გემბანზე გამოსულიყო სასეირნოდ. 23:40 – ჰორიზონტის მაკონტროლებელ სპეციალურ კოშკურაზე მორიგეობდნენ ფრედ ფლიტი და რეჯინალდ ლი. ცვლა 20 წუთში მთავრდებოდა. საუთჰემპტონში დაშვებული შეცდომის გამო მათ არ ჰქონდათ ჭოგრიტი. ფლიტი ჰორიზონტს არ წყვეტდა თვალს. უეცრად მან ზუსტად გემის პირდაპირ რაღაც სილუეტი შენიშნა. ობიექ-




New York American

J. J. ASTOR LOST ON TITANIC

1.500 TO 1.800 DEAD

John Jacob Astor was among the passengers who went down with the ship, according to a wireless dispatch received by Bradstreets last night from the liner Olympic. Mrs. Astor was saved and is being brought to shore by the Carpathia.

The Wireless Operator at Cape Race, Newfoundland, Flashes: "Eighteen Hundred Lives Have Been Lost in the Wreck of the Titanic."



ამერიკული პრესა „ტიტანიკის“ ტრაგედიის შესახებ

ტი თანდათან იზრდებოდა. დამის სიბნელიდან აისბერგის კონტურები გამოიკვეთა. უფრო ადრე მისი შემჩნევა ძალიან რთული იყო. ფლიტმა უმაღლვე სამჯერ დარეკა განგაშის ზარი და ტელეფონით შეატყობინა მართვის ცენტრს. პირველმა ოფიცერმა უილიამ მერლოკმა გადაწყვიტა აისბერგის გვერდის ავლის მანევრის დაწყება. ხრახნები გააჩერეს და უკანა სვლაზე გადაიყვანეს. ერთი შეხედვით მანვერი შედეგს იძლეოდა, თუმცა უკვე გვიანი იყო, აისბერგი ძალიან ახლოს იმყოფებოდა. რამდენიმე წამიც და „ტიტანიკი“ ყინულის მთას შეეჯახა. აისბერგმა შეამტვრია გემის მარჯვენა კორპუსის წინა ნაწილი. წყალმა ლაინერში სწრაფი შედინება დაიწყო. მერლოკმა სასწრაფოდ დალუქა ყველა წყალგაუმტარი განყოფილება. ნელ-ნელა გემი გაჩერდა. „ტიტანიკის“ არქიტექტორის თომას ენდრიუსის პროგნოზი საზარელი იყო: ლაინერს დაუზიანდა 5 წყალგაუმტარი განყოფილება. გემი წყლის ზედაპირზე დარჩებოდა იმ შემთხვევაში თუ 4 წყალგაუმტარი განყოფილება იქნებოდა დაზიანებული. ამ მომენტიდან, რაც უნდა მოემოქმედა კაპიტანს, „ტიტანიკი“ მაინც აუცილებლად ჩაიძირებოდა.

თავზარდაცემული ეღვარდ სმიტი და ეკიპაჟის წევრები ზვდებოდნენ, რომ სულ მალე დიდი ტრაგედია დატრიალდებოდა. „ტიტანი-

კი“ ერთ საათში, მაქსიმუმ საათ-ნახევარში, ფსკერისკენ წავიდოდა. დროის სიმცირე, ოკეანის ყინულებით ცფი წყალი, არასაკმარისი რაოდენობის სამაშველო ნაუბი – ყოველივე ეს უმძიმეს სიტუაციას ქმნიდა. ვერც სპეციალური ტუმბოები გაუმკლავდებოდნენ კორპუსში შემომავალი წყლის დიდ ნაკადს. ტუმბოების ამუშავებას მხოლოდ უმნიშვნელო დროის მოგება თუ შეეძლო. რადისტებმა SOS შეტყობინება გაგზავნეს, 5 წუთის ინტერვალებით ჰაერში უბედურების სასიგნალო რაკეტებს უშვებდნენ. ეს სიგნალები მრავალმა ხომალდმა დააფიქსირა, მაგრამ „ტიტანიკის“ ადგილსამყოფელის სიახლოვეს (დაახლოებით 93 კილომეტრში) მხოლოდ ლაინერი „კარპატია“ იმყოფებოდა. „კარპატია“ მაქსიმალური სიჩქარით აიღო კურსი „ტიტანიკისკენ“, თუმცა ვედარ ასწრებდა დროულად მისვლას (დაახლოებით 2 საათის დაგვიანებით მივიდა უბედურების ადგილზე). აღსანიშნავია, რომ „ტიტანიკის“ რეალური დაზიანება, ყველა მგზავრის გადარჩენა, შეეძლო ლაინერ „კალიფორნიანს“, მაგრამ ერთადერთი რადისტის სირილ ევანსი, „ტიტანიკის“ აისბერგთან შეჯახებამდე 10 წუთით ადრე დასაძინებლად წავიდა, ამიტომ მას SOS სიგნალი არ დაუფიქსირებია.

00:45 (შეჯახებიდან 65 წუთის შემდეგ) — „ტიტანიკიდან“ პირველი სამაშველო ნაუბი

ატლანტის ოკეანის
ფსკერზე ჩაძირული „ტიტანიკი“



გაუშვეს. მასში 27 კაცი იჯდა (თუმცა 65-ზე იყო გათვლილი). პირველ რიგში ბავშვებისა და ქალების ევაკუაცია დაიწყო. იმ მომენტისთვის მგზავრთა უმრავლესობა არ ეჭვობდა მოსალოდნელ კატასტროფას. ვერც კი წარმოედგინათ, თუ „ჩაუძირავ“ ლაინერს რაიმე სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა. თანდათან სიტუაცია მძიმდებოდა. „ტიტანიკის“ წინა ნაწილი სულ უფრო ღრმად ჩადიოდა წყალში. მცირე ხანში პანიკის პირველი ნიშნები გამოაშკარავდა. თანდათან ყველა მიხვდა, რომ გემი ჩაძირვას იწყებდა. 02:18 — „ტიტანიკის“ წინა ნაწილი მთლიანად წყალში მოექცა. ამან გამოიწვია გემის უკანა ნაწილის ჰაერში ამოსვლა, ლაინერი პრაქტიკულად ვერტიკალურად გაჩერდა. კონსტრუქციამ დისბალანსს ვერ გაუძლო და „ტიტანიკი“ შუაზე გადატყდა. ლაინერის წინა ნაწილი ფსკერისკენ წვიდა. დარჩენილი გემის ნახევარი ცოტა ხანს კიდევ გაჩერდა წყლის ზედაპირზე, შემდეგ კი ნელ-ნელა დაიწყო ჩაძირვა. კატასტროფის ბოლო წუთამდე „ტიტანიკის“ ორკესტრი ულამაზეს კომპოზიციებს ასრულებდა, თუმცა საშინელ პანიკაში მათი მუსიკა პრაქტიკულად აღარავის ესმოდა. ორკესტრის ბოლო კომპოზიცია იყო „Songe d'automne“.

„ტიტანიკის“ 2228 მგზავრიდან 1523 დაიღუპა, მხოლოდ 705 კაცის გადარჩენა მოხერხდა. I კლასის მგზავრთა 60%, II კლასის 44%,

III კლასის 25% და ეკიპაჟის 24% გადარჩა.

„ტიტანიკის“ ჩაძირვამ მთელი მსოფლიო შეძრა. თავზარდაცემული ხალხი მიუბრუნდა მორგან რობერტსონის 14 წლის წინ დავიწყებულ ნოველას. „ამაოების“ თითოეული გვერდი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა...

„ტიტანიკის“ დაღუპვის ერთგვარი წინასწარმეტყველებანი უკავშირდება უილიამ თომას სტედსაც (ბრიტანელი ჟურნალისტი, მწერალი და პუბლიცისტი, საგამოძიებო ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი). 1886 წელს „პელ-მელ გაზეთში“ მან გამოაქვეყნა ერთი შეხედვით უცნაური სტატია. სტედი აღწერდა ატლანტის ოკეანეში აისბერგთან შეჯახების შედეგად მეგალიანერის ჩაძირვას. ავტორის მიზანი იყო გემთმშენებლების გაფრთხილება. სტედის თქმით, აუცილებელი იყო გემზე უსაფრთხოების ყველა ზომის მიღება. ავტორი ხაზს უსვამდა, რომ კატასტროფა შეიძლება მომხდარიყო და ლაინერებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ საკმარისი რაოდენობის სამაშველო ნაგები. 1892 წელს სტედმა დაახლოებით მსგავსი სტატია გამოაქვეყნა ჟურნალ „რევიუ ოფ რევიუში“. ამ პუბლიკაციაშიც მან აღწერა გემის აისბერგთან შეჯახება და დაღუპვა ატლანტის ოკეანეში. კატასტროფას ერთადერთი კაცი გადაურჩა. იგი იხსნა ლაინერმა „მაჯესტიკა“ (საინტერესოა,

რომ იმ დროს ამ სახელწოდების გემი მართლაც არსებობდა, მისი კაპიტანი იყო ედვარდ სმიტი, მომავალში „ტიტანიკის“ კაპიტანი).

1912 წელს უილიამ სტედმა ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა. მან „ტიტანიკის“ ბილეთი იყიდა. გამგზავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე ირლანდიელი გრაფი, ასტროლოგი, ლეის ჰამონი (ნამდვილი სახელი: უილიამ ჯონ უორნერი) აფრთხილებდა სტედს, არ გამგზავრებულყო იმ წლის აპრილში. პარაფსიქოლოგი დე კერლორი ასევე არ ურჩევდა გამგზავრებას სტედს. რამდენიმე თვეში პასტორი სტოქტონიდან, არქიდაკონი კოლიც ურჩევდა სტედს თავი შეეკავებინა მგზავრობისგან. მან არ გაითვალისწინა გაფრთხილებები და „ტიტანიკის“ კატასტროფის მსხვერპლთა შორის აღმოჩნდა.

კატასტროფის შემდეგ სამეცნიერო საზოგადოებამ სერიოზულად დაიწყო „ტიტანიკის“ ჩაძირვასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. ერთ-ერთი ფუნდამენტური გამოკვლევა აწარმოვა იან სტივენსონმა, ვირჯინიის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის განყოფილებიდან. მეცნიერმა დეტალებში წარმოაჩინა მსგავსება მორგან რობერტსონის „ტიტანსა“ და „ტიტანიკს“ შორის.

საინტერესოა, რომ „ტიტანიკის“ გამგზავრებას თავის პირველ და უკანასკნელ რეისში წინ უძღოდა მრავალი ადამიანის წინათგონობა მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ. ათეულობით პიროვნებამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახით იწინასწარმეტყველა ლაინერის დაღუპვა. მიუხედავად ამისა, ტრაგედიის აცილება ვერ მოხერხდა.


დღეისათვის დადგენილია, რომ „ტიტანიკის“ კატასტროფა სამმა ფაქტორმა განაპირობა: 1. კონსტრუქციის მშენებლობის დროს დაშვებული იყო შეცდომა გემის კორპუსის მოქლონვისას. ლაინერის წინა ნაწილში ჭანჭიკები ჯეროვნად არ იყო დამაგრებული, რაც ამცირ-

ებდა კონსტრუქციის გამძლეობას. ექსტრემალურ სიტუაციაში ასეთი მოქლონვა ვერ გაუძლებდა დიდ დატვირთვას. 2. შეცდომა ეკიპაჟის მხრიდან – მიუხედავად გაფრთხილებებისა აისბერგების შესახებ, საბედისწერო ღამეს „ტიტანიკი“ პრაქტიკულად მაქსიმალური სიჩქარით მიცურავდა. 3. ტრაგედია დაამძიმა არასაკმარისი რაოდენობის სამაშველო ნაგებმა. „ტიტანიკის“ მგზავრთა გადარჩენის ყველაზე რეალური შანსი ჰქონდა ლაინერ „კალიფორნიანს“, მაგრამ ეს არ მოხდა. მართალია რადისტს ეძინა და SOS სიგნალი არ მიუღია, მაგრამ დაახლოებით 00:30-ზე მეორე ოფიცერმა სტოუნმა სამხრეთით შენიშნა სასიგნალო რაკეტები. გემი „კალიფორნიანი“ შეეცადა მორზეს ანბანით დაკავშირებოდა უცნობ ზომადღს, თუმცა უშედეგოდ. გააღვიძეს კაპიტანი სტენლი ლორდი. მან ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოითხოვა, თუ უცნობი გემი უფრო ახლოს მოვიდოდა. სტოუნი ახალბედა მეზღვაურ გიბსონთან ერთად აგრძელებდა სასიგნალო რაკეტების ყურებას. ცხადია „ტიტანიკი“ უფრო ახლოს ვერ მივიდოდა. 02:00-ზე გემი თითქოს უფრო დაშორდა „კალიფორნიანს“, 20 წუთის შემდეგ კი სტოუნი და გიბსონი ჰორიზონტზე ვეღარაფერს ამჩნევდნენ.

საყურადღებოა, რომ ატლანტის ოკეანის დაახლოებით იმ რაიონში, სადაც ჩაიძირა გამოგონილი „ტიტანი“, შემდეგ კი რეალური „ტიტანიკი“, 1932 წელს გემი „ტიტანიანი“ სასწაულებრივად გადაურჩა აისბერგთან შეჯახებას.

1985 წელს „ტიტანიკის“ ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. ფრანგულ-ამერიკულმა სამეცნიერო ექსპედიციამ ატლანტის ოკეანის ფსკერზე ჩაძირული „ტიტანიკი“ აღმოაჩინა. გემი მდებარეობდა ნიუფაუნდლენდის სამხრეთ-აღმოსავლეთით 800 კილომეტრის დაშორებით, 3810 მეტრის სიღრმეზე.

2012 წელს 15 აპრილს, „ტიტანიკის“ ჩაძირვიდან 100 წელი შესრულდება. ■



უოლტ დისნეის საბავშვო ბიზნესიძვეხია

მედიამაგნატი,
რომელსაც
ბავშვობაში ერთი
ნორმალური
სათამაშოც
არ ჰქონია...



დისნეიზე მიუკერძოებლად ლაპარაკი ძნელია. უოლტერ ელიას დისნეის — ამ ზედმიწევნით არაორდინარული და არაერთმნიშვნელოვანი შემოქმედის ხასიათი წინააღმდეგობრივი და პარადოქსული იყო, მისი ნაქები სტუდიური დემოკრატიზმი კი ახირებული ბოსის უკმეხობასა და შეუბრალებლობას ერწყმოდა. მას შეეძლო, წუთიერი აფეთქების გამო სტაჟიანი თანამშრომელიც კი დაუფიქრებლად დაეთხოვა სამსახურიდან. „დიდ ჰუმანისტს“, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანებზე მეტად ცხოველები უყვარდა.

უოლტ დისნეიმ ბავშვობა მისურის შტატში, ქალაქ მარსელაინთან ახლოს მდებარე პატარა ფერმაში გაატარა. ამ პერიოდს უღრუბლო ბავშვობას ან ოქროს ხანას ნამდვილად ვერ უწოდებ. უოლტის მამა ელიას დისნეი მკაცრი და ღვთისმოსოშიმი კაცი გახლდათ, არასოდეს ანებებებრებდა ხუთ შვილს სათამაშოებით, კანფეტებითა და მსგავსი „სისულელებით“, სამაგიეროდ, შეეძლო უმოწყალოდ დაესაჯა ისინი სულ მცირედი ანცობისთვის.

უოლტს პატარაობიდანვე იტაცებდა ხატვა, მაგრამ იცოდა, მამა არასოდეს აჩუქებდა



ფერადფანქრებიან ყუთს, ალბომზე ზომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო... და რადგან სხვაგვარი ქაღალდი შინ არ ებადათ, მომავალი მულტიმილიონერი თავის შედევრებს ტუალეტის ქაღალდებზე ქმნიდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ უოლტი კანზას-სიტის ხელოვნების უნივერსიტეტში, კურსებზე ჩაწერა. შემდეგ მისი ოჯახი ჩიკაგოში გადაბარდა და დისნეიმაც ადგილობრივ ხელოვნების აკადემიაში ჩააბარა, თუმცა კურსის დამთავრება ვერ შეძლო — დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და უოლტმაც გადაწყვიტა, რომ მისი, როგორც ნამდვილი ამერიკელის ადგილი, ბრძოლის ველზე იყო.

მეომრული დიდების მოხვევა ვერ მოასწრო — მისი ქვედანაყოფი საფრანგეთში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ ჩავიდა, მაგრამ თავისი ნიჭის წყალობით პირველი გასამრჯელო სწორედ იქ მიიღო. დაუზარელი ახალგაზრდა მეომრებს სულ რამდენიმე ფრანკად პლაკატებს, ხან კი მუნდირებზე საბრძოლო ორდენებს უხატავდა, რომელთა ნამდვილისგან გარჩევა შეუძლებელი გახლდათ.

შინ დაბრუნების შემდეგ უოლტმა სასტიკი უარი განაცხადა, მამას ახალ ბიზნესში — ხილის ყელესა და მარმელადის წარმოებაში დახმარებოდა. ამჟვე დროს, მისი ყველა მცდელობა — მოწყობილიყო გაზეთში მხატვრად, უშედეგოდ მთავრდებოდა. რედაქტორებს მიანდნათ, რომ ახალგაზრდა კარიკატურისტს პოლიტიკური სიმწვავე და სიფიცხე აკლდა. მართლაც, მისი ყველა ნახატი ზედმიწევნით კეთილშობილური იყო.

ხელმოცარულმა დისნეიმ გადაწყვიტა, სარეკლამო ბიზნესში ეცადა ბედი. იმ ხანად გაიცნო ახალგაზრდა, ძალიან ნიჭიერი მხატვარი იუბ აივერკსი. ეს ნაცნობობა ორივესთვის იღბლიანი გამოდგა. 1920 წელს მათ ერთად დაიწყეს მუშაობა კინოსარეკლამო სტუდიაში, რომელიც ქალაქის კინოთეატრებს ემსახურებოდა. სარეკლამო რგოლებში უნდა გამოეყენებინათ ეკრანზე გაცოცხლებული ნახატი-მულტიპლიკაცია.

პირველ ოპუსებს დისნეი „სიცილოგრამებს“ უწოდებდა. ეს იყო მცირე სარეკლამო რგოლები, რომელთა იდეაც არა ობიექტების დემონსტრირებაში, არამედ თემის კომიკურად დამუშავებაში იყო. დისნეი მუშაობისას ყველა ცნობილ (აგრეთვე თავისივე გამოგონილ) ტრიუკს იყენებდა და ცდილობდა, შეექმნა მხიარული, კარიკატურებით სავსე სიუჟეტი.

დისნეის კარგად ესმოდა, რამდენად შეზღუდული იყო შერჩეული ჟანრის შესაძლებლობები და მხატვრული თვალსაზრისით უფრო სერიოზული თემისკენ ისწრაფვოდა.



სწორედ მაშინ „გააცოცხლა“ მან ცნობილი ზღაპრის გმირები — კონკია, წითელქეულა, ჩექმებიანი კატა... თუმცა ძალე ფინანსური სიმძლეეები დაწყო და დისნეიმ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა.

მიზანსწრაფული და ჯიუტი მხატვარი პოლიეუდში გადავიდა. დღედაღამ მუშაობდა, ფულს ნათესავებისგან სესხულობდა, სათანამშრომლოდ იუბ აივერკსი და თავისი უფროსი ძმა — გამოცდილი ბუღალტერი როი დისნეი მიიწვია. ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოახერხა სტუდიის შექმნა, რომელიც თანდათან უმსხვილეს კინემატოგრაფიულ იმპერიად იქცა. იმ დროს ჩამოყალიბდა ფილმის ტიპი და დისნეის მულტიპლიკაციის სახელგანთქმული სკოლა...

დისნეიმ შესანიშნავად უწყოდა საკუთარი თავის ფასი და არასოდეს აყენებდა ეჭვქვეშ თავის ტალანტს. იგი იდუბის ნამდვილი გენერატორი იყო. თანამშრომელ-მულტიპლიკატორებს უხემ მონახაზსა და დაწვრილებით აღწერილობას აძლევდა, როგორი უნდა ყოფილიყო ესა თუ ის პერსონაჟი და ისინიც თა-



ვიანთი ნიჭის შესაბამისად ასრულებდნენ სამუშაოს. სწორედ ასე, დისნეის მითითებით შექმნა აივერკსმა ყველასთვის საყვარელი მიკი მაუსის სახე.

1926 წლიდან დისნეი აღარ ხატავდა. სამაგიეროდ, სტუდიის სული და გული, მთავარი მამოძრავებელი ძალა და კატალიზატორი იყო. მას ეკუთვნოდა საბოლოო სიტყვა სიუჟეტის არჩევისა და პერსონაჟების ხასიათის განსაზღვრისას. ის იყო რეჟისორი, პროდიუსერი, მხატვარი, გარემორტყმელი ისეთი სპეციალისტებით, რომელთა უმეტესობა მასზე ერთი თავით მაღლაც კი იდგა. მიუხედავად ამისა, უოლტ დისნეის გარდა ვერავინ შეძლო აემუშაებინა ეს უზარმაზარი და რთული მექანიზმი.

1925 წელს დიდი მეზღაპრე დაქორწინდა მომხიბვლელ თანამშრომელ ლილიან ბაუნდუსზე.

დისნეის შექმლო გარისკვა. პირველი სრულმეტრაჟიანი მულტფილმისთვის „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ ნახევარმილიონიანი კრედიტი გამოიტანა. წარუმატებლობის შემ-

თხვევაში სტუდიას სრული კრაზი ემუქრებოდა და ამის რეალური საშიშროებაც არსებობდა. ჰოლფიუდის უმსხვილესი სტუდიის ბოსი ლუის ბ. მეიერი იქედნურად ამბობდა: „ვინ წავა ნახატი ფილმის გმირის — ზღაპრული ფერიას სანახავად, როცა იმავე ფულით ჯოან კროფორდის სავსე მკერდისთვისაც შეიძლება თვალის შევლება?“

თითქოს არაკეთილმოსურნეთა ჯიბრზე, „ფიფქიამ“ განსაცვიფრებელ წარმატებას მიაღწია. მაყურებელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, აწყდებოდა კინოთეატრებს, 8 მლნ დოლარიანი მოგება სარეკორდო გახლდათ 1930-იანი წლების ამერიკული კინოგაქირავებისთვის.

„ფიფქია და შვიდი ჯუჯას“ ავტორს „ოსკარის“ გადაცემის ცერემონიაზე სიურპრიზი ელოდა: სტატუეტთან ერთად შვიდი პატარა დუბლიკატიც გადასცეს, თითო — თითოეული გნომისთვის. დისნეი ამერიკული კინოს კერპად იქცა.

უოლტი სულ უფრო აფართოებდა თავის იმპერიას. პატარა, ნახევრად მშვიერმა ბიჭმა, რომელსაც ბავშვობაში ერთი ნორმალური სათამაშოც არ ჰქონია, გამდიდრების შემდეგ გიგანტური ლუნაპარკები ააშენა.

პირველი დისნეილენდი („დისნეის ქვეყანა“) კალიფორნიაში, რომელიც 70 ჰექტარს იკავებს, ყოველწლიურად უკვე 12-13 მილიონზე მეტ დამთვალიერებელს მასპინძლობს. დისნეიუორლდი („დისნეის სამყარო“) ფლორიდის შტატში კიდევ უფრო იბლბიანი აღმოჩნდა — სიდიდით დისნეილენდს თხუთმეტჯერ აღემატება. თუმცა დიდ მეზღაპრეს გრანდიოზული საბავშვო ქალაქის ნახვა არ დასცალდა — დისნეიუორლდი 1971 წელს, მულტფილმების მეფის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ გაიხსნა.

თუ მოარულ ხმებს დაუვჯერებთ, უოლტ დისნეი კალიფორნიის უნივერსიტეტის ერთ-ერთ სპეციალურ გაყინულ საკანშია მოთავსებული და როცა მეცნიერება ფილტვის კიბოს განკურნებას შეძლებს, მხატვარს ანაბიოზის მდგომარეობიდან გამოიყვანენ...

დისნეის ბიზნესმემკვიდრეობაა მედიაიმპერია The Walt Disney Company, რომლის საბაზრო კაპიტალიზაცია 75 მლრდ დოლარს აღემატება.

მომზადა ნინო ჯაფარიძემ

როსა ლიჩაგულაგაი „თავდაყირა“ დგება...



დიდხანს ვათვლიერებდი აბაშიძეების, ახვლედიანების, ანდრონიკაშვილების, კლდიაშვილების ფოტოებს. თითქოს არაამქვეყნიური სახეები გვიყურებენ ფერმეცვლილი სურათებიდან. დღეს გვიკვირს მათი მშვიდი სახეების, მათი კეთილშობილების და არ გვესმის, რომ მათთვის სრულიად ჩვეულებრივი იყო დიდი გაჭირვებისა და დარდის ატანა, სულით გაუტეხლობა, სიღუბჭირზე ამძლლება და სიცოცხლე...

მთელი თავისი მშვენიერებით ზემოთ ნახსენები ფოტოები ზაზა აბაშიძესთან ვნახე, ყველასათვის საყვარელი მსახიობის, დოდო აბაშიძის ვაჟის ოჯახში. არანაკლებ საინტერესო იყო ბატონ ზაზასთან საუბარი — იმ ფოტოებით გაცრეცილი, მაგრამ საოცარი ამბები მას ბავშვობიდან ესმოდა...

„ანდრონიკაშვილუბის მედროზე“

ბებიამეშვე ლაპარაკი ცოტა მეუხერხულე-ბა, მაგრამ ვინც მის შესახებ რამე იცოდა, ან მოესწრო მას, ყველა გეტყვით, რომ ნინო ანდრონიკაშვილი არაჩვეულებრივი ქალი იყო. ტყუილად კი არ ეძახდნენ „ანდრონიკაშვილების მედროშეს“. ხშირად თამადაობდა. ქალების სუფრაზე ხომ სულ ის იყო ღვინის უფალი! უყვარდა თავისი გვარის წარმომადგენლები, ყველა შტოს შეკრებდა ხოლმე. 1917 წლამდე ისე იზრდებოდა, როგორც ბატონიშვილი. კარგად ახსოვდა ის დრო, სოფელში ჩასულს გლეხები რომ მოწიწებით ელაპარაკებოდნენ, ასეირნებდნენ, ცხენზე სვამდნენ. მამამისს „თეთრ დათას“ ეძახდნენ. კახეთში ორი დათა ცხოვრობდა. ერთი ცუდად ექცეოდა გლეხებს და „შავს“ ეძახდნენ, მეორე კი — ბებიას მამა — მამაშვილურად ეპყრობოდა გლეხებს. ამიტომ დაარქვეს „თეთრი“.

ბებია მკაცრი ქალი იყო. როცა მამა ნასვამი ბრუნდებოდა შინ, ეტყოდა: — ყმაწვილო, ისევ დალიე?! ამ დროს მამა უკვე 50 წლისა იყო. ბებიას არ ავიწყდებოდა თავისი წარმომავლობა, თუმცა როცა გაუჭირდა, თავდაუზოგავად იბრძოდა, რომ ოჯახი ერჩინა. დონორი იყო, სისხლს აბარებდა. დონემიხდილი ბრუნდებოდა და ამის ფასად საჭმელი მოჰქონდა შვილისთვის. სასტუმროშიც მუშაობდა სართულის მორიგედ.



დოდო მშობლებთან და ბებიასთან ერთად

უბაჟოდ

დოდო აბაშიძის მამა სანდრო ახმეტელმა მიიყვანა თეატრში. ნიჭიერი მსახიობი იყო ვანიკო აბაშიძე. როცა სანდრო ახმეტელი დააპატიმრეს და დახვრიტეს, ვანიკოც და კიდევ 8 მსახიობი მიაყოლეს, ბებიას შინაპატიმრობა მიუსაჯეს. დოდო 13 წლის დარჩა. ნინო ანდრონიკაშვილის სარჩენი იყო მოხუცი დედა — ნატალია ანდრონიკაშვილი და დედამთილი — ნუცა კლდიაშვილი. მძიმე წლები იყო. დოდო ავადმყოფობდა. იმერეთში დაჰყავდათ ნათესაებთან. რძეს ასმევდნენ და ლოცულობდნენ, — ნეტა ამ ზაფხულის ბოლომდე გადარჩესო. 15-16 წლისა წამოიჩინა, ვარჯში დაიწყო და გაკაჟდა. მაინც სძლია ფიზიკურ სისუსტეს, უმამობას და მაგარი ბიჭი დადგა. ვანიკო ფიზიკურადაც და სულიერადაც ძლიერი ვაჟკაცი იყო, გარეგნობით ნამდვილი იმერელი თავადიშვილი, აკი აპირებდა კიდევ დავით რონდელი „დაკარგულ სამოთხეში“ მიქელას როლზე მის დამტკიცებას, მაგრამ ამასობაში, ვანიკო თეატრიდან გაუშვეს და მერე დახვრიტეს კიდევ. დაკითხვის დროს ერთი სიტყვა ვერ დააცდენინეს ალექსანდრე ახმეტელის წინააღმდეგ.

ერთი ოჯახის ამონაყარი

დოდო აბაშიძის დიდი ბებიაც მსახიობი იყო — ეფრო ყიფიანი-კლდიაშვილისა. დიმიტრი ყიფიანის უფროსი ძმისწული გახლდათ. ეფროს არაჩვეულებრივი შვილები ჰყავდა. უფროსი ვაჟი, სიმონი, პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორი იყო. მან მოსკოვის ქანდაკების, არქიტექტურისა და ფერწერის ინსტიტუტი ვერცხლის მედალზე დაამთავრა. მისი ამენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი მთავარი კორპუსი, სამხატვრო აკადემიის ფასადი. შუათანა ვაჟი, ალექსანდრე, ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტში მუშაობდა, ქიმიკოსი იყო. როგორც ამბობენ, გენური ინჟინერიის სათავეებთან იდგა. ოდესაში, შავრანშვილთა თავდასხმისას ებრაელების ოჯახი შეიფარა და ამას ემსხვერპლა. ჩამოასვენეს ბათუმში, ბათუმიდან — ქუთაისში. მთელი ქუთაისის ებრაელობა გოლებდა...

„ზარმაცაში“

ნინო ანდრონიკაშვილის უმცროსი ძმა რეუოლუციამდელი მოგონებებით არ იწუხებდა თავს. მივესალმებოდი ხოლმე: — თავადიშვილო, როგორ ბრძანდებით-მეთქი.



ზაზა და დოდო აბაშიძეები

— თავი დამანებო, — მეტყვოდა...

მას შემდეგ, რაც თავდაზნაურებს გაუჭირდათ, ისინი ქუჩაში თამბაქოს ყიდდნენ... გაივლიდი და ნახავდი ანდრონიკაშვილებს, ჩოლოყაშვილებს, მაყაშვილებს. ერთხელ კკითხე მია მიშას:

— ყველა თავადი რომ თამბაქოს ყიდდა მიძიმე წლებში, ეტყობა, რაღაც სარფი ნახეს ამ საქმეში-მეთქი.

— აბა, სხვაგან მუშაობა ეზარებოდათო... საერთოდ, დოდოს მიშა ძალიან უყვარდა — ბაჭიბუქი არ უყვარს, უწესიერესი და უპატიოსნესი კაციო, იტყვოდა. ძალიან უყვარდა უფროსი ბიძებიც — იასე, ადიკო (ადამი) და ივანე. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს, მიშას გარდა, ვაჟი არ დარჩენია. მიშას ერთი ვაჟი, გოგი, უცოლშვილოდ გადაეგო, სამაგიეროდ, მეორეს, ზურიკოს ჰყავს ორი ბიჭი — მიშიკო და ირაკლი. ასე რომ, ანდრონიკაშვილების ჩვენი შტო გრძელდება...

თავადების სიზარმაცეზე ხომ მითუბი დადიოდა! დოდო აბაშიძის ბაბუას, დავით აბაში-

ძეს, მეტსახელად თემურ-ხანს ეძახდნენ. დოდოს კარგად ანსოვდა ბაბუა. ის რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე იყო. ჰყვებოდნენ, როგორც ყველა აბაშიძე, ისიც ზარმაცი იყო. 1877 წელს, გახურებული ომისას, სანგარში ჩაეძინა თურქე. თავს წამოადგა ორი თურქი, დაატყვევეს და წაყვანა დაუპირეს ახალგაღვიძებულ თემურ-ხანს. მან კი ორივე თურქს სძლია, განაიარაღა და აქეთ წამოიყვანა ტყვედო.

სიზარმაცით განთქმული ყოფილა თემურ-ხანის მამაც — გრიგოლი. მისი საყვარელი საქმიანობა — ჩრდილში, ჭილოფზე წოლა ყოფილა. ერთადერთი ყმა ჰყოლია შერჩენილი. დაუძახებდა:

— ივანიკა, ბიჭო, გამაჩოჩე ჩეროში!

ისიც გააჩოჩებდა — გრიგოლ აბაშიძეს ისიც კი ეზარებოდა, ამდგარიყო და ჩრდილში თვითონ გადასულიყო.

მამა ასეთი არ იყო. პირიქით, მშრომელი, ძალიან პუნქტუალური და პასუხისმგებლობით საესე გახლდათ, გიჟდებოდა ხოლმე, ამას რომ მოჰყვებოდნენ.

დოდო

ყველასაგან განსხვავებული იყო...

რაც დედამისი ხანში შედიოდა, იძახებოდა. დღე ისე გავიდოდა, ხმას არ ამოიღებდა... ნასვამი თუ დაბრუნდებოდა, დედას თვალს აარიდებდა, ოთახში ჩაიკეტებოდა, გულჩათხრობილი ხდებოდა. გარეთ თუ მხიარულობდა, შინ ჩუმ სევდას მიეცემოდა. მსახიობი დათო კურცხალია იხსენებდა, როგორ დაიწვეს ლექსებით პაექრობა ეროსიმ და დოდომ ერთხელ გზაში. ბოლოს დოდო ბოდღერზე გადავიდა. ეროსი გაჩერდა...

ძალიან ბევრს კითხულობდა. არ მანსოვს, მამას წიგნი არ სჭეროდა ხელში. წიგნს ზომ ეტყობა, წაკითხულია თუ არა, მის ბიბლიოთეკას რომ ვუყურებ, ყველა წიგნი წაკითხული ჰქონდა.

საერთოდ, მოუდრეკელი კაცი იყო. მაშინდელ ცეკას პირველ მდივანთან, ელუარდ შევარდნაძესთან არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა. მისი მდივანობისას დაიჭირეს დოდოს რამდენიმე მეგობარი. ზოგი უბრალოდ, ზოგიც — ბრალით. ამის გამო, პირობითად რომ ვთქვათ, დაუპირისპირდა შევარდნაძეს. ბოლომდე ასე დარჩა. სხვა ინტელიგენტები ადრე თუ გვიან მოიხიბლნენ მისით. დოდო იმ უმცირესობაში დარჩა, ვინც არ მოიდრიკა თავი. ამის გამო 6 წელი, ეგრეთ წოდებული „პროსტოი“ ჰქონდა. არ იღებდნენ, სამუშაოს არ აძლევდნენ.

ძალიან განიცდიდა, თუმცა გარეთ მაინც მხნედ გამოიყურებოდა. რამდენჯერ სთხოვეს ნოდარ დუმბაძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, — მიდი ედუარდთან, რალაცნაირად განაახლე ურთიერთობაო. არ ქნა.

დოდომ ცოლად შეირთო თბილისში კარგად ცნობილი ახვლედიანების ოჯახის შვილი. დედაჩემის, მარინე ახვლედიანის ბაბუა, დიმიტრი ახვლედიანი, ცნობილი ექიმი და ეთნოგრაფი იყო. თავის დროზე თელავში, სადაც სამხედრო ექიმად მუშაობდა, საკუთარი სახსრებით გახსნა ლაზარეთი, სადაც უფასოდ მკურნალობდა გლეხკაცობას. ამაში დიდ დახმარებას უწევდა მშვენიერი მეუღლე ელისაბედ ერისთავი, რომელიც მედლად მუშაობდა. დიმიტრისა და ელისაბედის უფროსი ქალიშვილი იყო მხატვარი ელენე ახვლედიანი.

სული ყოველთვის მკვდება

ხშირად ვეკითხებოდი მამას ბებიების შესახებ. ნატალია ანდრონიკაშვილი ძალიან მკაცრი ყოფილა — რა ვიცი, კაცო, სულ შენიშვნებს მაძლევდაო, — იტყოდა, — ნუცა კლდიაშვილი ნაზი, თბილი ქალი იყოო...

მამა ძალიან განიცდიდა, რომ ბებიების, დიდი ბაბუების საფლავები დაკარგული ჰქონდა. ერთხელ ქუთაისში გამგზავნა. თემურ-ხანის საფლავს შენ თუ იპოვი, სხვა ვერა, შენ ხარ საფლავების ცნობილი მძებნელიო.

მე მართლაც მიყვარს სასაფლაოზე სიარული. შემიძლია საათობით ვიყო იქ. ჩემი მომავალი მეუღლეც, ნინო ჩიკვილაძე, პირველად სასაფლაოზე წაიყვანე — ებრაელთა საფლავებიდან ძველ გვარებს ვიწვრდი.

დოდოს სასაფლაოზე სიარული კი არა, უახლოესი მეგობრების პანაშვიდზე მისვლა არ შეუძლო. შოთა სალუქვაძე რომ გარდაიცვალა, ერთხელ არ ასულა პანაშვიდზე. არც ეროსის ცხედართან მისულა. დედამისის დაკრძალვასაც ვერ დაესწრო, ფაქტობრივად... ოთახში არ შემოსულა და გამოსვენების დროსაც შორს იდგა...

აუღრმად ვაზნა და ჩაწვა, გამგზავნა ვაკის სასაფლაოზე, — წადი, ბებიების საფლავი მიპოვეო. როგორ მეპოვა, ისიც კი არ ვიცოდი, წარწერა ჰქონდა თუ არა. ისეთ დროს გარდაიცვალენ, 1924 წელს, როცა დოდო ჯარში იყო.

პილოზი


20-30-იან წლებში ბევრი უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა რეჟიმმა: ნამდვილი პარტიულებიც და პოტენციური „დამნაშაულებიც“.



ბებია იტყოდა ხოლმე: — ჭკვიანი, განათლებული, ინტელექტუალური ხალხი დახვრიტესო... იმიტომაც დახვრიტეს, ჭკვიანები და განათლებულები რომ იყვნენ. ვანიკო აბაშიძე რომ მათი რეჟიმის მოწინააღმდეგე იქნებოდა შინაგანად, ყოველთვის იცოდნენ. მიუხედავად ზეწოლისა, საქართველო, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ინტელექტუალურად ერთ-ერთი პირველი რჩებოდა. ხომ მოღვაწეობდნენ აქ კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე? ისინი ეროვნული ცნობიერების საყრდენ ბურჯებად დარჩნენ.

საქართველომ ბევრჯერ დაკარგა თავისი საუკეთესო შვილები. ამან დაამუხრუჭა ჩვენი განვითარება... ვახტანგ VI-მ რომ ათასობით საუკეთესო ქართველი წაიყვანა რუსეთში, დიდი დარტყმა იყო ჩვენი ქვეყნისთვის... 20-იან წლებში ემიგრაციაში წავიდნენ ქართველები, 1924 წელს უამრავი დახვრიტეს... ვაკონებით გაჰყავდათ დასახვრეტად. მერე იყო 1937. ამ ყველაფერმა განაპირობა, რომ უნივერსიტეტში ნამდვილი პროფესორის ადგილი წითელმა პროფესორამ დაიკავა. ღირებულებები „ამოტორიალდა“ მაშინ და ღირებულებები „თავდაყირა“ დგება დღეს... ■

ქვის დედაენა



ქვეყანა დასეტყვილ ვენახს დაემსგავსა. მონღოლებმა მოაოხრეს ქართული მთა-ბარი. დაწიოკდა და აირია ხალხი.

ერთ-ერთ უდაბურ კლდეს, ბერთუბნის მახლობლად, შეეხიზნა მშობლებდაკარგული ბიჭი. ქვამარილის მეტი უბეში არა ელო რა. ბედად, გარეჯიდან გადმოხვეწილ ირმების მცირე რემას წააწყდა. ქვამარილი გაალოკვინა და მიიჩვია. მერმე ნუკრებთან ერთად სწოვდა ფურირემს. ეს იყო მისი პურიც და წყალიც. ასე გაჩნდა უდაბნოში ირმის ხევი.

ახლა ფეხდაკოდილი, ოჯახდაკარგული, ნალაშქერი მწიგნობარი გადმოვარდა ირმის ხევში. სატევარი და მშვილდ-ისარი შერჩენოდა, გულაში დიდი წიგნი ედო, ზევიდან კი დაკრული ჰქონდა კათხა და წერაქვი.

ირმებს სდია, მაგრამ ფეხმა უმტყუნა. ზედაც ბიჭი გადაუდგა...

— მამისტოლა კაცო, ვინა ხარ? ჩემი ირმეებია!

— საიდან გაჩნდი, ბიჭო? ედიშერ მწიგნობარი ვარ, ნაომარი და ნარბევი... შენი ირმე-ბია? შენ კი ვილა ხარ?

— ბიჭი-ხიმშია!

— სამი დღეა მშიერ-მწყურვალი ვარ!

ფქვილი მაქვს და წყალი არა! — და ისევ ირმებს გააყოლა თვალი.

— ეგ კათხა მათხოვე... — ბიჭმა გამოართვა ჭურჭელი და წინ წარუძღვა, — წამო, ნაქვებარში ავიყვან.

აღარცთუ შორს იყო. ედიშერმა აათვალიერ-ჩაათვალიერა პირმონგრეული ნაქვებარი, ქვევით, შორიახლოს, ირმეები ბალახობდნენ.

ბიჭი რომ მობრუნდა, კლდის კვეთის ხმა შემოესმა. ქვების შიდა მხარეს აღრმავებდა ედიშერი, ქვის თახჩაზე გადაშლილი, დიდი წიგნი იდო.

ირმის რძეს დაეწაფა მაშვრალი. კათხა ჩანახვერა, პირიდან ძლივს მოიშორა, ბიჭუნას უხმოდ გაუწოდა. მან არ გამოართვა...

— სულ შენია... რას გეყოფოდა მამისტოლას?! მე იქ უკვე...

ედიშერმა ერთი გაჯავრებულად შემოჰხედა ბიჭუნას:

— ტყუილი არ მითხრა, ბიჭო, თორემ იმ წიგნს ვფიცავ... — მერმე სულმოუთქმელად გამოსცალა კათხა და უსიტყვოდ ეცა წერაქვს, ქვების კვეთა განაგრძო.

ბიჭუნას კი ცრემლი სდიოდა. უნებურად ტყუილი გამოუვიდა. მოტრიალდა, რომ მო-

სულს არ შეენიშნა. წინ წიგნი დახვდა — დიდი, უბეგადაშლილი საფიცარი, ყოველი საიდუმლოებით აღსავსე... იღო და თითქოს უხმოდ გალობდა... ჭიანჭველებით გაბმულ-გამობმულად ისახებოდნენ ასოები, სტრიქონ-სტრიქონ გადარბოდნენ!

— კითხვა იცი? — ერთიც მოჰხვდა ედიშერმა.

— არა...

— შეგირცხვა ირმის მადლი!

— მაინც რა წიგნია?!

— ვეფხისა. მაგით მიდგას სული და ძალა!

— ედიშერმა უმატა კლდის შლას.

მართლაცდა ვეფხის ნათითად აჩნდებოდა ქვაბს მისი ნაძალი.

— ირმის რძე ჩემზე იყოს! — თავჩაქინდრულად ჩაიბუტბუტა ხიმშიამ.

— ვეფხის წიგნი და ქვის დედაენა — ჩემზე! — წერაქვის ნაკვესს ჩააყოლა ედიშერმა, თან ჩაულექს-ჩაუდიდინა:

თუ რა გესმის, გაიგონე,

ესე კმარის სწავლა სწავლად...

ვერას ირგებ, არ დაუდგები,

სხვა ვიუბნო რაღა მრავლად?

კიდევ დიდხანს იშრომა და ილექსა ედიშერმა, ვიდრე მზე არ ჩაელია ქვაბის ხანაში.

განცვიფრებით უსმენდა ბიჭი ხიმშიამ. გუმანით ხვდებოდა, რომ ის ლექსები სულ ამ ვეფხის წიგნისეული იყო... და თითქოს იგი ჰკვეთდა კლდეს და ამხნეებდა, აახლოვებდა უბედურ შეჩინულთა გულთაც.

დილით ხიმშიამ ქვის ხრილმა გამოადვიდა. მწიგნობარი ქვაბში აღარ დახვდა. გული მოწეწეკა. მაგრამ უეცრად დაწყნარდა — ვეფხის წიგნი ისევ თავის ადგილზე იღო. გარეთ გაიხედა და შესავალი ვედარ იცნო. მათი ქვაბი სრულიად მიუვალი გაქადა ედიშერს.

— როგორღა ჩამოვიდე? — შესძახა ხიმშიამ.

— ჩემი გულა დასჭერი თასმებად, ჩაგრიხე... მე სოლებს გაეთლი საფეხურებად!

ხიმშიამ გულა დასჭრა. საკმაოდ გრძელი და მაგარი თასმადევი გაგრიხა. წიგნს მიუჯდა და დიდხანს, დიდხანს კრძალვით ფურცლადა. ნახატებსაც წააწყდა... მოემეს ფორეკებთან ტყავი მოველო, ერთგან ციხე იყო ცამდე აზიდული. მათი ქვაბის მსგავსი სადგომიც ნახა.

დიდხანს ეალერსა წიგნს. მაგრამ ყურადღება კაკბის გუნდების გადაფრენამ გაუმახვილა, მერმე ჯეირნებისა და შვლების დასაუღლეთისაკენ ერთობლივმა ლტოლვამ. მალე ედიშერიც

მოვარდა ქოშინით ჯაგის სოლები მოიტანა, ხიმშიას დახვედრებულ ღვედს მიუსადაგა, ზედ თავი დაამაგრებინა და ქვაბში ახობდა:

— ნადირ-ფრინველი გარბის! ან დიდი მისისძვრა იქნება, ან დიდი შემოსევა.

მალე ხიმშიას ირმებიც მოვარდნენ კლდის ძირში...

— ჩადი, მოწველე! მარილიც უხვად ალოკვინე... ესენიც თუ წაივინენ, ვედარც ჩვენ გაუძლებთ! — ედიშერმა ცას შეჰხვდა, ღრუბელა მზე საწვიმრად იკბინებოდა.

ხიმშიამ ჩაჰყვა ღვედის კიბეს. ედიშერმა კი ცეცხლი მოიკიდა, ზვიდან წყლის ჩამოსადენი ღარი გასჭრა, კლდეში საგუბარიც ამოსტეხა.

გათენებისას მოვარდა შხაპუნა. უდაბნომ ამოისუნთქა. ვიდრე აივსებოდა ქვის ავზანი, ორთავ ხიზანი ქვაბის შესასვლელთან მუხლებზე იდგა და შხაპუნას სახეს უჩენდა.

გაიდარა და ხიმშიამ ირმების საძებრად წავიდა. ედიშერმა კი კვლავ შეაღრმავა ქვაბი, მერმე ჩაივინა და ველური პრასა და ნაცარქათამა მოიძარავა. მგელსაც წააწყდა — ჯეირანი დაეკლა, ფაშვი გამოეჭამა.

ხიმშიამაც მოიტანა რძით სავსე კათხა, კაკბის ახალდაფრენილი ლაპიც დაეჭირა.

ჯეირანი გაატყავეს და იმდამესვე მთლიანად შეწვეს. ქვაბში ავიდნენ და კიბე აიკვეცეს. კაკაბი გულაში ჩასვეს. წიგნთან მიწვენენ და დაიძინეს.

მზეს ყვავების გუნდებმა დაასწრეს. აღმოსავლეთით რაღაც ბუდი ადგა. მერმე ალაპლაპდა და ამოდრავდა უდაბნო.

— მონღოლთ შემოსევა! — ჩაიდუღუნა ედიშერმა და ჩამოტეხილი ქვები ქვაბის პირთან მიზიდა, ამოაწყო, მხოლოდ საშუქილა დასტოვა... თავად წიგნს მიუჯდა. ხიმშიამ წერაქვს სტაცა ხელი, მარცხენა კედელი, რომელიც ყველაზე ნათელი იყო, ჩამოასწორა, ჩამოაშანდაკა. ბოლოს ედიშერმა თავი დაანებებინა... გარეთ გაახედა...

— მოვიდნენ! ხმა არ გააღებინო წერაქვს!

გარესამყარო დაფარული იყო მონღოლთა ლაშქრით, აქლემქარაუნებით, ხარგებით, მარქაფა ცხენებით, შუბოსანთა გუნდებით... თითქოს უდაბნო მქწყრად ადგა და წარღვნად დაიძრა! ხმა და მტვრის კორიანტელი ზარავდა ჰაერს...

ბიჭს კანკალი აუვარდა. ედიშერმა შეატყო და საჭურეტს მოაცილა...

— აბა, ვიწყებ ანბანს... და ვიდრე შემოსე-

ვა გადაგორდება, ვეფხის წიგნია ჩვენი საფარი! შიში არ გაივლო გულში, თორემ დედაენას ვედარ ისწავლი — მოშანდაკულ მხარეზე ანბანი ზევიდან ქვევით, ისრის წვერით გამოუკაწრა, ბიჭს რამდენიმეჯერ გაუძეორა და ისარი გადასცა... — ახლა იმეორე და წერე!

თავად ისევ წიგნს მიუჯდა, არც გარესაჭერეტიელი დაიფიწყა.

ხიმშია ნახევარ ანბანზე არ იყო ჩასული, რომ ქვის დედაენას გარედან შემოფარდნილი ისარი მოხვდა... მაგრამ ვერაფერი დააკლო და ჩამოვარდა. ერთი-ორიც გარეუქვებს მოხვდა. ედიშერმა ხელი სტაცა გუდას და კაკაბი გარეთ გაუშვა. ისიც დამფრთხალი ჭრიახით გადავლო ძირს მომდგარ ურდოს და შორს გაფრინდა. მომხდურებმა მაშინვე თავი ანებეს თითქოსდა უკაცრიელ ქვაბს და გაეცალნენ.

ხიმშიამ ახლა ორი ისრით განაგრძო ქართული ანბანის სწავლა და ქვაზე სახვა.

ერთი კვირა მაინც დიოდა მტრის ულვეი ურდო. ერთი კვირა ებრძოდა და იზეპირებდა ხიმშია კლდის დედაენას. ასო-ასო ჩამოათავა კედელი. თანდათან უქრებოდა „ქვაბქვევით მოთარეშე უწიგნურთა“ შიში, თითქოს ქვისა და ანბანის აბჯარში ჯდებოდა ბიჭი ხიმშია! ირმის ძუძუსაც მოითავებს და ახლა ვეფხის წიგნზე გადავა!

ედიშერმა კი, ჩურჩულით, ხელახლა გადაიკითხა დიდი წიგნი ქართველობისა, უკვდავ და ულევ სულიერ საზრდოდ და ნუგეშად სახული.

ერთ კვირას ეყოთ ჯეირნის ხორცი, მონალული ფქვილი, ველური პრასა... წყალი კი უფრო ბლომად ჰქონდათ.

ხიმშია უკვე ანბანით ნიშნავდა და წერდა შემოსევის დღეებსა და თარიღებს. მერვე დღეს კლდის თავიდან ჩამოგორდა ქვის მცირე შუავი.

შეფიქრიანდნენ ხიზნები, ხელი მშვილდ-ისარსა და წერაქვს დასტაცეს...

...მაგრამ მალე ირმის ყვირილი მოესმათ. იცნო ხიმშიამ... გარეთ გაიხედა... ახლომანლოში კაკაბები კაკანებდნენ... უფრო გაბედულად გადაჰხედეს გარემოს.

არაფინ ჩანდა. დაელოდნენ და როდესაც ირმები კლდის ქვეშ ჩამოუვიდნენ, მაშინ კი ჩაუშვა ედიშერმა ღვედის კიბე... ჩანს, „წარღვნა“ გათავებული იყო. ხიმშია ჩავიდა პირველი, ქვამარილიც ჩაუტანა ირმებს... სათითაოდაც დაჰკოცნა მშვიდობის მახარობლები! რძეც ბლომად აუტანა თავის შეკოჭლებულ მასწავლებელს. ედიშერს ახლად მოაგონდა, რომ ფეხი დაკოდილი ჰქონდა და სტკიოდა. ხიმშია ახლა თამამად მივიდა გადაშლილ წიგნთან და ჯერ დახურა, თავფურცელი მოუნახა და სათაური წაიკითხა...

— „ვეფხისტყაოსანი“!.. ახლა კი, სადაც გერჩიოს, გადამიშაღე!

ედიშერმა შენამული თვალები ჩაჰხარა და კარგა ხანს ჰფურცლა. მერმე ხელი დაადო. ბიჭმა მოიმარჯვა თავისი „ქვის დედაენა“ და დამარცვლით, მაგრამ მიწყობილად წაიკითხა:

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტირსა!





„მსხეთის ქანაქს მიხონი ღულს...“

საქართველოს ტურისტულ მარშრუტებში მცხეთას საგანგებო ადგილი უკავია. უკანასკნელ ხანს მცხეთაში მიმდინარე რეაბილიტაციის პროექტმა კიდევ უფრო დაამშვენა და გააღამაზა ქალაქი და ახალი სიცოცხლე შესძინა. უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, შესანიშნავი ხუროთმოძღვრება, თანამედროვე რესტორნები და გასართობი ცენტრები ნებისმიერ დამსვენებელს შესანიშნავ გარემოს უქმნის იმისათვის, რომ ერთი დღით მოსწყდეს მძიმე ყოველდღიურობას.

მცხეთა მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში.

მცხეთის რაიონში არქეოლოგიური სამუშაოები XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. დადგინდა, რომ საქალაქო ცხოვრე-

ბა უკვე არსებობდა ადრეულ და შუა ბრინჯაოს ხანებში (ძვ. წ. III-II ათასწლეული), ხოლო ძვ. წ. II-I ათასწლეულში იგი მჭიდროდ დასახლებულიც იყო. ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში კი ყალიბდება სამოსახლოთა



გაერთიანების შედეგად ქალაქური ელემენტი „დიდი მცხეთა“. ლეგენდის თანახმად, ქალაქი დააარსა მცხეთოსმა.

ძვ. წ. III საუკუნის მცხეთა ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქი იყო. ლეგენდა ქართლის სამეფოს დამაარსებლად მიიჩნევენ მცხეთელ ფარნავაზს, რომელსაც მტერი განუდევნია ქართლიდან და მეფობა თავის თავზე აუღია.

იბერიის სამეფოს ჩამოყალიბებაში დიდი როლი მესხურ ტომებს უკავიათ. ისინი მცხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. VIII ს-ის შემდეგ გაჩნდნენ. სახელწოდებაც „მცხეთა“ სწორედ

მესხურ ტომთა სახელიდან უნდა მომდინარეობდეს (მცხეთა-მესხთა).

თავდაპირველად სამეფო რეზიდენცია მტკვრის მარჯვენა მხარეს იყო აღმართული, საგანგებოდ მძლავრი გალავნით შემოვლებული ციხეში. იქვე მდებარეობდა არმაზის ღვთაების ტაძარი — არმაზის, გაცის და გაიმის კერპებით. აქ ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილია მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემა, სასახლეებისა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა კვალი. გვიანდელი ბრინჯაოს-ადრერკინის ხანის სამარხები, რომლებიც სამივე სოციალურ ფენას განეკუთვნება. არქეოლოგებმა მიაკვლიეს აგრეთვე საშუალო და დაბალი სოციალური ფენების მასობრივ სასაფლაოს. აღმოჩნდა აბანოც, რომელიც შედგება გასახდელი ოთახის, საცეცხლისა და სამი საბანაო განყოფილებისაგან.

გეოგრაფიულად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ხელსაყრელი მდებარეობის წყალობით მცხეთა მუდმივი ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა. მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი საავტრო გზები დასავლეთ საქართველოდან, მესხეთიდან, ასევე სომხეთიდან, ალბანეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან. მცხეთაზე გადიოდა აგრეთვე მსოფლიო მნიშვნელობის „აბრეშუმის გზა“, „აქლემის გზა“ და „ცხვრის გზა“.

მცხეთა ქართლის სამეფოს პირველი სატახტო ქალაქი იყო. აქ მისდევდნენ ხელოსნობასა და ვაჭრობას. მასზე ბევრს წერდნენ ბერძენი, რომაელი და ქართველი ისტორიკოსები. ლეონტი მროველი მცხეთას ასე მოიხსენიებდა: „მცხეთა და უბანნი მისნი“, რადგანაც ყველა უბანში ხელოსნობისა და ვაჭრობის სხვადასხვა მიმართულება იყო.

მცხეთას მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა აკავშირებდა საბერძნეთისა და რომის იმპერიებთან, რასაც ადასტურებს რომის იმპერატორთა მიერ I საუკუნეში მცხეთის გალავნის გამაგრება და წარწერა, რომელშიც იბერიის სამეფოსა და რომაელთა მეგობრობის შესახებაა აღნიშნული.

IV საუკუნის დასაწყისში ქართლში მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის მოღვაწეობის დროს საქართველოში ჩამოვიდა კაპადოკიელი ქალწული წმინდა ნინო, რომელმაც იქადაგა ქრისტიანობა, მოაქცია სარწმუნოებაზე მეფე და დედოფალი, მოგვიანებით წარჩინებულები და



სვეტიცხოველი
ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

მოსახლეობის დიდი ნაწილიც ეზიარა ქრისტიანულ სარწმუნოებას. 337 წელს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მცხეთაში სამეფო ბაღში აშენდა პირველი მცირე ეკლესია (ახლანდელი სვეტიცხოვლის ადგილას).

V-VI საუკუნეებში პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, თბილისი ქართლის დედაქალაქი გახდა, ხოლო მცხეთა საეკლესიო-რელიგიურ ცენტრად გადაიქცა.

მურვან ყრუს გამანადგურებელმა ლაშქრობებმა (736-38 წწ.) მცხეთა მნიშვნელოვნად დაზარალა. თანდათან დაიწყო ქალაქის დამცრობა და იგი პატარა ქალაქად იქცა. XV საუკუნის დასაწყისში კი მცხეთა თემურ-ლენგმა დაარბია...

მცხეთა მდიდარია ულამაზესი ისტორიული ძეგლებით. იგი წარმოადგენს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო ცენტრს. აქ აღმართულია უნიკალური ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომლებიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს შეადგენს. მათ რიცხვს ეკუთვნის: ჯვარი (VI ს.), სვეტიცხოველი (XI ს.), სამთავრო (XI ს.), შიომღვიმის მონასტერი (VI-XIII სს.), ბებრის ციხე (აღრეული შუა საუკუნეები) და სხვ.

სვეტიცხოველი

სვეტიცხოველი მდებარეობს ქალაქ მცხეთის ცენტრში. სამონასტრო კომპლექსში ერთიანდება: ტაძარი, გალავანი, კარიბჭე, სამრეკლო, სასახლეები და სასულიერო პირთა საცხოვრისები.

ლევანდის თანახმად, მცხეთელი ებრაელი ელიოზი იერუსალიმში ქრისტეს ჯვარცმას დასწრებია. იქიდან მაცხოვრის კვართი ჩამოუტანია საქართველოში. მცხეთის შესასვლელში მას შეგებებია მისი და სიღონია, რომელსაც დიდი სიხარულით ჩაუკრავს გულში კვართი და სული განუტყევებია. იგი პერანგიანად დაუკრძალავთ სიღონიას საფლავზე ამოვიდა ლიბანის კედარი. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, მეფე მირიანამ ბრძანა სიღონიას საფლავის ადგილას ტაძარი აეგოთ. მოკვეთეს კედარი, მისგან შეიღი სვეტი დაამზადეს. ექვსი სვეტი რომ აღმართეს, მეშვიდე ჰაერში გაჩერდა. ვერავინ შეძლო მისი ადგილიდან დაძვრა. წმინდა ნინო მთელი ღამე ლოცულობდა და მოხდა სასწაული — „სვეტი ძირთავე მისთა ზედა დაემყარა და მტკიცედ შეერწყა შეუხებლად ხელისაგან კაცთასა“. სვეტი გაიფოთლა და მისგან მირონ-

მა იწყო დენა, რომელიც კურნავდა სნეულთ. სვეტს უწოდეს „სვეტი ცხოველი“, სიცოცხლისა და სიხარულის მომნიჭებელი. ტაძრის სახელიც სწორედ აქედან მომდინარეობს.

მოგვიანებით ვახტანგ გორგასალმა V საუკუნის ბოლოს ხის ტაძრის ნაცვლად ოდნავ დიდი, ქვის ბაზილიკური ეკლესია ააშენა. XI საუკუნის დასაწყისში (1010-1029 წწ.) ქართლის კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-ის თაოსნობითა და ხუროთმოძღვარ არსუკიდის ხელით იგი გადაიქცა გრანდიოზულ ჯვარგუმბათოვან ნაგებობად. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე არსებულ წარწერაში ნათქვამია: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოსი. ამან აღაშენა ესე წმინდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკიდისაითა ღმერთმან განუსუენე სულსა მისსა“. ჩრდილოეთის ფასადზე ორ ქვაზე გამოსახულია ხელი, რომელსაც გონიო უჭირავს. იქვე წარწერაში ვკითხულობთ: „ხელი მონისა არსუკიდისაი შეუნდევთ“. საგარაუდოდ, ამ წარწერამ წარმოშვა თქმულება იმის შესახებ, თუ როგორ სძლია სვეტიცხოვლის ამგებმა მასწავლებელს, რის გამოც მას მარჯვენა მოჰკვეთეს.

1283 წელს ტაძრის გუმბათი მიწისძვრამ დააზიანა. იგი გიორგი ბრწყინვალემ აღადგინა. XIV საუკუნის ბოლოს თემურ ლენგმა სერიოზული ზიანი მიაყენა სვეტიცხოველს:

გადაჭრა ბურჯები და დაანგრია გუმბათი. XV საუკუნის I ნახევარში იგი აღადგინა ალექსანდრე I-მა. 1656 წელს კი ტაძრის რეკონსტრუქციაზე იზრუნეს ქართლის მეფე როსტომმა და მისმა მეუღლემ, დედოფალმა მარიამმა.

სვეტიცხოველი წარმოადგენდა საკათალიკოსო ცენტრს, ამიტომ აქ იმართებოდა ქართველ მეფეთა ჯვრისწერები, მეფეთა და კათალიკოსთა ხელდასხმის რიტუალი.

ტაძარში განისვენებენ ვახტანგ გორგასალი, ერეკლე II, გიორგი XII და ანტონ კათალიკოსი. საისტორიო წყაროების მიხედვით, სავარაუდოდ, აქ დაკრძალულნი არიან აგრეთვე: ვესტათი მცხეთელი, მელქისედეკ კათალიკოსი, დაეთ ულუ, დიმიტრი თავდადებული, ალექსანდრე დიდი, გიორგი VII, გიორგი VIII, ლუარსაბ I და სიმონ I.

ტაძარი მუხრანელ ბაგრატიონთა საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. ამიტომ, აქ არიან დაკრძალულნი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ქალიშვილი თეკლე, ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის მეუღლე მარიამი, მათი შვილები და შვილიშვილები.

ტაძრის სამხრეთ კედელში ჩაშენებულია XIII-XIV საუკუნეების ქვის ეკლესია. საგარაუდოდ, იგი არის სიმბოლო იერუსალიმში გოლგოთას მთაზე არსებული ტაძრისა. ეს სიმ-



სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული ოსტატის ხელი გონიოთი



სამთავროს ტაძარი

ბოლური ეკლესია განკუთვნილი იყო იმ ქართველთათვის, რომელთაც იერუსალიმში სალოცავად წასვლა არ შეეძლოთ.

ტაძრის შესასვლელთან ემბაზია, რომელიც საერაუდოდ, ქართლის მოქცევის დროინდელია. იგი თავდაპირველად ოქროთი იყო მოპირკეთებული. ეს სიწმინდე XIV საუკუნეში თემურ-ლენგმა გაძარცვა და მისი ოქროს საფარი სხვა უამრავ ძვირფასეულობასთან ერთად წაიღო საქართველოდან.

წმინდა ნინოს და მეფე მირიანის მიერ ჩაყრილ ქრისტიანულ საფუძველზე აღმოცენდა ულამაზესი ტაძარი, რომელიც იყო და არის გვირგვინი მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული საქართველოსი.

სამთავრო

სამთავროს სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ქალაქის ცენტრში. კომპლექსიდან მოაღწია მხოლოდ გუმბათოვანმა ტაძარმა, წმინდა ნინოს ეკლესიამ, სამრეკლომ, გალაგნის ნაწილმა და ციხე-კოშკმა.

საისტორიო წყაროების მიხედვით, აქ მცხეთის მთავრის რეზიდენცია ყოფილა. აქედან იღებს სათავეს სახელწოდება – სამთავრო.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე ძველი მცირე ეკლესიაა, რომლის აგებაც უკავშირდება IV საუკუნეში ქრისტიანობის გამაერთიანებლის – წმინდა ნინოს სახელს. იგი დიდი ტაძრის აღმოსავლეთით დგას. ისტორიული წყაროებით, მცხეთაში მოსული წმინდა ნინო სამი წლის განმავლობაში „ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაცუალისათა... და ადგილი იგი იყო ზღუდესა გარეგან“. ამ ადგილას მეფე მირიანს აუგია ეკლესია, რასაც ადასტურებს „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ მეფე მირიანის მიერ მოყვანილი ტექსტის შინაარსი: „ადგაშენე ეკლესიაი მაცულოვანსა მას შინა ნინოსსა“. ტაძრის ინტერიერი მოხატულია წმინდა ქალწულის ცხოვრების ამსახველი სცენებით.

სამთავროს სამონასტრო კომპლექსში დომინირებს დიდი ტაძარი, რომელიც XI საუკუნის I ნახევრით თარიღდება. იგი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა.



წმინდა მირიანისა და წმინდა ნანას აკლამა სამთავროს ტაძარში

ტაძრის პირვანდელი გუმბათი 1283 წელს მიწისძვრის შედეგად ჩამოქცეულა. იგი XIV საუკუნეში აღდგენილია. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს სამრეკლო, რომელიც XV საუკუნით თარიღდება. ტაძრის შესასვლელი კარიბჭე სამხრეთითაა განთავსებული.

ტაძრის კედლები აგებისას მოუხატავთ, თუმცა იგი ჟამთა სიივეს წაუშლია. ამჟამად არსებული ფერწერა გვიანი პერიოდისაა. იგი XIV საუკუნით თარიღდება.

საკურთხეველში დაკრძალულია ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი – აბიბოს ნეკრესელი. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში განისვენებენ პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი და დედოფალი ნანა.

სამხრეთ კარიბჭე ტაძრის დაარსების თანადროულია.

XVII საუკუნიდან სამთავროს საეპისკოპოსო კომპლექსი გადაკეთდა დედათა მონასტრად, სადაც ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახელოსნო. ამჟამად სამთავრო დედათა მონასტრია.

შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი

თბილისიდან 30 კმ-ზე, მცხეთის დასავლეთით 9-10 კმ-ზე, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს. მონასტერს ქართულ ხუროთმოძღვრებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. მისი დამაარსებელი იყო VI საუკუნის II ნახევარში ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი – მამა შიო. ამიტომაც ეწოდა ტაძარს მისი სახელი.

შიომღვიმის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი VI საუკუნის ძეგლია. საისტორიო წყაროებით, წმინდა მამა შიო ოცი წლის ასაკში დაუმოწაფდა იოანე ბერს, შემდგომში ზედაზნელად წოდებულს. გამოჰყვა ქართლში და 543-547 წლებში მასთან ერთად ცხოვრობდა ზედაზნზე. 547 წელს შიო სარკინეთის მთაზე გაემგზავრა და იქ ეწეოდა ასკეტურ ცხოვრებას. ლეგენდის მიხედვით, მამა შიოს საკვებს მტრედი უზიდავდა. ერთხელ, მხურვალე ლოცვისას, მამა შიოს გამოეცხადა ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელთან ერთად და აუწყევს, რომ ეს ადგილი სულ მალე დიდ სამონასტრო კერად გადაკეთდებოდა. მამა შიომ გადაინაცვლა უფრო ბნელ და ღრმა მღვიმეში, რომელსაც ვიწრო ყელი



შიომღვიმის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი

აქვს ზემოდან. მღვიმის შესასვლელი წმინდა შიომ ამოაშენებინა და სწორედ მღვიმის თავზე არსებულ ყელიდან აწვდიდნენ წმინდანს წყალსა და საჭმელს. წმინდა შიომ იქვე დაასრულა მოწამებრივი სიცოცხლე და ანდერძისამებრ მღვიმეშივეა დაკრძალული. XI საუკუნის დასასრულს მღვიმეს დააშენეს მონეტრო ეკლესია.

შუა საუკუნეების პერიოდში შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა.

XII საუკუნეში დავით IV აღმაშენებლისგან დევნილმა მოღალატე ფეოდალმა ძაგანმა თავი შიომღვიმეს შეაფარა. მონასტერმა კი ორგული დიდებული შეიპყრო და მეფეს გადასცა. მეფემ მაღლიერების ნიშნად მონასტერში 1103-1133 წლებში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ააგო. ტაძრის მშენებლობა დაავალა არსენ ბერს, იმავე არსენ იყალთოელს (იყალთოს მონასტრის წინამძღვარს, ცნობილ მწერალსა და მეცნიერს).

ისტორიული ტურიზმი

დავით IV-მ აურაცხელი განძი შესწირა ტაძარს. განუსაზღვრა ცხოვრების წესი, გადასცა მამულები და გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისგან. მონასტერი დავითის მეოხებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა. იგი მდიდარი იყო ულამაზესი ფერწერით, თუმცა ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ XIX საუკუნის ფრესკები. ღვთისმშობლის ეკლესია თავდაპირველად გუმბათიანი ტაძარი იყო, მაგრამ XVII საუკუნისთვის უკვე საფუძვლიანად დაზიანებული ყოფილა. 1678 წელს გივი ამილახვარმა აქ ახალი სამნავიანი ბაზილიკა ააგო.

ისტორიულად მონასტრის წინაშე ერთი გადაუჭრელი პრობლემა იდგა. 1202 წელს ანტონ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელმა თამარ მეფის ნებართვით სოფელ სხალტბიდან მონასტრამდე სასმელი წყალი გაიყვანა. ამ მოვლენის შესახებ საკმაოდ საინტერესო წერილობითი ძეგლი გაგვაჩნია. ეს არის ანტონ მთავარეპისკოპოსის სიგელი, რომელიც საგანგებოდ წყალსადენის მშენებლობას ეხება. ანტონ ჰყონდიდელი მოგვითხრობს, როდესაც მან იხილა უწყლობით გამოწვეული შიომღვიმის ბერთა გასაჭირი, გადაწყვიტა მონასტრისათვის ეს პრობლემა მოეგვარებინა. მან სოფელ სხალტბიდან შიომღვიმის მონასტერში გამოიყვანა წყალსადენი, რამაც საბოლოოდ მოაგვარა წყლის პრობლემა. წყალსადენის ტრასა თითქმის ორ კილომეტრზეა

გადაჭიმული. მილსადენის დაქანებისათვის რომ მიედწიათ, წყალსადენის დიდი ნაწილი ხელოვნურად გაჭრილ გვირაბში გაიყვანეს. მიწები ამ გვირაბის იატაკზეა ჩაწყობილი. წყალსადენის ბოლო მონაკვეთი 170 მეტრი სიმაღლის ფრიალო კლდეზე ეშვება. წყალსადენი დღე-ღამეში 243000 ლიტრ წყალს აწვდიდა მონასტერს.

შიომღვიმის მონასტერში უამრავი ბუნებრივი გამოქვაბული იყო, რომელშიც საუკუნეთა განმავლობაში მოღვაწეობდნენ დაყუდებული ბერები.

შიომღვიმის მონასტერი ქართული სამეცნიერო მოღვაწეობის კერასაც წარმოადგენდა. აქ მიმდინარეობდა წიგნების თარგმნა, გადაწერა და ორიგინალური სასულიერო და საისტორიო ნაწარმოებების შექმნა. მონასტერში მოღვაწეობდნენ მისი დამაარსებელი შიო მღვიმელი, ფილოსოფოსი არსენ იყალთოელი. მონასტერს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია. 1804 წლის მონაცემებით, წიგნების რაოდენობა 10 ურუმზე ძლივს დაეტეოდა. ამჟამად მონასტერში მამათა საყანვა.

ბაბრისციხე

მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირს დაჰყურებს ერთ დროს ძლიერი ციხესიმაგრე ბებრისციხე, რომლის მხოლოდ ნანგრევებიღაა ჩვენამდე მოღწეული. მას ძველად ბელტის ციხეს უწოდებდნენ.





ციხესიმაგრის რთული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ეს ციხე მცხეთის კარს კეტავდა არაგვის ხეობის მხრიდან. მდინარის კალაპოტი აქ ვიწროა და ციხის ადგილიც ისეა შერჩეული, რომ პირდაპირ ემიჯნება იქ გამავალ გზას. ჩრდილოეთიდან მომავალი მტერი ვერაფრით აუვლიდა გვერდს ციხესიმაგრეს. ასევე მოსახლეობის მთებში განიზვნისას არიერგარდს გაუადვილებოდა ზურგის დაცვა.

ბებრისციხე ორი ნაწილისგან შედგება – ზედა და ქვედა ციხისაგან. იგი ამჟამად ძალზე დაზიანებულია და მისი პირვანდელი სახით წარმოდგენა ძნელდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნანგრევების მასშტაბიც ნათლად მეტყველებს ამგებთა მაღალ პროფესიონალიზმზე.

ბებრისციხეზე არსებობს ლეგენდა: ოდესღაც, ეს მიწა-წყალი ეკუთვნოდა ვინმე თავად სიმონს. მას ორი შვილი ჰყავდა — სათნო და მოსიყვარულე ასული მაკრინე და გულქვა ვაჟი მამუკა. მამის გარდაცვალების შემდგომ მამუკას დიდძალი გადასახადები შეუწერია გლეხებისათვის, სასტიკად უწამებია ისინი. მაკრინე ევედრებოდა ძმას მათ შეწყნარებას. გაგულისებულ მამუკას მაკრინე ციხესიმაგრეში გამოუკეტავს. ერთხელ, როდესაც ყმებისთვის ქვებით კერძი იხარშებოდა, მასში ორი ყვავი ჩავარდნილა. გლეხებს საჭმელი გადაულვრიათ. ამის დანახვამ თავადი გააცეცხლა და მათ დასასჯელად გაეშურა. უეცრად ქვაბიდან

გველები ამოძვრნენ და მამუკას შემოეხვივნენ. სასოწარკვეთილი ბოროტი თავადი დახმარების სანაცვლოდ ღმერთს ტაძრის აგებას შეჰპირდა. გადარჩენილმა თავადმა მთელი ქონება გლეხებს გადასცა, თავად ბერად აღიკვეცა და შეგროვილი ფულით ააშენა ეკლესია, ხოლო მაკრინე მცხეთაში აღიკვეცა მონაზვნად.

სამოცდაათი წლის შემდეგ, როდესაც მონაზონი მაკრინე გარდაიცვალა, მასთან თეთრწვერა მოხუცი მივიდა, გარდაცვლილს შუბლზე ეამბორა და ჩასჩურჩულა: „დაო ჩემო, ჩვენ შევასრულეთ ჩვენი აღთქმა“. ამ სიტყვების დასრულებისთანავე სული განუტევა. ამიტომ ეწოდა ამ ციხეს „ბებრისციხე“ — ამბობს ლეგენდა.

ბებრისციხის აგების თარიღი უცნობია ისტორიკოსთათვის, თუმცა მისი როლი ყველა საუკუნეში მნიშვნელოვანი იყო, იგი ციხედარბაზის როლსაც ასრულებდა. ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად მოხსენიებულია ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანესთან, რომელიც წერს: „დემეტრე მეფე ბებრისციხეს მიიცვალა და გელათს წაიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა“. ანუ 1156 წელს აქ გარდაცვლილა დავით IV აღმაშენებლის შვილი დემეტრე I, რომელიც შემდგომ გელათში დაუკრძალავთ.

ბებრისციხე მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობაა. მისი საერთო ფართობი გადაჭიმულია 100x60 მეტრზე. ციხე სამკუთხედის ფორმისაა.



ჯვრის მონასტერი

ჯვარი

მცხეთის ჯვარი ქართული ხუროთმოძღვრების შედევრია. იგი მდებარეობს მცხეთის აღმოსავლეთით, მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან აღმართულ მთის წვერზე.

ტაძრის სახელწოდებას ისტორიული წარსული აქვს: IV საუკუნის 30-იან წლებში წმინდანინოს მითითებით და მეფე მირიანის ბრძანებით ტაძრის ადგილას ხის დიდი ჯვარი აღუმართავთ, როგორც სიმბოლო ახალადმოცენებული სარწმუნოებისა. ამ ჯვარს თავყანს სცემდნენ არა მარტო ქართველები, არამედ მთელი კავკასიის ქრისტიანებიც. ქართლის ერისმთავარმა გუარამ დიდმა VI საუკუნის II ნახევარში ხის ჯვრის ჩრდილოეთით „...იწყო ეკლესია ჯუარისა პატიოსანისა“ შენება. ეს იყო პატარა ტაძარი. ქრისტიანობის გავრცელებამ და მლოცველთა რაოდენობის გაზრდამ განაპირობა ტაძრის გაფართოება. VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისში გუარამის ვაჟმა, ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ I-მა პატარა ეკლესიის ადგილას დიდი ტაძარი ააგო, რომელიც თარიღდება 584(5)-604(5) წლებით. სტილით იგი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. ტაძარში შესასვლელი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. ტაძრის ცენტრში, იქ სადაც გადმოცემის

თანახმად იდგა ხის ჯვარი, რეაქსნაგა ნაგებობაა. თვედაპირველად ტაძარი მოხატული არ ყოფილა, იგი მოგვიანებით მოუხატავთ.

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, შუაში გამოსახულია ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილი სტეფანოზ I ქართლის ერისმთავარი (წარწერა: „ჯუარო მაცხოვრისაო სტეფანოზ ქართლისა პატრიკოსი შეიწყალე“), მარცხნივ მისი ძმის დემეტრეს გამოსახულება მიქაელ მთავარანგელოზისადმი თხოვნით, მარჯვნივ კი სტეფანოზ I-ის მეორე ძმის ადარნასეს და მისი ვაჟის ქობულის გამოსახულებაა წარწერით.

ჯვრის დიდი ტაძრის არქიტექტურამ დასაბამი მისცა „ჯვრის ტიპის“ ტაძრების მშენებლობას საქართველოში (მარტვილის ტაძარი, ატენის სიონი, ძველი შუამთის დიდი ეკლესია).

მცხეთის ჯვრის სამონასტრო კომპლექსს გარედან გალავანი ეკვროდა, რომლის მხოლოდ XVI-XVII საუკუნეების ფრაგმენტებია შემორჩენილი.

მიუხედავად მრავალჯერადი დაზიანებებისა, ტაძარს შენარჩუნებული აქვს პირვანდელი იერსახე. ამჟამად ჯვრის ტაძარში მამათა მონასტერია. ■